პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეათე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, ჭამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 12—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

სამშაბათი, 29 მაისი 1928 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 122 (2165)

დღიური

- მაქსიმ გორკის ჩამოსვლა საბჭ. კავშირში.
- გაიხსნა ამერიკის კომპარტიის კონფერენცია.
- თურქეთ-ავღანისტანის ხელშეკრულება მეგობრობის შესახებ.
- პოლონეთ-ლიტვის ურთიერთობა კვლავ მწვავდება.
- სავალდებულო არბიტრაჟი სამრეწველო კონფლიქტების დროს შვეციაში.
- გერმანიის ახალი რეიხსტაგი გაიხსნება 13 ივნისს.
- ინგლისში აკრძალეს სურათ „ჯავშნოსან პოტიომკინის" ჩვენება.
- დირიჟაბლი „იტალია" უგზო უკვლოდ დაიკარგა.

საქართველოს კომპარტიის (ბ)
მეხუთე მოწვევის ცეკას
მესამე პლენუმი
შესდგება ა. წ. 5 ივნისს
სახ. კომისართა საბჭოს წითელ დარბაზში
საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას მდივანი ლოლოგერიძე

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა **ივნისისათვის**
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

არჩევნების შემდეგ—წითელფრონტელთა დემონსტრაციები

როგორც წინადაც აღვნიშნავდით, საპარლამენტო არჩევნებმა გერმანიაში გამოაშკარავა მუშათა მასსებში კომპარტიის გავლენის უდიდესი ზრდა და ამ მასების რევოლიუციონური განწყობილება. კომუნისტებმა ეხლა შეაგროვეს სამი მილიონი 260 ათასი ხმა, წინააღმდეგ 2.679 ათასი ხმისა, რომელიც მათ მიიღეს 1924 წ. დეკემბრის არჩევნებში. სამრეწველო პროლეტარულ ცენტრებში მათ სასტიკად დაამარცხეს სოციალ-დემოკრატია. ამ ცენტრებში თითქმის ყველგან უკანასკნელისათვის მიცემულ ხმების რაოდენობა წინანდელთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა კომუნისტების სასარგებლოდ. და თან მენშევიკები, რომელთაც სულ უფრო აქცევენ ზურგს მუშები, არჩევნებიდან „გამარჯვებული" გამოვიდნენ, ე. ი. თუ გადიდდა მათი ამომრჩეველთა რიცხვი, ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ბურჟუაზიის საგრძნობი ნაწილი მიემხრო მათ. ბურჟუაზია სამართლიანად სცნობს სოციალ-დემოკრატიას თავის პარტიად და მას ანდობს თავის ინტერესების დაცვას, ვინაიდან მენშევიკები მართლა გულმოდგინედ ემსახურებიან ბურჟუაზიას მუშათა კლასის სისტემატიური გამცემლობით და კაპიტალისტურ წყობილების განმტკიცებაზე ზრუნვით.

კიდევ რამოდენიმე ასეთი „გამარჯვება" და სოციალ-დემოკრატია საბოლოოდ გაკოტრდება მუშათა კლასის თვალში. მაგრამ მისი ზედაწრეები დღეს თავბრუ დასხმული არიან რეიხსტაგის არჩევნების შედეგებით და მოუთმენლად მოელიან სამინისტრო პორტფელების მიღებას; ისინი უკვე შეუდგნენ ბურჟუაზიულ პარტიებთან ერთად საპარლამენტო კომბინაციების მოჭახრაკებას. ჩვენი მოძმე პარტიისათვის კი, რა თქმა უნდა, სულ სხვა მიზანი და მნიშვნელობა აქვს მის გამარჯვებას არჩევნებში. არჩევნების დროს მან ნათლად გამოამჟღავნა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმისადმი და საარჩევნო კამპანია გამოაცხადა პროლეტარულ ძალების რევოლიუციონურ მობილიზაციის საშუალებად პარლამენტის გარედ კლასობრივი ბრძოლის გასაჩაღებლად. პარლამენტში კომპარტია მიდის არა „დადებითი" მუშაობის საწარმოებლად, ცხადია, არამედ პარლამენტარული რეჟიმის დასანგრევად და მასსების დასარაზმავად რევოლიუციონური აჯანყებისათვის.

ამ მიმართულებით ჩვენ დღეს მოწმე ვართ კომპარტიის მეორე უდიდესი გამარჯვებისა. მხედველობაში გვაქვს წითელ ფრონტელების გრანდიოზული დემონსტრაციები ბერლინში.

წითელ ფრონტელთა კავშირის წინააღმდეგ ბურჟუაზია და სოციალ-დემოკრატიის მესვეურები იმთავითვე კბილებს ილესავენ, ვინაიდან ეს მებრძოლი ორგანიზაცია, რომელსაც კომპარტია მეთაურობს და რომელიც თავის რიგებში მრავალ ასეულ ათას მუშას ითვლის მთელ გერმანიაში, სერიოზულ საშიშროებას წარმოადგენს კაპიტალის ბატონობისათვის. ამიტომაც იყო, რომ გერმანიის მთავრობის ფაშისტ მინისტრმა კეიდელმა ჯერ კიდევ არჩევნების წინ წამოაყენა წინადადება წითელ ფრონტელთა კავშირის დაშლის შესახებ. მაგრამ ეს წინადადება უარყოფილ იქნა. ამ კავშირის „დასაცავად" სოციალ-დემოკრატიამ, ბურჟუაზიულ პარტიებთან ერთად, ერთად ერთი მოსაზრება წამოაყენეს: წითელ ფრონტელთა კავშირის აკრძალვა არ არის დროული, რადგან ეს აღშფოთებას გამოიწვევს მშრომელ მასსებში და კომპარტიას უფრო გააძლიერებს არჩევნებში. ამგვარად, პროლეტარიატის სიძლიერემ ბურჟუაზია უკან დაახევინა.

ეს სიძლიერე ერთხელ კიდევ გამოაშკარავა წითელ ფრონტელთა ყრილობამ ბერლინში. გერმანიის 3 სხვადასხვა კუთხიდან ათეულ ათასობით მწყობრი რიგებით მოაწყდენ ბერლინს წითელ ფრონტელთა რაზმები. მუშათა მასსები ყველგან, გზებზე თუ თვით ბერლინში მათ განსაკუთრებული აღფრთოვანებით ხვდებიან. გერმანიის დედა-ქალაქში, ჰინდენბურგის და მისი მთავრობის თვალწინ, იმართება მრისხანე დემონსტრაციები რამოდენიმე ასეულ ათას პროლეტარის მონაწილეობით. ბრძოლა ბურჟუაზიის დასამხობად, პროლეტარიატის ძალა-უფლების დასამყარებლად, ომის საშიშროების წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის დასაცავად იმპერიალისტების თავდასხმისაგან, ბრძოლა სოციალ-გამცემლების წინააღმდეგ და სხვა ასეთი ლოზუნგები ამშვენებენ დემონსტრანტების დროშებს, ასეთი ლოზუნგები საქვეყნოდ გაისმის მათ მიტინგებზე.

გერმანიის მთავრობამ ყოველი ზომა მიიღო რაიმე „არასასიამოვნო" სიურპრიზების ასაშორებლად. ბერლინი გაძლიერებულ იქნა ჯარებით და პოლიციით. პოლიციამ პროვოკაციული გამოსვლებიც მოაწყო ფრონტელების წინააღმდეგ, აუტეხა სროლა დემონსტრანტებს, რასაც მსხვერპლიც მოჰყვა. ამ პროვოკაციის მიზანი აშკარაა: მუშების უდროოდ ჩაბმა ბრძოლაში და მათი განადგურება. მაგრამ ანკესზე კომპარტია, რა თქმა უნდა, არ ჩამოეგო: წითელ ფრონტელთა დემონსტრაციები ჩატარებულ იქნა იშვიათი დისციპლინით.

როგორც ეხლახან დამთავრებულმა არჩევნებმა, ისე წითელ ფრონტელთა შეკრებამ ნათელყვეს კომპარტიის გავლენის არაჩვეულებრივი ზრდა, მუშათა მასსების რევოლიუციონური ნებისყოფა და ორგანიზაციული დარაზმულობა. ბურჟუაზია სოციალ-დემოკრატიის დახმარებით შემდეგში უფრო შეეცდება წითელ ფრონტელების კავშირის დაშლას, ამ გზით კომპარტიის სიძლიერის შერყევას, მუშათა კლასის გატეხას. მაგრამ ამაოდ. გერმანიის პროლეტარიატმა მჭერმეტყველურად დაამტკიცა, რომ კომპარტიის ხელმძღვანელობით მას არამც თუ შესწევს ძალა შემოტევაზე გადმოსულ კაპიტალისათვის წინააღმდეგობის გასაწევად, არამედ კონტრშეტევის დასაწყებად თავისი მიზნების განხორციელებისათვის. ამ მხრივ, ვიმეორებთ, რეიხსტაგის არჩევნების შედეგები და წითელ ფრონტელთა დემონსტრაციები ბევრი რამის მაჩვენებელია.

მასიური მუშაობის ზოგიერთი დეფექტები

შახტის კონტრ-რევოლიუციონურ შეთქმულების აღმოჩენამ, იმ უმზგავსოებამ, რომელსაც ადგილი ჰქონდა სმოლენსკის და არტემოვსკის პარტიულ ორგანიზაციებში, სხვა მნიშვნელოვან მორიგ ამოცანებთან ერთად მთელი თავისი სიმწვავით დასვა ჩვენს წინაშე საკითხი მასიურ მუშაობის გაძლიერების შესახებ.

ყველაზე უფრო საგულისხმო შახტის და მის მზგავს ამბებში ის არის, რომ რევოლიუციის მოღალატეობის ეს საქმე მთელი წლობით იჭრებოდა და ფართოვდებოდა, შავრაზმული ორგანიზაციის მუშაობა სისტემატიურ ხასიათს ატარებდა, და ყოველივე ეს შეუმჩნეველი აღმოჩნდა საზოგადოებრივ ორგანიზაციებისათვის. ამ ორგანიზაციების, მუშათა მასის თვალწინ მიმდინარეობდა განმანადგურებელი ხასიათის ეკონომიური კონტრ-რევოლიუციონური მუშაობა და მისი აღმოჩენა შესაძლებელი გახდა მხოლოდ ხელისუფლების ფხიზელი ორგანოების საქმეში ჩარევით.

თუნდაც მარტო ამ მოსაზრებით, თუნდაც იმიტომ, რომ ძირშივე აღვკვეთოთ შახტის მზგავსი მოვლენები ჩვენს სამეურნეო მუშაობაში, მასიურ მუშაობის საკითხებს, მუშურ-გლეხურ საზოგადოებრივობის განვითარების საქმეს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს. მაგრამ მხოლოდ ამით ხომ არ ამოიწურება მასიური მუშაობის მნიშვნელობა? მასიური მუშაობა ამასთან ერთად მიზნად ისახავს მშრომელთა კულტურულ და პოლიტიკურ ზრდის და თვითმოქმედების განმტკიცებას, ახალ ყოფა-ცხოვრების გამარჯვებას, მთელი აქედან გამომდინარე დადებითი შედეგებით.

დღემდე მასიურ მუშაობას თან სდევს მთელი რიგი მნიშვნელოვანი დეფექტები. საკითხის სირთულე მდგომარეობს პირველყოვლისა იმაში, რომ ბევრ ადგილობრივ ორგანიზაციას გარკვეული არა აქვს თვით მასიური მუშაობის ფორმები და ამოცანები, არა აქვს წარმოდგენილი კონკრეტულად თუ რა მდგომარეობს ის მუშაობა და როგორ უნდა მიმდინარეობდეს ის.

საკავშირო კომპარტიის ცეკასთან ამ დღეებში შესდგა სპეციალური თათბირი მასიური მუშაობის გაღრმავება-გაფართოვების შესახებ. ამ თათბირის ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ მან გარკვევით და პრაქტიკულად დასვა საკითხი მასიური მუშაობის შესახებ.

მასიური მუშაობის ერთ-ერთ ძირითად ფორმას წარმოადგენს ჩვენი საზოგადო კრებები. როგორია ამ მხრივ მდგომარეობა? მიუხედავად იმისა, რომ რევოლიუციის მრავალი წლები განვლეთ, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვისწავლეთ მასიურ კრებების სათანადოთ ჩატარება. დღემდე საზოგადო კრების სიმძიმის ცენტრი წარმოდგენილია მოხსენებების სახით. მთავარი დრო და ყურადღება საზოგადო კრებებზე ეთმობა მომხსენებლის და არა მასის თვითმოქმედებას. დიდი დღის წესრიგი, გაჭიანურებული, ხშირად მოუმზადებელი და უშინაარსო მოხსენებები, დაუსრულებელი გადალექვა ერთ და იმავე საკითხების და სხვა ორი თუ ისე იშვიათი მოვლენაა ჩვენს საზოგადო კრებებზე. რაც შეეხება მასის აქტიურ მონაწილეობას საკითხების განხილვაში, შეკითხვებს და კამათს მოხსენებათა გარშემო, დამსწრეთა აზრთა გაცვლა-გამოცვლას, ყოველივე ამას მეორე ხარისხოვანი ადგილი უკავია.

საჭიროა ჩვენმა პარტიულ, საბჭოთა და ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციებმა დასვან საკითხი საზოგადო კრებათა ჩატარების წესის რადიკალური ცვლილების შესახებ. ჩვენ ვიცით მაგალითები, როცა მუშა-მოსამსახურეთა ან გლეხების საზოგადო კრებებზე მოსაზიდავათ ადგილობრივი ორგანიზაციები სხვადასხვა ხელოვნურ საშუალებებს მიმართავენ, როგორც მაგალითად, კრების დასრულების შემდეგ წარმოდგენის ან კონცერტის გამართვაა. რაც შეეხება ადმინისტრატიულ ზეგავლენას საზოგადო კრებაზე დამსწრეთა გასაძლიერებლად, „მასიური მუშაობის" ამგვარი პრაქტიკა წინანდელთან შედარებით გაცილებით იშვიათი შემთხვევას წარმოადგენს, მაგრამ ამა თუ იმ ფორმით ასეთ მოვლენებს დღესაც აქვს ადგილი.

დაწესებულება-ორგანიზაციებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ იმისათვის, რომ საზოგადო კრებები თავის შინაარსით და ფორმით თავისთავად იზიდავდეს მასას. ამ პირობის გარეშე საზოგადო კრებას ეკარგება მასიურ მუშაობის ერთ-ერთი უძლიერესი აქტივის მნიშვნელობა.

გარდა ამისა, მასიური მუშაობის ერთ-ერთ მთავარ ასპარეზს წარმოადგენენ ნებაყოფლობითი სახის ორგანიზაციები. თუ ჩვენ ამ შემთხვევაში სწორეთ ამ ორგანიზაციებზე შევჩერდით და თავის მნიშვნელობით სათანადო ადგილი არ დაუთმეთ საბჭოებსა და პროფკავშირებს, ეს იმიტომ, რომ ამ ორგანიზაციებში შედარებით იმასთან, რაც ჩვენ ნებაყოფლობითი ორგანიზაციებში გვაქვს, მდგომარეობა უკეთესია. მასიურ ნებაყოფლობითი ორგანიზაციების მუშაობის გამოსაცოცხლებლად საჭიროა ენერგიული ზომების მიღება. არ კმარა მარტო მატერიალური მონაწილეობა თავდაცვა ავიაქიმის, რემედასის, წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ მებრძოლ და სხვა ასეთ ორგანიზაციებში, საჭიროა ამასთან ერთად აღნიშნულ ორგანიზაციებში გაერთიანებული მასა ნებაყოფლობითი ორგანიზაციების აქტიური პროპაგანდისტებიც იყვეს.

სინამდვილეში ჩვენ ხშირად სხვა რამეს ვხედავთ. ნებაყოფლობით ორგანიზაციებში გაერთიანებული მასის მთავარი ნაწილი უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ მატერიალური წვლილის გაღებით თუ გამოიხატება. საზოგადო კრებები, ნებაყოფლობითი ორგანიზაციათა პრინციპების პოპულიარიზაცია. აქტიურად მუშაობა ნებაყოფლობით ორგანიზაციათა ნორმალურ ზრდისათვის და სხვა, თითქმის ყველგან სუსტადაა დაყენებული. ასეთი მდგომარეობა სხვათა შორის იმით აიხსნება, რომ პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ამ საკითხს. ნებაყოფლობითი ორგანიზაციების საქმიანობა, როგორც წესი, მიღებულია მეორე ხარისხოვან საკითხად. ასეთ შეხედულებას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. ნებაყოფლობითი ორგანიზაციები მასის კულტურულ და საზოგადოებრივ აღზრდელობის უძლიერესი სკოლაა. პარტიამ ამ ორგანიზაციებზე ხელმძღვანელობა ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან ამოცანად უნდა დაისახოს.

ასეთია ის ორი მთავარი მომენტთაგანი მასიური მუშაობის დარგიდან, რომელზედაც ჩვენ გვინდოდა შეგვეჩერებია მკითხველის ყურადღება. საგაზეთო წერილში შეუძლებელია ყველა იმ საკითხების სათანადოთ გაშუქება, რომელიც დაკავშირებულია მასიურ მუშაობის გაძლიერებასთან. ამიტომ ჩვენ აღვნიშნეთ მხოლოდ ორი ამ საკითხთაგანი.

საქართველოს კომპ. თბილისის კომიტეტის პლენუმი, რომელიც დღეს გაიხსნება, ამ საკითხზე თბილისის ორგანიზაციას მორიგ პრაქტიკულ მითითებებს მისცემს, რომელნიც ამავე დროს სახელმძღვანელოთ გამოდგება სხვა ადგილობრივ ორგანიზაციებისათვისაც.

ა. გ—ლი.

გერმანიის წითელფრონტელთა შეკრება

დიდი დემონსტრაცია ბერლინში.—შეტაკება პოლიციასა და წითელფრონტელებს შორის

პეკინი ალყაშემორტყმულია სამხრეთელების ჯარების მიერ.—ფინ-იუი-სიანმა აიღო კალგანი

გერმანელ მენშევიკები ნიადაგს ამზადებენ „დიდი კოალიციის" შექმნისათვის

გერმანიის წითელფრონტელთა შეკრება

ახალგაზრდა ფრონტელების დემონსტრაცია

ბერლინი, 27 მაისი გერმანიის წითელ ფრონტელთა კავშირის ყრილობის დასაწყისათ უნდა ჩაითვალოს ახალგაზრდა ფრონტელთა (წითელ ფრონტელთა კავშირთან არსებული ახალგაზრდათა ორგანიზაცია) გუშინდელი დემონსტრაცია. შენობა, სადაც გაიმართა მიტინგი, ჯერ კიდევ მიტინგის დაწყებამდე გაიჭედა ხალხით. რამოდენიმე ორატორის შემდეგ სიტყვით გამოვიდა ტელმანი, რომელსაც კრება მქუხარე და დაუსრულებელი ტაშით შეხვდა.

წითელი ფრონტი,—განაცხადა ტელმანმა,— **მშრომელ ახალგაზრდებისაგან აღზრდის რევოლიუციის ჯარისკაცებს. 20 მაისის გამარჯვების შემდეგ წითელი ფრონტი გაძლიერებული ენერგიით განაგრძობს მუშაობას ყველა გაყვლეფილთა გაერთიანებისათვის ბურჟუაზიის დიქტატურის წინააღმდეგ საბრძოლველად — პროლეტარიატის დიქტატურისათვის**".

ავსტრიის ახალგაზრდა ფრონტელთა წითელი კავშირის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ტეიბელმა. მიტინგის შემდეგ გაიმართა ახალგაზრდა ფრონტელების აღლუმი.

დემონსტრაცია დამთავრდა ინტერნაციონალის სიმღერით. (ადს)

წითელ ფრონტელთა რაზმების შეკრება

ბერლინი, 27 მაისი. ბერლინში მოდის სპეციალური მატარებლები და ავტოკოლონები წითელ ფრონტელთა რაზმებით. წითელ ფრონტელთა მრავალრიცხოვანი ჯგუფები, რომლებიც მწყობრათ დადიან ქუჩებში, თანდათან ხცვლიან ბერლინის ქუჩის გარეგნულ სახეს. ქალაქის მუშათა რაიონები წითელი დროშებითაა მორთული. (ადს)

წითელ-ფრონტელთა შეტაკება პოლიციასთან

ბერლინი, 27 მაისი. 26 მაისს საღამოთი, შარლოტენბურგში შეტაკება მოხდა ფრონტელთა წითელი კავშირის რაზმისა და პოლიციას შორის. შეტაკება მოხდა იმის გამო, რომ პოლიცია შეეცადა ფრონტელთა რაზმისათვის ჩამოეშორებია არიერგარდი. პოლიციამ სროლა დაუწყო ფრონტელთა პროცესიას და მოსახლეობას, რომელიც უყურებდა ფრონტელების გავლას. ერთ-ერთი ფრონტელი სასიკვდილოდ დასჭრეს გულში, გარდა ამისა დასჭრეს 4 ფრონტელი, სამი ქალი და შვიდი წლის მოწაფე. ბურჟუაზიული პრესაც კი გმობს პოლიციას და მას აკისრებს პასუხისმგებლობას შეტაკებისათვის. (ადს).

დიდი დემონსტრაცია ბერლინში

ბერლინი, 27 მაისი. გერმანიის ფრონტელთა წითელი კავშირის მეოთხე შეკრება წითელი ძალების ნამდვილ შემოწმებას წარმოადგენდა. ყრილობა ჩატარდა შემდეგი ლოზუნგებით: ბრძოლა ომის საფრთხესთან, ფაშიზმის წინააღმდეგ, კოალიციური პოლიტიკის წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირის დასაცავად. მონაწილეთა რაოდენობით, ენტუზიაზმით და იმ სიმპატიით, რომლითაც პროლეტარული მოსახლეობა შეხვდა ფრონტელთა შეკრებას, ამ წლის დემონსტრაციამ გადააჭარბა ფრონტელთა შარშანდელ შეკრებასაც-კი, ბერლინის პროლეტარულ უბნებში სახლები მორთული იყო წითელი დროშებით, და მოწყობილი იქნა მუშათა პროცესიები, ლოზუნგების შორის სჭარბობდა: სოლიდარობა საბჭოთა კავშირთან, ბრძოლა იმპერიალიზმისა და მისი სოციალ-იმპერიალისტ. დამქაშების წინააღმდეგ, ბრძოლა გარკვეული კლასიური ხაზისათვის და კოალიციის წინააღმდეგ, და აგრეთვე ლოზუნგი: „წითელი კლასიური ფრონტი ლენინისა და ლიბკნეხტის დროშის ქვეშ".

ამხ. ტელმანი
გერმანიის წითელ ფრონტელთა კავშირის თავმჯდომარე

ცენტრალური დემონსტრაცია ლიუსტგარტენში ყველაზე უფრო ძლიერი კომუნისტური დემონსტრაცია იყო, როგორიც ოდესმე უხილავს ბერლინს. ლიუსტგარტენში ერთდროულად სიტყვები წარმოსთქვა 29 ორატორმა ფრონტელთა წითელი კავშირის და აგრეთვე კომპარტიის სახელით. სიტყვები წარმოსთქვეს **ტელმანმა, ლეომა, შნელერმა, პიკმა** (რომელსაც პოლიცია სდევნის), **კპეიფერმა** და ინგლისის, შვეიცარიის და ავსტრიის მუშათა წარმომადგენლებმა. სიტყვები დამთავრდა ფრონტელთა ფიცის დადებით, რომ ისინი თავგანწირულად იბრძოლებენ. ფიცის ძირითადი ლოზუნგები იყო: არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ მსოფლიო იმპერიალიზმი ამზადებს ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, და რომ მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის ბედ-იღბალი განუყრელად არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირთან; არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ 1914 წლის 4 აგვისტოს (მსოფლიო ომის დასაწყისი) სოციალ-დემოკრატიამ მხარი დაუჭირა ბურჟუაზიას, რომ რევოლიუციის ჯარისკაცები წარმოებებში და პროფკავშირებში ყოველთვის და მუდამ უნდა იყვნენ დაუღალავი კლასიური ბრძოლის პიონერები, რომ რევოლიუციის ჯარისკაცები ფრონტებზე იმპერიალისტურ არმიებში იბრძვიან რევოლიუციისათვის და ბურჟუაზიის კლასიური ბატონობის დასამხობად, და რომ რევოლიუციის ჯარისკაცები ყოველთვის და მუდამ იბრძოლებენ საბჭოთა კავშირისა და ძლევამოსილი მსოფლიო რევოლიუციისათვის.

დემონსტრაცია ლიუსგარტენში

ბერლინი, 27 მაისი. ლიუსტგარტენში გამართულ დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 70.000 ფრონტელმა, რომლებსაც ეცვათ ფრონტელთა წითელი კავშირის ფორმა, 20.000 ბერლინელი ფრონტელი და ბერლინის პროლეტარიატის მასები—30.000-მდე კაცი.

დღის 5 საათიდან კავშირის ხელმძღვანელთა **ტელმანის,—ლეოვის, შნელერის** წინ ჩაიარა მრავალმა ათი ათასმა წითელმა ფრონტელმა, რომლებიც აღფრთოვანებით ესალმებოდნენ ხელმძღვანელებს. მოსახლეობა დიდის ენტუზიაზმით ხვდებოდა წითელ ფრონტელების დემონსტრაციას. მრავალი მუშა დაესწრო დიდი წარმოებებიდან (კრუპის, ტისენის), რურის ოლქის მთელი რიგი მაღაროებიდან, სილეზიის ორთქლმავლების ქარხნებიდან და სხვ.

ქუჩები, რომლებითაც მიდიოდნენ წითელი ფრონტელები, სავსე იყო პროლეტარული მოსახლეობით, რომელიც აღფრთოვანებით ესალმებოდა ფრონტელებს.

წითელ ფრონტელთა, წითელ მეზღვაურთა და ახალგაზრდა ფრონტელთა საერთო პროცესიის ძლიერ ნაწილს წარმოადგენდნენ კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის რაზმები თავისი ლოზუნგებით: ბრძოლა იმპერიალისტური მილიტარიზმის წინააღმდეგ, ბრძოლა წითელი თავდაცვისათვის და საბჭოთა კავშირის დასაცავად.

პროცესიის გავლის დროს ტელმანმა სიტყვით მიმართა მუშებს და მოუწოდა მჭიდრო კავშირი დაამყარონ წითელ ფრონტელებთან კომპარტიის და კომინტერნის ხელმძღვანელობით. ტელმანმა მოუწოდა მასებს აგრეთვე გააძლიერონ რევოლიუციონური ბრძოლის ფრონტი, რომელიც მომავალში გაჩაღდება პარლამენტის კედლების გარეთ.

ბერლინში ფრონტელთა შეკრების დროს თავი მოუყარეს პოლიციის დიდ ძალებს, რომლებიც შაბათიდან დაწყებული მზად იყვნენ ბრძოლისათვის. მიუხედავად აღშფოთებისა, რომელიც გამოიწვია შეტაკებამ შარლოტენბურგში, ფრონტელთა წითელი კავშირის მთელი დემონსტრაცია სამაგალითო დისციპლინით ჩატარდა.

პროლეტარული მოსახლეობის საერთო რიცხვი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო დემონსტრაციაში, არ არის გამორკვეული.

ამხ. ტელმანის სიტყვა

ბერლინი, 27 მაისი. ტელმანმა თავის სიტყვაში, რომელიც მან წარმოსთქვა ლიუსტგარტენში, აღნიშნა, რომ საფრანგეთის, შვეიცარიის, ავსტრიის, ბელგიის, ჰოლანდიის და დანიის წარმომადგენელთა დასწრება დემონსტრაციაზე აძლიერებს მრავალი ასი ათასი მუშის გამოსვლის საერთაშორისო ხასიათს და მოწმობს იმას, რომ მუშები მზად არიან იბრძოლონ საერთაშორისო რეაქციის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობს დაამხოს პირველი მუშური სახელმწიფო.

„ფრონტელთა წითელი კავშირის შარშანდელი შეკრების დროს,—განაცხადა შემდეგ ტელმანმა,—მრავალმა ასი ათასმა რევოლიუციონერმა დასდო ფიცი, რომ დაიცავენ საბჭოთა კავშირს იმპერიალისტების გალაშქრებისაგან და მკაცრ ბრძოლას აწარმოებენ ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ამზადებს ომს. [illegible] პროლეტარი აღფრთოვანებით შეუერთდა ამ ფიცს. საბჭოთა კავშირის დაცვით ჩვენ ვიცავთ ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მომავალს და სოციალიზმს. მათ შეიძლება გვიწოდონ სამშობლოს მოღალატენი. ჩვენ არაფერი არ გვაქვს საერთო კაპიტალისტურ სამშობლოსთან. ჰინდენბურგის, კრუპის, ტისენის, ველსის და ნოსკეს სამშობლო არ არის გერმანელი მუშების სამშობლო. იგი ჩვენს სამშობლოდ გახდება მხოლოდ მაშინ, როცა იქ აფრიალდება ძლევამოსილი სოციალიზმის დროშები. წითელი ბერლინი, რომელმაც 20 მაისს ხმა მისცა პროლეტარულ რევოლიუციის პარტიას, გერმანიის დანარჩენ პროლეტარიატთან ერთად სცნობს სრულიად გერმანიის ფრონტელთა შეკრების ისტორიულ მნიშვნელობას, და შეუერთდება რევოლიუციონურ კლასიურ ბრძოლას, რომელიც პარლამენტის კედლების გარეთ გაჩაღდება ბურჟუაზიული ბლოკის, კოალიციის პოლიტიკის და ფაშიზმის წინააღმდეგ, გერმანიის მუშურ-გლეხური მთავრობის შექმნისათვის, საბჭოთა კავშირის დასაცავად და ძლევამოსილი მსოფლიო რევოლიუციისათვის" (ადს).

პეკინი ალყაშემორტყმულია

პეკინი თითქმის ალყაშემორტყმულია

ლონდონი, 27 მაისი. „დეილი მეილ"-ის ცნობით, ფინ-იუ-სიანის ნაწილებმა დაიკავეს კალგანი. ჩან-ძო-ლინის ჯარები უკან იხევენ. პეკინი თითქმის ალყაშემორტყმულია. (ადს).

ცზინანის ამბები

შანხაი, 27 მაისი. ადგილობრივი ჩინური და უცხოელთა პრესა ჯერ კიდევ გაცხოველებით იხილავს დაწვრილებითი ცნობებს ცზინანის ამბების შესახებ. იაპონელები ცდილობენ შანდუნის ამბებისათვის პასუხისმგებლობა თავზე მოახვიონ ჩინელებს. მიუხედავათ ამისა ირკვევა შემდეგი:

ცზინანში არ არის კონცესიები და საერთაშორისო უბნები და ამიტომ იაპონიის ჯარების გაგზავნამ აპრილში უხეშად დაარღვია ჩინეთის ელემენტარული ტერიტორიალური უფლებები და მისი სუვერენიტეტი. ჯერ კიდევ მაშინ ნანკინის მთავრობა აღნიშნავდა, რომ იაპონიის ჯარების გაგზავნა არის სამხედრო ინტერვენცია, რომელიც ხელს უწყობს ჩრდილოეთელებს. თვით უცხოეთის გაზეთების კორესპონდენტებიც კი, რომლებიც თავიდანვე იაპონიის მხარეზე იყვნენ, აღიარებენ, რომ ჩრდილოეთის ჯარების მიერ მოხდენილ დარბევის შემდეგ, სამხრეთის ჯარებმა ქალაქში აღადგინეს წეს-რიგი და სიმშვიდე.

3 მაისს, როცა იაპონელებმა დააპატიმრეს გომინდანის აგიტატორები და მოჰკლეს ერთი მათგანი, საქმე შეიარაღებულ შეტაკებამდე მივიდა. მას შემდეგ ქალაქში რამოდენიმეჯერ ადგილი ჰქონდა შეიარაღებულ ბრძოლას, ეჭვს გარეშეა, რომ სისასტიკეს ადგილი ჰქონდა ორივე მხრიდან.

ჩინელები ამტკიცებენ, რომ მოკლულ ჩინელების რიცხვი აღწევს 5.000-მდე, დაჭრილია რამოდენიმე ათასი, ხოლო სხვა ცნობებით მოკლულია—2.000, დაჭრილია—2.000.

იაპონიის გენერალ ფუკუდას ულტიმატუმმა, რომელმაც გამოიწვია ქალაქისათვის მეორეთ ზარბაზნების დაშენა, და ცზინანის ამბების მთელმა მსვლელობამ უდიდესი აღშფოთება გამოიწვია მთელს სამხრეთში. ამას მალე მოჰყვა იაპონიის მიერ პეკინისა და ნანკინისათვის მემორანდუმის გაგზავნა მანჯურიის შესახებ.

მემორანდუმს უყურებენ, როგორც იაპონიის ცდას დააწესოს პროტექტორატი მანჯურიაზე. ჩინეთის პრესა ხაზგასმით აღნიშნავს იაპონიის მიერ ვაშინგტონის ხელშეკრულების დარღვევას.

შეერთებულ შტატების და ერთა ლიგის პოზიციამ იმედი გაუცრუა ჩინეთის პოლიტიკურ წრეებს, რომელთაც გულუბრყვილოთ სჯეროდათ, რომ შეერთებული შტატები და ერთა ლიგა [illegible].

საინტერესოა ის, რომ ნანკინის ზოგიერთ წრეებში მოუთმენლად ელიან იმის გამორკვევას, თუ როგორ უყურებს საბჭოთა კავშირი იაპონიის ცდას დააწესოს თავისი პროტექტორატი მანჯურიაზე. (ადს).

იაპონელები გზას ულობავენ სამხრეთელებს

ლონდონი, 27 მაისი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, იაპონელებმა ჩინჩოუში (პეკინიდან 100 მილის დაშორებით) გაგზავნეს მნიშვნელოვანი ძალები იმ მიზნით, რომ გზა გადაულობონ სამხრეთელებს მანჯურიისაკენ.

სააგენტოს ცნობით, იაპონიის ძალები ტიანძინში ამჟამად შესდგება 4.500 ჯარისკაცისაგან 29 საველე ზარბაზნით და 9 ჰაეროპლანით. (ადს).

მენშევიკები სამინისტროს პორტფელებს ეპოტინებიან

„ნიადაგის" მზადება „დიდი კოალიციისათვის"

ბერლინი, 27 მაისი. ვინაიდან გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ლიდერები მიისწრაფვიან „დიდი კოალიციის" (სოციალ-დემოკრატებიდან სახალხო პარტიამდე) შექმნისაკენ, ისინი იძულებული არიან დიდი სიფრთხილით, სხვადასხვა მოხერხებული მეთოდებით მოამზადონ სოციალ-დემოკრატი მუშები ახალი კოალიციისათვის ბურჟუაზიულ პარტიებთან.

ერთ-ერთი ასეთ მანევრს მიმართა „ფორვერტს"-მა, გაზეთი აცხადებს, თითქოს გერმანიის კომპარტიის ზოგიერთ ბელადებს განზრახული აქვთ წინადადება მისცეს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას განხილულ იქნას საკითხი კომუნისტების მონაწილეობის შესახებ სრულიად გერმანიის მთავრობაში. გაზეთი აცხადებს, თითქოს კომუნისტებს მხედველობაში აქვთ მთავრობის მომხრე უმრავლესობის შექმნა კომუნისტებისა, სოციალ-დემოკრატებისა და ზოგიერთ წვრილბურჟუაზიულ ჯგუფებისაგან.

მთელი ეს აშკარად უაზრო ჭორი გაზეთს იმისათვის ესაჭიროება, რომ მოაჩვენოს მუშათა მასებს თითქოს კომუნისტებიც კი მზად არიან შევიდნენ კოალიციაში ბურჟუაზიულ ჯგუფებთან.

„მემარცხენე" სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ლეიპციგერ ფოლკსცაიტუნგ"-ი მოითხოვს, რომ კოალიციის საკითხი გადაიჭრას პარტიულ ყრილობაზე. ამასთანავე გაზეთი გაკვრით, მაგრამ საკმაოდ გარკვევით უსვამს ხაზს, რომ სოციალ-დემოკრატები პრინციპიალურად არ არიან ბურჟუაზიულ პარტიებთან კოალიციის წინააღმდეგი და ამუშავებენ პროგრამას, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს დიდ კოალიციას. ამრიგად გაზეთი თანდათან იწყებს პროპაგანდას დიდი კოალიციის სასარგებლოდ (ადს).

ინგლისი და სპარსეთი

თეირანი, 27 მაისი. ინგლისის მიერ ბახრეინის კუნძულებზე, აბადანსა და სპარსეთის ყურეს სხვა პუნქტებში სპარსეთის სუვერენიტეტის დარღვევის შემთხვევები აღშფოთებას იწვევს სპარსეთის პრესაში. როგორც ვიცით, ჩემბერლენი ამტკიცებდა თემთა პალატაში, თითქოს სპარსეთის ყურეში სწარმოებდეს მონებით ვაჭრობა, რაც, ჩემბერლენის სიტყვით, ამართლებს ინგლისის სამხედრო გემების ყოფნას სპარსეთის ყურეში.

„შეფაგ-ე-სორხ" ამის გამო სწერს: ინგლისი მოხერხებულათ სარგებლობს მონებით ვაჭრობის ერთეულ შემთხვევებით, თვით ინგლისელებს კი მონობის უღელ-ქვეშ ჰყავთ ასეული მილიონები ინდოეთში და ათეული მილიონები ეგვიპტეში". (ადს).

პოლონეთ ლიტვის კონფლიქტი

„ლიტვის დედა ქალაქია—ვილნო"

კოვნო, 27 მაისი. გამოქვეყნდა ახალი კონსტიტუციის ტექსტი. კონსტიტუციის მე-5 პარაგრაფში ნათქვამია:

„ლიტვის დედა ქალაქია—ვილნო. სხვა ადგილას დედა ქალაქის გადატანა შეიძლება დროებით არსებულ კანონის თანახმად".

შეთანხმების წინასწარ დამტკიცება

ბერლინი, 27 მაისი. პოლონეთ-ლიტვის შერეულმა იურიდიულმა კომისიამ ბერლინში გამართულ სხდომაზე წინასწარ დაამტკიცა შეთანხმება ეგრედწოდებულ მცირე მიმოსვლის შესახებ სადემარკაციო ხაზზე.

ივნისის დამლევისათვის კომისიას განზრახული აქვს გააგრძელოს თავისი მუშაობა და განიხილოს დასახლებისა და ქვეშევრდომობის საკითხები. (ადს).

პოლონეთ-ლიტვის დელეგაციების ოფიციალური ცნობა

ვარშავა, 27 მაისი. გამოქვეყნდა პოლონეთ-ლიტვის იმ დელეგაციების ოფიციალური ცნობა, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ ეკონომიკისა, მიმოსვლისა და ტრანზიტის საკითხების განმხილველ კომისიაში. ცნობაში ნათქვამია:

„26 მაისს ეკონომიკისა, მიმოსვლისა და ტრანზიტის საკითხების კომისიამ განიხილა სამი ქვეკომისიის—სარკინიგზო, საფოსტო და სატელეგრაფო კომისიების მოხსენებები. ამ მოხსენებებიდან ირკვევა, რომ შეთანხმება ორივე მხარეს შორის არაა მიღწეული. ამიტომ კომისია წინადადებას აძლევს ლიტვის დელეგაციას წარმოადგინოს ერთ-ერთ შემდეგი სხდომისათვის პროექტები ორივე ქვეყანას შორის სარკინიგზო, საფოსტო და სატელეგრაფო ურთიერთობის დამყარების შესახებ".

კომისიის შემდეგი სხდომა შესდგება 28 ივნისს. (ადს).

უშედეგო მოლაპარაკება

ვარშავა, 27 მაისი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„ეკონომიკისა, მიმოსვლისა და ტრანზიტის საკითხებზე მოლაპარაკების შეწყვეტის გამო სააგენტოს წარმომადგენელი ესაუბრა პოლონეთის დელეგაციის თავმჯდომარე შუმლაკოვსკის. შუმლაკოვსკიმ განაცხადა:

— ისე, როგორც ყოველი ჩვენი მოლაპარაკება ლიტვასთან, ეხლანდელი მოლაპარაკებაც ძლიერ ძნელი აღმოჩნდა იმ პოზიციის გამო, რომელიც უჭირავს ლიტვის მთავრობას ვილნოს საკითხში. თუმცა კომისია არჩევდა მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიური ხასიათის საკითხებს, ჩვენ, სამწუხაროდ მაინც ვერ მივაღწიეთ დადებით შედეგებს, ვინაიდან ლიტვის დელეგაცია აყენებდა პოლიტიკური ხასიათის არგუმენტებს. ლიტველებმა უარი განაცხადეს განეხილათ საკითხი პირდაპირი მიმოსვლის დამყარების შესახებ პოლონეთისა და ლიტვას შორის და შემოიტანეს წინადადება არაპირდაპირი მიმოსვლის დამყარების შესახებ ლატვიის ტერიტორიით. ამასთანავე ლიტველებმა განაცხადეს, რომ ლიტვის მთავრობა შიშობს, რომ თანხმობამ პირდაპირი მიმოსვლის დამყარებაზე არ შექმნას პრეცედენტი ვილნოს ტერიტორიალური სტატუსის შესახებ, რომელიც ლიტვას სადაოდ მიაჩნია. ჩვენ იძულებული ვუყავით უარგვეყო ეს თვალსაზრისი და გვეცხადებინა, რომ პოლონეთს არა აქვს არავითარი ტერიტორია, რომელიც შეიძლება სადაოდ ჩაითვალოს და რომ არ არსებობს ვილნოს საკითხი, რომელიც ერთა ლიგის მომხსენებლის ანგარიშში მოხსენებულია, როგორც ვოლდემარასის ცალმხრივი აზრი, უკანასკნელს კი არაფერი არა აქვს საერთო ლიგის საბჭოს გადაწყვეტილებასთან". (ადს).

მაქსიმ გორკი საბჭოთა კავშირში

შეხვედრა ნეგორელოეში

ნეგორელოე, 28 მაისი. მინსკიდან გორკის შესახვედრად საზღვარზე გაემგზავრა სპეციალური დელეგაცია, რომელშიაც შედიოდნენ პროფკავშირების, მეცნიერული მუშაკების, ლიტერატურული ორგანიზაციების და მუშკორების წარმომადგენელნი. სადგურ ნეგორელოეში შეიკრიბნენ აგრეთვე ადგილობრივი მუშები და გლეხები. გორკის მიესალმნენ ბელორუსიის პროფკავშირების საბჭოს მდივანი ამხ. ისაევი, მუშკორი კობეცი, ბელორუსიის გლეხებისა, წითელი არმიისა და კომკავშირის წარმომადგენელნი.

საპასუხო სიტყვაში გორკიმ სთქვა: „მე მგონია, რომ რუსეთში ჩემზე ბედნიერი კაცი არ მოიძებნება. შეუძლებელია არ მაღელვებდეს თქვენი დამოკიდებულება ჩემდამი, თქვენი ნდობა და სურვილი, რომ მე თქვენთან ერთად ვიმუშაო. სიტყვები არა მყოფნის, რომ ჩვენი განცდანი გამოვხატო. მე ვიცი, თუ რა დიადი გახადეთ ჩვენი ქვეყანა. გაახალგაზრდავებული რუსეთისაგან მიღებული შთაბეჭდილება უდიდესია და გამაოცებელი. ვიმუშაოთ და ჩვენ კიდევ გავაკვირვებთ ქვეყნიერებას.

მატარებელი მინსკისაკენ გაემართა.

მინსკში

მინსკი, 28 მაისი. სადგურში მაქსიმ გორკის დახვდა 3.000-ზე მეტი მუშა და მოსამსახურე. გორკის მიესალმნენ ბელორუსიის სახ. განათლების კომისარი, რკინის გზელებისა, და წითელი არმიის წარმომადგენლები.

მიმსალმებელთა პასუხად გორკიმ სთქვა:

„სიტყვა ვერ მომიძებნია, რომ გამოვხთქვა აღტაცება, რომელსაც მე ვგრძნობ დიდი საქმის მკეთებელი მუშაკების ამ ენერგიული ახალგაზრდა სახეების დანახვაზე. ვფიქრობ, მე მოვახერხებ, რომ ამ აღტაცების ნაწილი გარდავქმნა რაიმე საქმედ, რომელიც სასარგებლო იქნება. ვიმუშაოთ ერთად და ერთად ვიცხოვროთ!" —დაამთავრა გორკიმ.

გაისმა აღტაცებული ძახილი: „ვაშა", „გაუმარჯოს გორკის". და მატარებელი მოსკოვისაკენ დაიძრა. (ადს)

მორიგი პროვოკაცია

ამხ. ბოგომოლოვის ნოტა ზალესკის

პროვოკატორი სამპსუხსკი

ვარშავა, 27 მაისი. 25 მაისს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში გამოცხადდა უცნობი, რომელიც თავის თავს უწოდებდა სამპსუხსკის — „მთავრობის სიდუმლო საქმეთა კომისრის დელეგატს" სამპსუხსკიმ სრულუფლებიან წარმომადგენლობას განუცხადა, რომ იგი მზად არის გადასცეს წარმომადგენლობას საიდუმლო ცნობები. სრულუფლებიანი წარმომადგენლობის განკარგულებით პროვოკატორი დაუყოვნებლივ გადასცეს პოლიციას. (ადს)

შანტაჟისტი ტურეკი

ვარშავა, 27 მაისი. უცხოეთის პრესის ცნობით, უცხო სახელმწიფოსათვის სამობილიზაციო გეგმის გადაცემისათვის კრაკოვში დააპატიმრეს კრაკოვის რაიონის რკინის გზების მმართველის თანაშემწე.

ამ დაპატიმრების გამო ვარშავის პრესამ გაავრცელა ხმები, რომ „უცხო სახელმწიფოდ იგულისხმება საბჭოთა კავშირი".

პოლონეთის პრესამ მკაცრი კამპანია დაიწყო საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობის წინააღმდეგ და განაცხადა, რომ წარმომადგენლობამ ბოროტად გამოიყენა დიპლომატიური პრივილეგიები.

კრაკოვის გაზეთი „ჩას" ამტკიცებდა, რომ ვითომც „ჯაშუშური აფიორის მონაწილე პოლონელ მოხელე ტურეკს საბჭოთა საელჩოს თანამშრომელმა ვარშავაში მისცა 2.000 დოლარი". ნამდვილად კი ტურეკი არის ის პირი, რომელიც არა ერთხელ შეეცადა პროვოკაციის ქსელში გაეხვია საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობა ვარშავაში.

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა პოლონეთში ამხ. ბოგომოლოვმა პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრ ზალესკის მიმართა ნოტით, რომელშიაც მოითხოვს მიღებულ იქნას ზომები საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის შესახებ შეუსაბამო ბრალდებათა გავრცელების წინააღმდეგ და დაწვრილებით განმარტავს ტურეკის შანტაჟისტურ განზრახვებს.

1927 წლის ოქტომბერში ტურეკი გამოცხადდა სრულუფლებიან წარმომადგენლობაში და სთქვა, რომ შეუძლია წარმომადგენლობას გადასცეს სხვადასხვაგვარი დოკუმენტები. ტურეკს წარმომადგენლობაში უპასუხეს, რომ სრულუფლებიან წარმომადგენლობას არავითარი დამოკიდებულება არ აქვს ამგვარ საქმეებთან და სრულებით არ არის დაინტერესებული ასეთი დოკუმენტებით. მიუხედავად ასეთი პასუხისა, ტურეკი აპრილში კვლავ გამოცხადდა სრულუფლებიან წარმომადგენლობაში, მაგრამ იგი იქიდან გააგდეს და მისცეს წინადადება, რომ საზოგადოდ არასოდეს არ შესულიყო საბჭოთა დიპლომატიური მისიის შენობაში.

შემდეგ ბოგომოლოვის ნოტა აღნიშნავს, რომ საბჭოთა საელჩოს მითიური თანამშრომლის გვარი, რომელსაც ასახელებენ პოლონეთის გაზეთები, არასოდეს არ ყოფილა სრულუფლებიანი წარმომადგენლობის თანამშრომელთა სიაში. (ადს)

„გლოს პრავდი" ამხ. ბოგომოლოვის ნოტის შესახებ

ვარშავა, 27 მაისი. ოფიციოზი „გლოს პრავდი", უკეთებს რა კომენტარიებს ამხ. ბოგომოლოვის ნოტას: აცხადებს:

„საბჭოთა ნოტამ ვერ გააქარწყლა პოლონეთის პრესის საყვედური, რომელიც მიმართული იყო მეზობელ სახელმწიფოსადმი, მაგრამ რით უნდა იქნას ახსნილი საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობის აჩქარება, რომელიც მან გამოიჩინა ნოტის შედგენის დროს, თუ დღემდე საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობისათვის ვარშავაში არ განუცხადებიათ უშუალო საყვედური".

შემდეგ გაზეთი გაკვირვებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ წინედ არ აცნობა გარეშე საქმეთა სამინისტროს „ტურეკის პროვოკაციული მოქმედების" შესახებ. (ადს)

პოლონელი „დემოკრატები" და თეთრგვარდიელები

სამგლოვიარო კრება

ვარშავა, 27 მაისი. ხუთშაბათს უკრაინელმა თეთრგვარდიელმა ემიგრანტებმა ვარშავაში მოაწყვეს სამგლოვიარო სხდომა პეტლიურას სიკვდილის წლის თავის გამო. სხდომას დაესწრენ სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლების წარმომადგენლები.

თეთრგვარდიელ ემიგრანტების განთავისუფლება

ვარშავა 27 მაისი სააპელაციო სასამართლომ განმკარგულებელ სხდომაზე საწინდარის შეუტანელად განთავისუფლა 10 თეთრგვარდიელი ემიგრანტი, რომლებიც დაპატიმრებული იყვნენ ლიზარევზე თავდასხმასთან დაკავშირებით. განთავისუფლებულთა შორის არის იური ვოიცეხოვსკის ძმა—სერგეი ვოიცეხოვსკი, ემიგრანტთა კომიტეტის თავმჯდომარე სემიონოვი და სხვები. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

მაქსიმ გორკის ჩამოსვლის გარშემო

კოგანი გორკის შესახებ

მოსკოვი, 28 მაისი. მოსკოვის პრესაში გორკის საბჭოთა კავშირში ჩამოსვლის შესახებ მოთავსებულია მთელი რიგ ცნობილ ლიტერატურულ მუშაკთა წერილები.

სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი, ცნობილი ლიტერატურული კრიტიკოსი კოგანი აცხადებს, მაქსიმ გორკის საბჭოთა კავშირში ჩამოსვლა უდიდესი მოვლენაა. გორკი განსაკუთრებით ძვირფასია ჩვენთვის. რევოლიუცია გორკის ნაწერებში გაშუქებულია კაცობრიობის ინტერესების შეგრძნებით.

უდიდესი ავტორიტეტი ლიტერატურაში

მოსკოვი, 28 მაისი. „ცემენტი"-ს ავტორი ცნობილი ახალგაზრდა მწერალი თ. გლადკოვი ამბობს, რომ გორკი, როგორც უდიდესი ავტორიტეტი მხატვრულ ლიტერატურაში უთუოდ დიდათ შეუწყობს ხელს ლიტერატურულ ზნე-ჩვეულებების გაჯანსაღებას.

ამიერ-კავკასიის წარმომადგენლის სიტყვა რკინის გზელთა ყრილობაზე

მოსკოვი, 28 მაისი. ამ დღეებში აქ გაიხსნა რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა სრულიად საკავშირო ყრილობა. ცენტრალურ კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გარშემო გამართულ კამათში სხვათა შორის სიტყვით გამოვიდა ამიერ-კავკასიის რკინის გზათა წარმომადგენელი, რომელმაც აღნიშნა შემდეგი:

ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე პროფესიონალური კავშირები დიდ აქტიობას იჩენენ წარმოების გაუმჯობესების დარგში. განსაკუთრებით აღსანიშნავია საწარმოო თათბირების საქმიანობა. მაგრამ ეს მაინც ვერ იძლევა სათანადო პრაქტიკულ ეფექტს, რადგან საწარმოო თათბირების გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებას ადმინისტრაცია ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს.

ნაწილობრივ ამითაც აიხსნება ის არანორმალური მდგომარეობა, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზათა ტექნიკური გაუმჯობესება ნელი ტემპით მიმდინარეობს.

„იზვესტია" სერგიევის შავრაზმელთა ბუნაგის შესახებ

მოსკოვი, 28 მაისი. „იზვესტია" ეხება სერგიევის ლავრაში აღმოჩენილ შავრაზმელთა ბუნაგის საკითხს. გაზეთი, სხვათაშორის, აყენებს საკითხს იმ განძეულობის შესახებ, რომელნიც გააპარეს სერგიევის ლავრიდან კონტრ-რევოლიუციონერებმა.

როგორ მოხდა, ნათქვამია წერილში, რომ სერგიევის ლავრის იშვიათი ღირებულობის განძეულობა ხელში ჰქონდა წარჩინებულ მონარქისტებს? ვინ მისცა მანდატი სერგიევის ლავრის სიმდიდრეებზე ყოფილ თავადს და მის ამქრებს?

გაზეთის სიტყვით ყველა ეს ფაქტები უფრო გულსაკლავია, ვიდრე თეთრგვარდიელის მიერ გამოსროლილი ტყვია.

დამნაშავეებმა პასუხი უნდა აგონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს, მაისის 29-ს საღამოს 6 საათზე სასახლის წითელ დარბაზში

გაიხსნება

სრ. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ მოწვეული თათბირი ძირითადი საბჭოთა ორგანოების მუშაობის შესახებ

დღის წესრიგი:

1. მოხსენებები ადგილებიდან.
2. მოხსენება საბჭოების მუშაობის და ამოცანების შესახებ.

საქ. ცაკის საორგანიზაციო განყოფილება

საქართვ. ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს სამდივნო
ამით აცხადებს, რომ
პარასკევს ა/წ. ივნისის 1-ლს. სასახლეში (წითელ დარბაზში)
შესდგება

აფხაზეთის ს. ს. რ. და აჭარისტანის სახკომსაბჭოების და სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის ცაკის და სამაზრო აღმასკომების თავმჯდომარეთა

თათბირი

დღის წესრიგი დაეგზავნებათ თათბირის მონაწილეთ.
საქართველოს ს. ს. რ. სახკომსაბჭოს სამდივნო

უკანასკნელი ცნობები

ერთა ლიგის გადაწყვეტილებას ეფარებიან

ვარშავა, 27 მაისი. პოლონეთის პრესა გაცხოველებით უკეთებს კომენტარიებს ლიტვის ახლად გამოქვეყნებულ კონსტიტუციას, კერძოთ პარაგრაფს, რომელშიაც ნათქვამია, რომ ვილნო არის ლიტვის დედა-ქალაქი.

პილსუდსკის მომხრეთა ორგანო „გლოს პრავდი" ხაზს უსვამს, რომ ამგვარი მოქმედება სხვა სახელმწიფოს მხრივ ომის საბაბი გახდებოდა.

„ელჩთა კონფერენციის გადაწყვეტილება,— სწერს გაზეთი,—რომელმაც ვილნოს აკუთვნებს პოლონეთს, გატარდა ცხოვრებაში და საერთაშორისო უფლებრივი სანქცია მიიღო ერთა ლიგის მხრივ. ერთა ლიგას არ შეუძლია დაუშვას გალაშქრება ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ და ამიტომ მის წინაშე სდგას მოქმედების აუცილებლობა".

„ვარშავიანკა" სწერს:

„ელჩთა კონფერენციამ სცნო, რომ ვილნო ეკუთვნის პოლონეთს. ლიტვა ეხლა არის ერთა ლიგის წევრი, რომლის წესდება ერთა ლიგის წევრებს ავალებს პატივისცემით მოეკიდონ იმ სახელმწიფოების ტერიტორიალურ მთლიანობას, რომლებიც ერთა ლიგის წევრები არიან. ამიტომ ვილნოს გამოცხადება ლიტვის დედა ქალაქად, წარმოადგენს საერთაშორისო უფლების სერიოზულ დარღვევას". (ადს).

ჩან-ძო-ლინი უარყოფს

პეკინი, 27 მაისი, ჩან-ძო-ლინის კანცელარია უარყოფს შანხაის ცნობას საიდუმლო შეთანხმების შესახებ, რომლის თანახმად ჩან-ძო-ლინმა იაპონიას დაუთმო ზოგიერთი სუვერენული უფლებები მანჯურიაში, ფინანსიურ და ეკონომიურ დახმარების საკომპენსაციოთ.

ავიოლატარიის ტირაჟი

მოსკოვი, 28 მაისი. დამთავრდა მეორე საკავშირო ავიო-ლატარიის ტირაჟი. სულ გათამაშებულია 11.093 მოგება 210.000 მანეთისა. ერთი მოგზაურობა ქვეყნიერების ყველა ნაწილში ან 7.500 მანეთი ერგო ბილეთს № 2739, სერია—257; სამი მოგზაურობა ქვეყნიერების გარშემო ან 5.000 მანეთი ერგო ბილეთს № 2588, სერია — 194; ბილეთს № 822, სერია 257 და ბილეთს № 8, სერია — 257.

ნავთის შადრევანი

ბაქო, 28 მაისი. 27 მაისს საღამოთი სურახანის რაიონის მესამე სარეწაოში ამოხეთქა ნავთის ახალმა შადრევანმა, რომლის დღიური დებეტი უდრის 300.000 ტონას. (ადს).

10.000 მან. მოგება

ბაქო, 28 მაისი. როგორც უკვე იყო ცნობილი, სახელმწიფო ბანკის კანტორაში ფულის მისაღებად წარდგენილ იქნა ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაცია № 36-ის სერია 082979-ის სამი მეხუთედი ნაწილი; მთელ ობლიგაციას შეხვდა 10.000 მან. მოგება. 28 მაისს სახელმწიფო ბანკის კანტორაში წარდგენილ იქნა კიდევ ამავე ობლიგაციის ერთი მეხუთედი ნაწილი, რომელიც ეკუთვნის ელექტროდენის კანტორის თანამშრომელ ქალს მელიქ-აკოფჯანოვს, რომელმაც ობლიგაციის ეს ნაწილ შეიძინა კოლექტიურად ხელის მოწერით. (ადს).

ცეცხლისაგან დაზარალებული უქმე-დღეს მუშაობენ

ქუთაისი, 27 მაისი, პარასკევს, 25 მაისს—ებრაელთა ამაღლება დღეს (შაბუოტ) და შაბათს 26 მაისს, მიუხედავად ხახამების წინააღმდეგობისა, ცეცხლისაგან დაზარალებული ებრაელები მაინც გამოვიდნენ საზოგადო სამუშაოზე დამწვარ და ნახევრად ჩამონგრეულ შენობების ახალებად და აგრეთვე სხვა სამუშაოთა შესასრულებლად.

კომინტერნის პროგრამის პროექტი

მოსკოვი, 28 მაისი. „პრავდაში" გამოქვეყნებულია კომუნისტური ინტერნაციონალის პროგრამის პროექტი.

კომინტერნის აღმასკომის საპროგრამო კომისია პროექტის გამოქვეყნებასთან ერთად კომინტერნის ყველა სექციას და ყველა ცალკე ამხანაგებს მიმართავს თხოვნით გამოეხმაურონ პროექტს თავისი კრიტიკული წერილებით შენიშვნებით და კონკრეტული წინადადებებით.

„გამოქვეყნებული პროექტი, — ნათქვამია მიმართვაში — თუმცა აგებულია იმავე პრინციპიალურ საფუძველზე, რომლებზედაც აგებულია მე-5 კონგრესის მიერ საფუძვლად მიღებული პროექტი პროგრამისა, მაგრამ მაინც თვალსაჩინოდ განსხვავდება უკანასკნელისაგან. საპროგრამო კომისია ვერ დასჯერდებოდა ამ პროექტის მხოლოდ ვიწრო — სარედაქციო ცვლილებებს, რადგან მე-5 კონგრესის შემდეგ მოხდა უდიდესი ცვლილებანი საზოგადოდ საერთაშორისო ცხოვრებისა და კერძოდ რევოლიუციონური მოძრაობის სხვადასხვა უმნიშვნელოვანეს დარგში. შეიცვალა კაპიტალიზმის საერთო კრიზისის ფორმა, სარბიელზე გამოჩნდა ისეთი დიდი მოვლენა, როგორიცაა ჩინეთის დიდი რევოლიუცია, რომელმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა აგრარულ - გლეხური საკითხის მნიშვნელობა, გადაიდგა დიდი ნაბიჯი საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის საქმეში; თავდამსხმელ კაპიტალისტურ ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირის შორის ბრძოლის გამწვავებამ, ფაშიზმის ზრდამ, მისმა გარდაქმნამ მსხვილი კაპიტალის ტერორისტულ დიქტატურად, სოციალ - დემოკრატიის შოვინისტურმა და იმპერიალისტურმა გადაგვარებამ, გაკვეთილებმა, რომლებიც კომინტერნმა გამოიტანა ოპოზიციონურ მიმართულებებთან წარმოებული ბრძოლიდან ბოლოს, კომუნიზმის ზრდამ, მოძრაობის ნამდვილმა ინტერნაციონალიზაციამ და კომინტერნის, როგორც მთლიანი ორგანიზაციის, ახალმა ამოცანებმა აუცილებელი და საჭირო გახადა ძველი პროექტის თვალსაჩინოდ გადაკეთება და გაფართოება. ცვლილებები უმთავრესად შემდეგია — საერთაშორისო მომენტების მეტი გარკვეულობა, მეტი მკაფიობით გამოსახვა, როგორც თეორეტიულ ნაწილში, ისე იმ ნაწილში, რომელიც უშუალოდ ეხება კომუნისტური პარტიების ბრძოლას". (ადს)

შახტის პროცესი

ემელიან კოლოდუბის დაკითხვა

მოსკოვი, 28 მაისი. 26 მაისის სხდომაზე **ანდრეი კოლოდუბის** დაკითხვის დამთავრების შემდეგ სასამართლო გადადის **ემელიან კოლოდუბის** (ყოფილ მაღაროს მეპატრონის) დაკითხვაზე. უკანასკნელ წლებში ის მუშაობდა დონეც-გრუშევსკის სამმართველოში, სადაც განაგებდა რაციონალიზაციის განყოფილებას, ხოლო შემდეგ—პროფტექნიკურ განათლების განყოფილებას. ის არის 65 წლის. ემელიან კოლოდუბმა თავისი თავი ნაწილობრივ დამნაშავედ იცნო მხოლოდ იმაში, რომ „არ მიიღო საკმაო ზომები პროფტექნიკური განათლების გაფართოებისათვის".

ბრალდებული უარყოფს, რომ ის ცუდათ ეპყრობოდა მუშებს. ემელიან კოლოდუბს, სხვათა შორის, ბრალი ედება იმაში, რომ ის მონაწილეობას იღებდა შემოსავლიან მაღაროს ვოსხორგანოვკის დაფარვაში საბჭოთა ხელისუფლებისაგან. ბრალდებული განმარტავს, რომ ამ მაღაროზე ფულის დახარჯვა არ იყო ხელსაყრელი. მაღარო დაგირავეს კაპიტალისტებმა იმ მიზნით, რომ მიეღოთ მთავრობისაგან აქციების გამოშვების ნებართვა. მაშინ გამოუშვეს 2 მილიონი მანეთის აქცია. მაღაროს გათხრა რომ გაგრძელებულიყო, მისი აზრით, ვოსხორგანოვკაზე დაიხარჯებოდა 10 მილიონი მანეთი.

ბრალდებულის სიტყვით გამოდის, რომ დამზიანებლებმა იმიტომ კი არ მიანებეს თავი ვოსხორგანოვკას, რომ უნდოდათ მისი შენარჩუნება ძველი მეპატრონეებისათვის, არამედ ისინი უფრთხილდებოდენ საბჭოთა 10 მილიონს. მათ, თურმე, არ უნდოდათ ეს თანხა დახარჯულიყო ყოფილ მეპატრონეებისათვის, თუ ისინი დაბრუნდებოდნენ...

ცარიზმის დროს ბრალდებული არ ყოფილა სახელმწიფო სამსახურში, მაგრამ ეწეოდა საზოგადოებრივ მოღვაწეობას, იყო სხვადასხვა სასწავლებლების მზრუნველი, აშენებდა სკოლებს და სხვ.

— საპატიმროთაა უწყების მზრუნველათ არ ყოფილხართ? ეკითხება ვიშინსკი.

— ასეთი მზრუნველობა არ არსებობდა, უპასუხებს კოლოდუბი.

კრილენკო ეკითხება კოლოდუბს:

— არის თუ არა განსხვავება ინჟენრების მუშაობაში იმამდე და ეხლა?

— ეხლა ისინი ორჯერ მეტს მუშაობენ— ამბობს ბრალდებული, შედეგები კი მე არ მომწონს.

ბრალდებული ამბობს, რომ ადგილებზედ მაღაროების გამგეებს და ტეხნიკურ პერსონალს ეშინია ინიციატივის გამოჩენის.

— რატომ ეშინიათ მათ ინიციატივის გამოჩენის?

— როგორ არ უნდა ეშინოდეთ, აბა მოუვიდეთ რაიმე შეცდომა!

— მერე რა, რომ შეცდომა მოუვიდეთ?

— თუ შეცდომა მოგივიდა, მაშინ აქ მოხვდები, უპასუხებს კოლოდუბი და მიუთითებს ბრალდებულთა სკამზე (სიცილი მთელს დარბაზში).

ემელიან კოლოდუბის დაკითხვის შემდეგ სასამართლოს დარბაზში მცველებს შემოჰყავთ მოწმე **პაველ პრუდენტოვი.** ის სასამართლოს აცნობს თავის თავს, როგორც კონტრდაზვერვის უფროსი შახტის რაიონში სადაც მუშაობდა 5 თვეს. კონტრდაზვერვაში ხშირად მოდიოდნენ იმ დროს ბერეზოვსკი კალგანოვი, ბაშკინი, ემელიან და ანდრეი კოლოდუბები, ბაბენკო, გავრიუშენკო და სამოილოვი. ყველანი მოდიოდნენ ნებაყოფლობით იძლეოდენ ცნობებს იმაზე, თუ რა ხდება მუშებში, ასახელებდენ ყველა აქტიურ მუშებს

სასამართლოს წინაშე ერთი მეორეზე წარსდგენ პრუდენტოვის მიერ დასახელებული პირები—კონტრდაზვერვის თანამშრომლები. კალგანოვი კატეგორიულად უარყოფს კავშირს კონტრდაზვერვასთან. კალგანოვი ეკითხება, ახსოვს თუ არა მოწმეს კომუნისტი ხელიუტინე, რომელსაც მოელოდა დახვრეტა და რომელიც მან, კალგანოვმა, გადაარჩინა. მოწმეს ეს არ ახსოვს. კონტრდაზვერვასთან კავშირს უარყოფენ აგრეთვე ბაბენკო და სხვები. პრუდენტოვი კატეგორიულად იცავს თავის ჩვენებას. სასამართლოს სხდომა იხურება საღამოს 7 საათზე და 10 წუთზე.

შემდეგი სხდომა შესდგება ორშაბათს დილის 10 საათზე (ადს).

28 მაისის დილის სხდომა

მოსკოვი, 28 მაისი. შახტის პროცესის 28 მაისის დილის სხდომა გაიხსნა შახტის თეთრი კონტრ-დაზვერვის აგენტის მოწმე კლადკოს დაკითხვით. მოწმე ჩამოთვლის ბრალდებულთა სახელებს, რომლებიც მან ნახა კონტრდაზვერვაში და აღნიშნავს თეთრი კონტრდაზვერვისათვის მათ მიერ დახმარების აღმჩენის ცალკე ეპიზოდებს. პირველი ადგილი უჭირავს **კოლოდუბს,** შემდეგ **ელიაძეს, ბერეზოვსკის, კალგანოვს, ნეკრასოვს** და **ბაშკინს.** მოწმის მიერ დასახელებული ბრალდებულნი კატეგორიულად უარჰყოფენ თავის მუშაობას კონტრდაზვერვაში.

შემდეგ დაჰკითხეს მემაღაროე კუზნეცოვი, რომელიც ნათლად ახასიათებს ემელიან კოლოდუბის ფიზიონომიას. მუშებს კოლოდუბი ძალიან თავხედურად ექცეოდა, დადიოდა ყოველთვის ჯოხით და სცემდა მუშებს. 1905 წელში, კოლოდუბის სახლის დარბევის შემდეგ იგი მკაცრად გაუსწორდა მუშებს: მის თხოვნით ხდებოდა მუშების ჩხრეკა, დაპატიმრება, და ცემა. ზოგიერთ მუშებს როზგით ცემის შემდეგ პასპორტში ჩაუწერეს: „არ აქვს უფლება იმსახუროს სხვა მაღაროში". შემდეგ მოწმე მოუთხრობს სასამართლოს ემელიან კოლოდუბის მოქმედებას 1918 წელში: „კოლოდუბი 1918 წელში გაიპარა სტანცია მოკროლოკში, შემდეგ მელიხოვსკში და იქიდან ასახსენებდა ჩვენს წინააღმდეგ თეთრ ოფიცრებს. 1919 წლის დასასრულში, როცა თეთრები მოვიდნენ, კოლოდუბი გამოაცხადეს საპატიო ყაზახად და დაასხურეს ლამპასები, ხოლო მისმა შვილმა კონსტანტინემ გაიკეთა პოროუჩიკის პაგონები".

ემელიან კოლოდუბი სცდილობს უარჰყოს მოწმის ჩვენება.

მოწმე ვაილოვი თავის ჩვენებაში სხვათა შორის ამბობს, რომ ემელიან კოლოდუბს კავშირი ჰქონდა გამხეული დონის ატამან კალედინთან. კოლოდუბი ეკითხებოდა მოწმეს: რომელ წელში ჰქონდა კავშირი კალედინთან? ვაილოვი უპასუხებს, რომ ეს იყო 1917 წ. შემოდგომაზე, როცა ბრალდებულმა ატამან კალედინის დავალებით შემოიარა სტანციები და გლეხებში ეწეოდა აგიტაციას არ მიეცათ პური მოსკოვისა და ლენინგრადისათვის.

ვაილოვის შემდეგ დაჰკითხეს მოწმე ბოლგოვი — დონეცის მემაღაროე. იგი მუშაობდა მაღარო „კრასნენკაია"-ში და უყურებდა ანდრია კოლოდუბის საზიანო მუშაობას. ანდრია კოლოდუბს იგი ბრალს სდებს უმთავრესად იმაში, რომ მან (კოლოდუბმა) მშვენივრად იცოდა, რომ ამ მაღაროს დამუშავება საბჭოთა ხელისუფლებისათვის იყო გამოსადეგი, რომ აქ ნახშირი ცუდი ხარისხის იყო, მაგრამ მაინც განაგრძობდა მუშაობას და ტყუილად ხარჯავდა ხალხის ფულს.

მან მოაწყო მექანიკური დახმარება, მაგრამ ესეც ზარალის გარდა არაფერს არ იძლეოდა. მოწმე ევგენია სავინა უამბობს სასამართლოს თავისი ამხანაგი ქალის პოლიას ბედის შესახებ, რომელიც მსახურობდა ანდრია კოლოდუბთან. პოლია, მოწმის სიტყვით, დახვრეტილ იქნა კონტრ - დაზვერვის მიერ ანდრია კოლოდუბის დაბეზღებით, რომელთანაც იგი მსახურობდა.

მოწმე სხვა ქალებთან ერთად დასახვრეტად გაყვანილი მუშების ცოლებთან და დებთან ერთად წავიდა აგურის ქარხანაში, სადაც ხვრეტავდენ მუშებს, და მან დაინახა როგორ დახვრიტეს ისინი. მეორე დღეს სასაფლაოზე მან პოლია ნახა დახვრეტილი. თავი მას გატეხილი ჰქონდა, ხოლო სხეულზე — 12 ჭრილობა ხიშტისაგან. მოწმე გადაჭრით აცხადებს, რომ პოლია, რომელიც დახვრიტეს, მართლაც მსახურობდა ანდრია კოლოდუბთან. პოლია მასთან ხშირად დადიოდა. მოსამართლეთა მაგიდასთან გამოუძახეს ანდრია კოლოდუბს, რომელიც აცხადებს, რომ ყოველივე ეს გაუგებრობა არის. კოლოდუბი სასამართლოს აცნობებს იმ პოლიას მისამართს და გვარს, რომელიც მასთან მსახურობდა. საქმის ვითარების გამოსარკვევად სასამართლომ დაადგინა გამოწვეულ იქნას მოსკოვში ბრალდებულის მიერ დასახელებული პოლია. მოწმე სავინას დაკითხვით დამთავრდა 28 მაისის დილის სხდომა (ადს).

„უორკერს პარტი-"ს კონფერენცია

ნიუ-იორკი, 27 მაისი. უორკერს პარტის (ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის) კონფერენციაზე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ მრავალრიცხოვანი უპარტიო მუშები, ფერმერები და ზანგები, აგრეთვე ახალგაზრდობის დელეგატები. კონფერენციამ მიიღო მისასალმებელი დეპეშები კომინტერნისაგან და მთელ რიგ მოძმე კომპარტიებისაგან.

კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ჰგმობს შახტის რაიონის კონტრ- რევოლიუციონური ორგანიზაციის დანაშაულებრივ საქმიანობას და მოითხოვს დამნაშავეთა დასჯას. რეზოლიუცია მოუწოდებს ამერიკის და მთელ მსოფლიოს მუშებს გააძლიერონ მზადება საბჭოთა კავშირის დასაცავად კაპიტალისტების შესაძლებელ თავდასხმისაგან და ჩრდილოეთ- ამერიკის შეერთ. შტატების მთავრობისაგან მოითხოვს საბჭოთა კავშირის ცნობას. (ადს)

„მუდმივი მშვიდობიანობის" ირგვლივ

იაპონიის საპასუხო ნოტა

ტოკიო, 27 მაისი. სიმბუნ რენგოს სააგენტო იუწყება:

„შეერთებულ შტატების ელჩს ტოკიოში დღეს გადაეცა იაპონიის საპასუხო ნოტა, რომელშიაც იაპონია აცხადებს, რომ ის ღებულობს შეერთებულ შტატების წინადადებას ომის ამკრძალავ ხელშეკრულების დადების შესახებ, ხელმძღვანელობს რა იმ მოსაზრებით, რომ ახალი ხელშეკრულების პროექტი არ შეიცავს, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თავდაცვის უფლების არავითარ უარყოფას. (ადს)

კრეისერების აგება გრძელდება

ვაშინგტონი, 27 მაისი. მიუხედავად იმისა, რომ სწარმოებს მოლაპარაკება ომის აკრძალვის ხელშეკრულების დადების შესახებ, სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, რომ მას საჭიროდ არ მიაჩნია გადასდოს სამხედრო გემების აგება. (ადს)

ყველაფერი მალარიასთან საბრძოლველად

დგება ზაფხული, როცა მალარია იწვევს პირველად დასნეულებას, და ჩქარა დადგება შემოდგომა, როცა მალარია იძლევა ახალი ინფექციის ფრიად გამწვავებას და პირველად დასნეულებულთა რიცხვი აღწევს თავის უაღრეს მაქსიმუმს. ამგვარად, ჩვენ ფეხი შევდგით სამალარიო სეზონში. საქართველოში ბრძოლას მალარიის წინააღმდეგ, როგორც გავრცელებული ხალხური და სოციალური უბედურების წინააღმდეგ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არა თუ მარტო ჯანმრთელობის ორგანოთა მუშაობაში, არამედ მთელი სახელმწიფო მშენებლობის საქმეშიც.

ცნობილია, რომ მალარია საქართველოში არსებობს უძველესი დროიდან. მის გავრცელებას ხელს უწყობს ჩვენში გეოგრაფიული მდგომარეობა და საერთოდ ქვეყნის ჰავის ვითარება.

მალარია, თუმცა ენდემიური სენია ისეთ ადგილებში, რომლებიც იმყოფებიან მთის საშუალო ზოლში, მაგრამ იგი განსაკუთრებით მძვინვარებს მდინ. მტკვარის, ალაზნისა და რიონის დაბლობ ნაყოფიერ ველებში და შავი ზღვის მთელს ნაპირებში. მრავალ ამ ადგილებში არა თუ შეუძლებელია დასახლება, არამედ მათი გამოყენებაც კი სასოფლო მეურნეობისათვის, განსაკუთრებით ჩვენი სამალარიო პროფილაქტიკის დღევანდელს ვითარებაში: უსახსრობის გამო ამ მხრივ ჯერ კიდევ ჩამორჩენილი ვართ.

მალარია არის ჩვენში სეზონური სენი. იგი იძლევა ახალ ინფექციას ზაფხულ-შემოდგომის ხანაში და გამეორება (რეციდივი) ხდება ხოლმე უმთავრესად გაზაფხულზე, ესე იგი სასოფლო-სამეურნეო მუშაობის ხანაში. ასნეულებს რა განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობას, მალარია დიდძალ ხალხს უკარგავს შრომის უნარს მცირე თუ დიდი ხნით, ასუსტებს სხეულს; ამცირებს სხეულის სხვა ინფექციათა საწინააღმდეგო ძალებს; თვით ხდება სიკვდილიანობის მიზეზათ და აძლიერებს სიკვდილიანობას სხვა დასნეულებათა დროს. მალარია არის ჩვენში ნამდვილი ხალხური უბედურება; იგი აყენებს ქვეყანას დიდ ქონებრივ ზიანს და მოსახლეობის გადაგვარების საშიშროებას წარმოადგენს, რასაც ადასტურებენ უკვე გადაშენებულნი და გადაშენების გზაზე მყოფნი მრავალი სოფლები: გრემი, ორპირი, სანავარდო, ფაშანი, გავაზი და სხვა.

უკანასკნელ წელთა სტატისტიკა იძლევა შემდეგ სურათს საქართველოსა და სხვა ქვეყნებში მალარიით დაავადებულთა შესახებ: 1922 წ. 1000 სულზე საქართველოში მოდიოდა მალარიის დაავადებულთა 155,5 შემთხვევა, 1925 წელში 130,3 1926 წ.—94,93. ეს ციფრები, რომ შევადაროთ სხვა ქვეყნებში მალარიით დაავადებულთა ციფრებს, ვნახავთ, რომ მალარიით დაავადების მხრივ ჩვენ გვიჭირავს პირველი ადგილი. მაგალითად მალარიის კლასიკურ ქვეყანათ ცნობილს იტალიაში 1924 წლ. 1000 მცხოვრებელზე მოდიოდა 6,27 მალარიით დაავადებულთა შემთხვევა, სამხრეთ სლავიაში კი იმავე წელს 3,49. ამ მოკლე ცნობებიდან სჩანს, რომ არსად, არც ერთ ქვეყანაში მალარია არ წარმოადგენს ისეთ საშიშროებას, როგორც საქართველოში.

მალარია არის ჩვენში სოციალური სენი. მასთან ბრძოლა შესაძლოა სამკურნალო-პროფილაქტიური გზით. ჩვენ ვიცით ამ სენის გამომწვევი მიზეზი და გავრცელების გზებიც და აგრეთვე სპეციფიური საშუალება მის წინააღმდეგ—ქინაქინა. ამიტომ წინასწარ შეგვიძლია ვთქვათ, რომ არც ერთი დაავადების დროს სამკურნალო-პროფილაქტიურ ღონისძიებებს არ მოაქვთ ესოდენ სწრაფი და საგრძნობი შედეგები, როგორც მალარიით დაავადების დროს.

მალარიის საწინააღმდეგო ბრძოლის დღეს არსებულ სამ მეთოდ შორის, სახელდობრ; როსსის მეთოდი—ადგილის გაჯანსაღება, კოხის მეთოდი—თვით მოსახლეობის გაჯანსაღება და უკანასკნელი— პირადი პროფილაქტიკის მეთოდი, რომელზედაც ჩვენ არ შევჩერდებით, რადგან მას არა აქვს ფართო მასიური გამოყენება,— ამ სამ მეთოდიდან მხოლოდ ორ პირველს აქვს დიდი მნიშვნელობა მალარიასთან საწინააღმდეგო ბრძოლის საქმეში.

ვიღებთ რა მხედველობაში მიზეზებისა და პირობების სიმრავლესა და მრავალფეროვნებას, რომელნიც ხელს უწყობენ მალარიის გავრცელებას საქართველოში, და მასთან ქვეყნის დღევანდელს ეკონომიურ მდგომარეობას,— ჩვენ მიზანშეწონილად უნდა ვცნოთ თვით მოსახლეობის გაჯანსაღების მეთოდი ყველა იმ ავადმყოფთა მტკიცე რეგისტრაციისა და წამლობის გზით, რომელნიც თავიანთ სისხლში ატარებენ მალარიის პარაზიტებს და რომელნიც ბოლოს და ბოლოს წარმოადგენენ დასნეულების ერთად ერთ წყაროს.

პროფილაქტიური ღონისძიებანი ადგილის გაჯანსაღებისათვის შემდეგია: დიდი და პატარა ტბების გაშრობა; მდინარეების რეჟიმის მოწესრიგება და წყალდიდობასთან ბრძოლა; სარწყავი სისტემის მოწესრიგება; მოსახლეობის უზრუნველყოფა კარგი თვისებების სასმელი წყლის წესიერი მიწოდებით; სხვადასხვა მცენარეთა კულტურის გავრცელება, რომელნიც აშრობენ ნიადაგს და სხ. ყველა ეს ღონისძიებანი მოითხოვენ დიდ ხარჯს წინასწარი ფულის გაღებით ჭაობიანი რაიონების ყოველმხრივი გამოკვლევისათვის.

საქართველოს წყლის მეურნეობის უწყების ცნობის თანახმათ, საქართველოში საჭიროა 170.000 დესეტინამდე ტბების გაშრობა, რაც არა თუ გააჯანსაღებს ნიადაგს, არამედ შექმნის ხელსაყრელ პირობებსაც სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარებისათვის.

პროფილაქტიური ხასიათის ღონისძიებათა შორის მალარიის წინააღმდეგ დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის სანიტარულ განათლებას ამ დარგში. სისტემატიური ლექციებისა და საუბრების, კინო-ლენტების, თეატრალური წარმოდგენების, სპეციალური ხალხურ გამოცემების გავრცელების, სამალარიო დღეების მოწყობისა და სხვა გზით საჭიროა მივცეთ ხალხს სწორი წარმოდგენა მალარიის შესახებ და ჩავაბათ მოსახლეობა შეგნებულ და აქტიურ მონაწილეობაში მალარიასთან ბრძოლის საქმეში.

მოსახლეობის მშრომელი მასა და განსაკუთრებით საბჭოთა საზოგადოებრივობის აქტივი უნდა ჩაბმულ იქნეს იმ ორგანოთა ყოველდღიურ მუშაობაში, რომელნიც აწარმოებენ მალარიის საწინააღმდეგო ბრძოლას; საბჭოთა საზოგადოებრივობას შეუძლია აღმოუჩინოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს დახმარება განსაკუთრებით პროფილაქტიური მუშაობის ნაწილში. მშრომელ მასებს შეუძლიათ დიდი როლის თამაში ნიადაგის გაჯანსაღების საქმეში წყლის გუბეების მოსპობითა და ამოშრობით, რომელნიც იმყოფებიან დასახლებულ ადგილების სიახლოვეთ. ამ შემთხვევაში უნდა დაწვრილებით აღვრიცხოთ საბჭოთა საზოგადოებრივობისა და მშრომელთა გამოყენების შესაძლებლობანი მალარიის საწინააღმდეგო ბრძოლის საქმეში. ჯანმრთელობის ორგანოებმა უნდა ყოველგვარი ღონე იხმარონ მოსახლეობის აქტივობის გასადიდებლათ და მისი შეგნებული ჩაბმისათვის მალარიის საწინააღმდეგო ბრძოლაში. ამ მხრივ საგანგებო მნიშვნელობა ეძლევა უბნის ექიმს, მის მიერ საექიმო წერტზე ჩატარებულ პროფილაქტიური დღეების სათანადო გამოყენებას, გონივრულ გამოყენებას ისეთი ორგანიზაციების, როგორიც არის სანიტარული კუთხე, სამკითხველო, სანიტარული უჯრედები და სხვა.

ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს სახკოლო ასაკის ბავშვთა სამალარიო აღზრდას. მალარიის შესახებ ელემენტარული ცოდნის გადაცემასთან ერთად მოწაფეები უნდა იყვნენ გამოყენებული ზოგ ისეთ ღონისძიებათა განსახორციელებლად, რომელნიც არ მოითხოვენ დიდ ფიზიკურ შრომის დახარჯვას და რომელთაც ამავე დროს აქვთ არა მცირედი მნიშვნელობა მალარიასთან ბრძოლის საქმეში.

მალარიასთან ბრძოლას საქართველოში მეთაურობს ცენტრალური სამალარიო კომიტეტი, რომელიც არის უწყებათაშორისო სათათბირო ორგანო. საერთო სამეცნიერო-სახელმძღვანელო და აღმასრულებელ ფუნქციებს ატარებს სასანიტარო - საეპიდემიოლოგიო განყოფილება, რომელსაც აქვს სამალარიო სექცია. სპეციალურ სამეცნიერო ხელმძღვანელობას აწარმოებს ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტი. რომელსაც აქვს სამეცნიერო-გამომკვლევი დაწესებულებათა აგებულობა კლინიკური განყოფილებით. ინსტიტუტის მიზანს შეადგენს ტროპიკული მედიცინის დარგიდან თეორიული ამოცანების დამუშავება, მეცნიერული დასაბუთება ტროპიკულ სნეულებათა ბრძოლის ძველი პრაქტიკული გზების და ახალი გზების აღმოჩენა. ინსტიტუტი ამზადებს სპეციალურ საექიმო და ტეხნიკურ პერსონალს, აწყობს სამეცნიერო ექსპედიციებს, ხელმძღვანელობას უწევს ადგილებზე სამალარიო სადგურების მუშაობას და მონაწილეობას იღებს ტროპიკულ სნეულებათა საწინააღმდეგო ბრძოლის გეგმების და პროექტების დამუშავებაში.

სამკურნალო-პროფილაქტიური მუშაობის გასაძლიერებლად მომავალში საჭირო იქნება სამალარიო სადგურთა ქსელის გაფართოება. ყოველ მალარიან მაზრას უნდა ჰქონდეს თითო სამალარიო სადგური 10 საწოლით და მოძრავი რაზმით. სადგური უნდა უზრუნველყოფილი იქნეს ქინაქინის საკმაო რაოდენობით თავის რაზმებისა და მაზრის ყველა სამკურნალო დაწესებულებათათვის. ქინა-ქინა უნდა ეძლეოდეს ავადმყოფებს უსასყიდლოდ. სადგურების მუშაკნი უნდა იყვნენ კვალიფიციური და ნივთიერად უზრუნველყოფილნი.

რადგანაც მალარიასთან ბრძოლა ჩვენი ქვეყნისათვის არის დიდი მნიშვნელობის საკითხი და მოითხოვს დიდი სახსრების სისტემატიურ გაღებას, როგორც ადგილების გასაჯანსაღებელ ღონისძიებათა ჩასატარებლად, აგრეთვე მოსახლეობის ქინაქინით უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მიერ გადადგმულია ნაბიჯი საგანგებო სამალარიო ფონდის შექმნისათვის. ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ მალარიის მოსპობის საქმეს აქვს დიდი მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისათვის, სოციალისტური აღმშენებლობისათვის, მშრომელი მასების კეთილდღეობისათვის.

ამჟამად, როდესაც ჩვენი ქვეყანა იწყებს ახალ ხანას ეკონომიურ განვითარებისას ინდუსტრიალიზაციის ნიადაგზე, საჭიროა განსაკუთრებით ყურადღების მიქცევა სამუშაო ძალების სისწორით გამოყენებაზე, როგორც ჩვენი კავშირის საწარმოვო ძალების განვითარების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორზე. ამიტომ მშრომელთა ფიზიკური მდგომარეობა წარმოადგენს აქტუალურ საკითხს როგორც ჯანმრთელობის დაცვის ორგანოთათვის, აგრეთვე მთელი სახელმწიფოსათვის.

საქართველოს ჯანსახკომის სტატისტიკური ქ-განყოფილების მასალებიდან სჩანს, რომ მალარიის მიზეზით წლიურად იკარგება 2 მილიონი სამუშაო დღე. იმავე ცნობით სჩანს, რომ მალარიით დასნეულებულთა უმრავლესობა წარმოადგენს 20—49 წლის ასაკის მშრომელ მოსახლეობას. ადვილად წარმოვიდგენთ რა ზარალი მოსდის სახელმწიფოს ,თუ 2 მილიონ სამუშაო დღეს გადავიტანთ ხელფასის ციფრებზე და თუ ხელფასის ზარალს მივუმატებთ იმ პროდუქციის ზარალს, რაც უნდა დამუშავებული ყოფილიყო 2 მილიონი სამუშაო დღის განმავლობაში.

მალარიასთან ბრძოლის დღევანდელ დღეს უპირველეს ყოვლისა პასუხისმგებლობა აწვება ჯანმრთელობის ცენტრალურ ორგანოებს, რომელნიც ვალდებული არიან მიაწოდონ თავის დროზე სამალარიო ორგანიზაციებს ყველა საჭირო საშუალებანი—ქინაქინა, წამლები და სხვა და აგრეთვე გააძლიერონ უშუალო ხელმძღვანელობა ადგილებზე ჯანსახკომის, ქალაქის განყოფილების, წითელი ჯვრისა და რკინის გზების განყოფილ. მალარიის საწინააღმდეგო დაწესებულებათა დათვალიერებით.

ცენტრალური სამალარიო კომიტეტები, რომელნიც დღეს სუსტად მუშაობენ, უნდა ენერგიულად იქნენ ამოძრავებული, განსაკუთრებით მაზრებში. ამ მუშაობაში უნდა ჩაბმული იქნეს მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობა, მისი აქტიური ძალები, რომელთა შეწევნითაც უნდა მოწყობილი იქნეს დასახლებულ ადგილებზე სოფლებისა და დაბების გაწმენდა ყოველგვარ წვრილ ტბორებიდან მათი გაშრობის გზით

სამალარიო სადგურების, რაზმებისა და სამკურნალო წერტების შემწეობით ადგილებზე უნდა გაძლიერდეს სანიტარულ განათლების დარგში მუშაობა.

ჯანმრთელობის ორგანოებმა გაფაციცებით თვალყური უნდა ადევნონ მალარიასთან ბრძოლის მიმდინარეობას და დარაზმონ მალარიასთან საბრძოლველათ მათ განკარგულებაში არსებული ყველა ძალები და საშუალებანი.

გრ. კუჭაიძე.

საქართველოს სამთო-მადნო მუშაკთა მე-7 ყრილობა

მესამე დღე

საქართველოს სამთო მრეწველობის მდგომარეობა

(მომხსენებელი ამხ. კვანტალიანი)

27 მაისს ყრილობის მესამე დღის სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. კვანტალიანის მოხსენება საქართველოს სამთო მრეწველობის მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს სამთო მრეწველობის ყველა დარგებს, ჭიათურის შავი ქვის გამოკლებით, აერთიანებს ს.მ.უ.ს. სამთო ტრესტი. ტრესტში გაერთიანებულ წარმოებებს შორის ყველაზე დიდი წარმოება არის ტყიბულის ქვანახშირის მაღაროები, რომლის ექსპლოატაცია ასე თუ ისე ნორმალურ პირობებშია ჩაყენებული. მრეწველობის დანარჩენი დარგები, როგორიც არის ბარიტის, ლიტოგრაფიული ქვის, გლაუბერის მარილის, ცეცხლის გამძლე აგურის და დიატამიტის წარმოებანი, ჯერ-ჯერობით ორგანიზაციულ პერიოდში იმყოფება და დღემდე სწარმოებს მხოლოდ მათი ნაწილობრივი ექსპლოატაცია.

გასაბჭოების პირველი ორი წლის განმავლობაში **ტყიბულის მაღაროებში** წარმოების ნაყოფიერება დაეცა და იგი წამგებიანი შეიქმნა. 1923 წლიდან იწყება მისი თანდათანობითი აღორძინება, რადგან ტყიბულის ქვანახშირზე მოთხოვნილება თანდათან იზრდება, ამასთან ერთად უმჯობესდება თვით პროდუქციის ხარისხი. 1925—26 წლისათვის ბაზარი ტყიბულის ნახშირისათვის სავსებით უზრუნველყოფილია, მაგრამ ამ ხანებში გახშირებული ხანძარი მაღაროებს საშუალებას არ აძლევს სრულებით დააკმაყოფილოს მოთხოვნილება. ამჟამად ტყიბულის მაღაროების ქვანახშირზე მოთხოვნილება კიდევ უფრო გადიდებულია. მარტო ბათომის ნავთის საწმენდ ქარხნების დასაკმაყოფილებლად საჭიროა წლიურად 8 მილიონი ფუთი ქვა-ნახშირის მიწოდება, რასაც ამ უახლოეს წლებში ტყიბული ვერ შესძლებს, იმისათვის, რომ ნაყოფიერება 5 მილიონამდე იქნეს აყვანილი, ჩვენ მოგვიხდება განსაკუთრებული ღონისძიების მიღება: პირველ ყოვლისა კი მუშათა მუდმივი კადრის შექმნა ტყიბულის მაღაროებისათვის, რადგან მუშათა ხშირი ცვლა ძალიან სცემს შრომის ნაყოფიერებას და ადიდებს გაცდენილ დღეთა რაოდენობას. მუშათა კადრის შესაქმნელად კი საჭიროა სახლების აგების გაძლიერება, ოჯახიანი მუშების დასაბინავებლად.

მრეწველობის მეორე მნიშვნელოვანი დარგი არის **ბარიტის წარმოება,** რომელიც სამთო ტრესტს გადაეცა გასულ წელს. პირველ წლებში ბარიტზე რუსეთის ბაზარზე დიდი მოთხოვნილება იყო, რამაც გამოიწვია ბარიტის წარმოების აღორძინება ჩვენში. მაგრამ შემდეგ წლებში ჩვენებური ბარიტის ხარისხის გაუარესების გამო მოთხოვნილება ძალიან დაეცა და ბარიტის წარმოებაც შემცირდა. უკანასკნელ ხანებში ჩვენ ისევ შევსძელით რუსეთის ბაზრის ნაწილობრივად დაპყრობა და ამიერიდან ჩვენ მოგვიხდება სანახევროდ დავაკმაყოფილოთ ბაზრის მოთხოვნილება, რისთვისაც ყოველწლიურად საჭირო იქნება 250,000 ფუთი ბარიტის დამზადება. ამ მიზნით ჩვენ ვაგებთ ერთ საფქვავ წისქვილს, რომელიც სავსებით შესძლებს საწარმოო პროგრამის შესრულებას საჭიროების ფარგლებში. ბარიტის თვითღირებულებას ძალიან აძვირებს მადნის გადმოზიდვის სიძვირე; გადასაზიდ საშუალებათა უქონლობის გამო ბარიტის წისქვილზე მიტანა სწარმოებს გლეხების ურმებით.

ფურუზის ცეცხლის გამძლე აგურის ქარხანა კარგი ხანია არსებობს, მაგრამ მოთხოვნილების სიმცირის გამო, იგი არ მუშაობდა სრული დატვირთვით. გარდა ამისა, თვით აგურის თვისება ნაკლები ღირსების იყო და ამიტომ მასზე უარს აცხადებდენ თვით ადგილობრივი მომხმარებელნი. მას შემდეგ, რაც ქარხანამ აგურის დასამზადებელ თიხაში დაიწყო ქვანახშ. ნაცრის შერევა, აგურის ცეცხლგამძლეობამ იმატა და მოთხოვნილებაც შესამჩნევად გაიზარდა. გასულ წელს ქარხანამ 90 პროცენტით შეასრულა საწარმოო პროგრამა.

დიატამიტი, რომლის მადნები მდებარეობს ახალციხის მაზრაში, ტრესტს გადაეცა ამ რამოდენიმე თვის წინად. დიატამიტზე დიდი მოთხოვნილებაა. იგი მნიშვნელოვან მოგებას სტოვებს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ტრესტს მისგან შემოსავალი არა აქვს, რადგან ახალციხის სამაზრო აღმასკომს ტრესტმა წარმოების შესასყიდათ ფასად გადაუხადა 50.000 მანეთი და კიდევ მისაცემი აქვს 100.000 მანეთამდე. წარმოების ნაყოფიერებას ხელს უშლის მისი სრული მოუწყობლობა, არავითარი ქარხნები არ არსებობს. ამოღებული მიწის გაშრობა ხდება ღია ცის ქვეშ, ხშირად წვიმა ასველებს და მადანი უვარგისდება. უახლოეს მომავლისათვის ტრესტს განზრახვა აქვს მოაწყოს ფარდულები და მადნის გასაშრობი ფეჩები.

ლიტოგრაფიული ქვის წარმოება

ჩვენში სრულიად ახალი საქმეა. მისი დამუშავება ჩვენში დაიწყო მხოლოდ გასულ წელს. ღირსებით ქვა კარგი ხარისხის გამოდგა და ჩვენი წინადადებით მთავრობამ შეამცირა მისი იმპორტი. ამჟამად ჩვენ გვაქვს ქვაზე საკმაო შეკვეთები. მაგრამ წარმოების გაფართოებას აღგეთის ბუდობებში ჯერ-ჯერობით ვერიდებით, რადგან თიანეთის რაიონში აღმოჩენილ იქნა უფრო უკეთესი ღირსების ლიტოგრაფიული ქვა. ამჟამად თიანეთში სწარმოებს კვლევა-ძიებითი მუშაობა და თუ საბოლოოდ დადასტურდა მისი უკეთესი ღირსება და გამოირკვა, ამ მადნის დიდი მარაგი, აღგეთში წარმოებას შევაჩერებთ და შეუდგებით მადნის გეგმიან დამუშავებას თიანეთის რაიონში.

გლაუბერის მარილის წარმოებას შედარებით უფრო დიდი ხნის ისტორია აქვს. მაგრამ წარმოების წესები დღემდე პრიმიტიულია. მუშაობას სეზონური ხასიათი აქვს. მიწიდან ამოღებული მარილი იყრება ტბაში, სადაც იგი ზაფხულობით დნება. შემდეგ სწარმოებს ხსნარის გადაქაჩვა ხელოვნურ აუზში. ზამთრობით ხსნარი იყინება და ხდება კრისტალმარილად. ამ სახით სწარმოებს მისი რეალიზაცია.

მრეწველობის ყველა ზემოხსენებულმა დარგებმა გასულ წელს ტრესტს დაუტოვეს— 113.000 მან. წმინდა მოგება, აქედან ბარიტმა 35.000 მანეთი; ლიტოგრაფიულმა ქვამ—14,000 მანეთი; დიატამიტმა—11,000 მანეთი; გლაუბერის მარილმა—7,000 მანეთი; ტყიბულის მაღაროები გასულ წელს წამგებიანი იყო.

შემდეგ მომხსენებელი ეხება იმ ღონისძიებებს, რომლებიც ამ უახლოეს წლებში მიღებული უნდა იქნეს სამთო მრეწველობის განსავითარებლად ხუთწლიანი გეგმის მიხედვით.

კამათი

მოხსენების გარშემო გამართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელიც მეოთხე დღის დილის სხდომამდე გაგრძელდა. დელეგატები დიდი გულისყურით და დაკვირვებით შეეხენ წარმოების საკითხებს. ორატორები დაჟინებით აკრიტიკებდენ სამეურნეო ორგანოების საქმიანობას სამთო მრეწველობის ყველა დარგებში. მიზეზი იმ გარემოებათა, რომ დღემდე ადგილი ჰქონდა დიდ შეცდომებს და ნაკლულოვანებებს სამთო მრეწველობაში, ორატორების დასკვნით, არის ის, რომ სამეურნეო ორგანოებს თავი არ შეუწუხებიათ სამთა-მადნო მუშათა წინანდელი ყრილობების პრაქტიკული დადგენილებების ცხოვრებაში გატარებაზე. თვით სამთო ტრესტის სტრუქტურა უკვე არ შეეფერება თავის დანიშნულებას. ცენტრალური აპარატი მოწყვეტილია სამრეწველო ადგილებს და ამის გამო უძლურია ხელმძღვანელობა გაუწიოს საწარმოო მუშაობას. ტეხნიკური შტატი აპარატისა ძალიან გაბერილია, რაციონალიზაცია არც აპარატში და არც წარმოებაში გატარებული არ არის. საწარმოო გეგმების შედგენასა და დამტკიცებას წლობით აგვიანდება. საწარმოო მუშაობა სწარმოებს ყოველგვარ სისტემის გარეშე. სამუშაო გეგმა არ დგება არც ძველი და არც ახალი მაღაროებისათვის.

ორატორები განსაკუთრებით დიდხანს ჩერდებიან ტყიბულის მაღაროებზე. ეხებიან ხშირი ხანძარის მიზეზებს, ზოგიერთების აზრით, ტეხნიკური პერსონალი ანგარიშს არ უწევს ძველი გამოცდილი მუშების რჩევა-დარიგებას, რომელიც ხშირად აცდენდა მაღაროებს ხანძარსა და ჩამონგრევას. მთავარი მიზეზი ხანძრის გაჩენისა მაღაროებში, მათი აზრით არის, გაუწმენდელობა დაგროვილი ნახშირის მტვრისაგან, გვირაბის გაუმაგრებლობა და სხვა. ამ მიზეზებზე არა ერთხელ მიუთითებიათ მუშებს, მაგრამ მათი შენიშვნები უყურადღებოთ დაუტოვებიათ. გვირაბების გასამაგრებელი მასალის მიწოდება ხდება ძალიან დაგვიანებით. ცუდია აგრეთვე სამუშაო იარაღების: წერაქვების, ცულების, ნახშირის გასაცრელი ბადეების ღირსება. ხშირია მაღაროებში სამუშაო დღეების გაცდენა. უქმეების შემდეგ გლეხობა მთელი კვირაობით არ ცხადდება სამუშაოზე, რის გამო ჩერდება მუშაობა, რასაც შედეგად სდევს ხანდახან გვირაბებში ზვავების ჩამოწოლა. ორატორები ერთხმად მოითხოვენ, რომ მაღაროებისათვის შეიქმნეს მუდმივ მუშათა კადრი, ამის გარეშე მათ წარმოუდგენლად მიაჩნიათ სამუშაო დღეების გაცდენასთან ბრძოლა და საერთო შრომის ნაყოფიერების გადიდება. ერთად-ერთი საშუალება მუშათა მუდმივ კადრის შესაქმნელად არის საბინაო მშენებლობის გაძლიერება ოჯახიანი მუშებისათვის.

რამოდენიმე ორატორი ეხება აგრეთვე ბარიტის წარმოებას,სადაც მათი აზრით ისეთივე ქაოსია, როგორც ქვა-ნახშირის წარმოებაში. მაგ. შენდება წისქვილი, რომელიც ამ მოკლე ხანში დამთავრდება, მაგრამ ზომები ბარიტის ახალი მარაგის მოსაგროვებლად ჯერ კიდევ მიღებული არ არის. მრეწველობის მთელ რიგ ახალ დარგებზე, როგორიც არის ფლორიდინი, კაოლინი, მოთხოვნილება თანდათან იზრდება, მაგრამ სამეურნეო ორგანოების მიერ არავითარი ღონისძიება არ არის მიღებული, რომ დაიწყოს მათი ექსპლოატაცია.

შემდეგ ორატორები ეხებიან საწარმოო თათბირების სუსტ მუშაობას, ამის მთავარ მიზეზად ასახელებენ თათბირების მოწვევას, სამუშაო საათებში, რაც მუშებს საშუალებას ართმევს მონაწილეობა მიიღოს თათბირის მუშაობაში.

ორატორებს დიდ ნაკლად მიაჩნიათ ისიც, რომ ტრესტს დღემდე არა აქვს მუშა-გამომგონებელთა ფონდი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა ამხანაგებმა: **სტურუამ, ცეცხლაძემ; დარსაძემ; გაჩეჩილაძემ; ჯიშკარიანმა; გვენეტაძემ; სოფრომაძემ; გამრეკელმა; ლომთათიძემ; გაბრიაძემ; მაჭარაშვილმა; ფურცელაძემ; ცირეკიძემ** და სხვ.

თავის საბოლოო სიტყვაში ამხ. **კვანტალიანი** შეჩერდა იმ ობიექტურ მიზეზებზე, რომლებმაც გამოიწვიეს ზემოაღნიშნული ნაკლულოვანებანი სამთო მრეწველობაში.

რეზოლიუციის გამოსამუშავებლად არჩეულ იქნა კომისია შვიდი ამხანაგისაგან.

მეოთხე დღე

გუშინ, დღის სხდომაზე ამხ. კვანტალიანის მოხსენების გარშემო აზრთა გაცვლა-გამოცვლის გათავების შემდეგ მოსმენილ იქნა შრომის სახალხო კომისარის მოადგილის ამხ. ი. **ჭელიძის** მოხსენება შრომის დაცვის შესახებ.

შრომის დაცვა სამთო მრეწველობაში

(მომხსენებელი ამხ. ჭელიძე)

რამდენად ვითარდება ჩვენი მრეწველობა, რამდენად მეტი რიცხვი ებმება წარმოების სხვადასხვა დარგებში, მით უფრო რთულდება შრომის დაცვის ორგანოების მუშაობა.—ამბობს მომხსენებელი. მიუხედავათ ასპარეზის გაფართოებისა შრომის ორგანოებზედაც გავრცელდა 20 პროცენტიანი შემცირება. ამ გარემოებამ ძალიან დააბრკოლა და შეაფერხა შრომის ორგანოების ნაყოფიერი მუშაობა, განსაკუთრებით, თბილისიდან დაშორებულ საწარმოო რაიონებში. დღეს მდგომარეობა გამოსწორებულია, შტატი შევსებულია, რაც საშუალებას გვაძლევს ისევ გავაფართოვოთ მუშაობა შრომის დაცვის დარგში. მიუხედავად ზემო დასახელებულ ხელის შემშლელ გარემოებისა; ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით მაინც ჭიათურისა და ტყიბულის მუშათა შრომის პირობების დაცვას. საანგარიშო პერიოდში ორივე ამ საწარმოო რაიონში შრომის პირობების გამოსარკვევად გაიგზავნა სპეციალური ექსპედიცია, რომელმაც ადგილობრივ გამოიკვლია და შეისწავლა მუშათა მდგომარეობა. ამ ექსპედიციების გამოკვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ არც ჭიათურაში და არც ტყიბულში შრომის პირობები და მუშათა საერთო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი არ არის, თუმცა წინა წლებთან შედარებით მდგომარეობა გაუმჯობესებულია. დახშული ჰაერი, მტვერი, სინესტე, დაგუბებული წყალი, ტალახი, სიბნელე აი ის პირობები, რომელშიდაც უხდებათ მუშაობა, როგორც ჭიათურის, ისე ტყიბულის მაღაროებში მომუშავეებს. თუ წინა წლებს შევადარებთ არსებულ მდგომარეობას, მდგომარეობა გაუმჯობესებულია, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი შრომის ნორმალური პირობების მოსაწესრიგებლად.

ბრძოლა უბედურ შემთხვევებთან ვერ გვაქვს კარგად დაყენებული. არც ადმინისტრაცია და არც კავშირი არ აქცევდა ჯეროვან ყურადღებას შრომის დაცვის საკითხებს. ამიტომაც არის, რომ უბედურ შემთხვევათა რიცხვი არ კლებულობს ისეთი რაოდენობით, როგორც საჭიროა. ზოგ შემთხვევაში ადგილი აქვს ტრავმატიზმის ზრდას. მეტ წილად უბედურ შემთხვევებს იწვევს ადმინისტრაციის უყურადღებობა და დაუდევრობა, იშვიათად უბედურ შემთხვევის მიზეზი არის თვით მუშა. შრომის დაცვის დარგში ჩვენი პირველი ამოცანა უნდა იქნეს, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, მინიმუმამდე დავიყვანოთ ტრავმატიულ შემთხვევათა რიცხვი.

ზემოხსენებულმა ექსპედიციამ გამოიკვლია აგრეთვე ტყიბულის და ჭიათურის მუშების კვების საქმე. აღმოჩნდა, რომ კვება მუშებისა ძალიან ცუდია. ორივე ამ რაიონის მუშათა საზრდოს შეადგენს მჭადი, მწვანილეულობა, ყველი და იშვიათ შემთხვევაში ხორცეულობა. ზომაზე მეტს ხმარობს მუშა ღვინოს. ცუდი კვების მიზეზი არის საკვები პროდუქტების სიძვირე, რაც გამოწვეულია კოოპერატიული ქსელის უქონლობით. საწარმოო რაიონებში არ არის კოოპერატიული სასადილოები. მუშებს ანტი-სანიტარულ პირობებში უხდებათ სადილობა. ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციოს კავშირმა და კოოპერატიული ქსელის გაფართოებით გააუმჯობესოს კვების საქმე.

ძალიან მძიმეა აგრეთვე მუშათა საბინაო პირობები. ის სახლები, რომელიც მუშებისათვის არის აგებული, სრულებით საკმარისი არ არის. ერთს ოთახში რამოდენიმე მუშას უხდება ცხოვრება. ერთი საწოლით რამოდენიმე მუშა სარგებლობს. ასეთი სივიწროვე მუშას დასვენების საშუალებას არ აძლევს. რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, საბინაო სახლების მშენებლობა უნდა გავაძლიეროთ. საბინაო მშენებლობას უნდა მიეცეს გეგმიანი ხასიათი. სახლები უნდა აშენდეს იმ ანგარიშით, რომ შესაძლოთ მათში ოჯახიანი მუშების დასახლება. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ ავიცილებთ სამუშაო დღეების გაცდენას, რაც მუშების სოფლებში ხშირი მისვლა-მოსვლის შედეგია.

შემდეგ მომხსენებელი ეხება შრომის პირობებს სამთამადნო მრეწველობის სხვა დარგებში (ბარიტის, ცეცხლგამძლე აგურის, ლიტოგრაფიული ქვის წარმოებაში და სხვა). და აღნიშნავს, რომ შრომის პირობები ისეთივე სურათს იძლევა, როგორც ზემოხსენებულ 2 წარმოებაში. დასასრულ მომხსენებელი მიმოხილვას უკეთებს სოციალური დაზღვევის საქმეს სამთამადნო მრეწველობაში.

კამათი

გუშინ საღამოს სხდომა მთლიანად მოუნდა აზრთა გაცვლა-გამოცვლას შრომის დაცვის საკითხების გარშემო.

ამხ. **ერემლიძე** (ჭიათურა) შეეხო ახალგაზრდობის შემცირებას კონცესიონერების მიერ და ეს მიაჩნია კოლხელშეკრულების დარღვევათ. იგივე ორატორი საჭიროდ სთვლის ახალგაზრდა მუშებისათვის შემოღებულ იქნეს დამუშავების ნორმები. ორატორი იწუნებს სპეცტანსაცმლის ხარისხს და მოითხოვს მის გაუმჯობესებას.

ამხ. **გვენეტაძე** (ტყიბული) მოითხოვს მაღაროებში განათების მოწესრიგებას. ამჟამად ტყიბულში მუშაობენ ჭრაქებით, რაც საშინლად მოქმედებს მუშების ჯანმრთელობაზე. საერთოდ მაღაროებში დაცული არ არის სანიტარულ-ჰიგიენური პირობები. ტყიბულის საავადმყოფოს ბევრი რამ აკლია, არ არის რენტგენის კაბინეტი და სხვა. ცუდ მდგომარეობაშია აგრეთვე აბანო, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ტყიბულის კოოპერატიული სასადილოც სანიტარული მხრით ვერ არის დამაკმაყოფილებელი. ორატორი მოითხოვს ყველა ამ ნაკლულოვანებათა გამოსწორებას.

ამხ. **კაპანაძე** აღნიშნავს, რომ ჭიათურის ვაგონების მტვირთავ მუშებს, მუშაობის უწესოდ განაწილების გამო, უწევთ ზედმეტი მუშაობა.

ამხ. **ასანიძე** (ჭიათურა) უბედურ შემთხვევებში ბრალსა სდებს ადმინისტრაციას და მოითხოვს შრომის ინსპექციამ გააუმჯობესოს უბედურ შემთხვევათა შესწავლისა და აღრიცხვის საქმე. სანატორიუმებში და დასასვენებელ სახლებში გასაგზავნ მემაღაროეთა რიცხვი ორატორს საკმარისად არ მიაჩნია და მოითხოვს მის გადიდებას.

ამხ. **სოფრომაძის** გადმოცემით ტყიბულში მუშათა ბინების აგება ნესტიან ადგილებზე სწარმოებს. რამოდენიმე ახლად აგებული შენობა ჭაობშია ჩადგმული. მომავლისათვის საჭიროდ სცნობს საბინაო აღმშენებლობას მიეცეს უფრო გეგმიანი ხასიათი და სახლები აშენდეს, ისე რომ მუშებმა შესძლონ ყოველ ოჯახური საჭიროებათა დაკმაყოფილება.

ამხ. **ფურცელაძე** (ტყიბული) აუცილებლად სთვლის, რომ ტყიბულის მაღაროებზე მუდმივად მიმაგრებული იქნეს ერთი ტეხნიკური ინსპექტორი, რადგან ტყიბულში ხშირია ცეცხლის გაჩენა და სხვა უბედური შემთხვევები. შემდეგ იგი ეხება მუშათა საექიმო დახმარებას და მოითხოვს ტყიბულის საავადმყოფოს მოხმარდეს ის თანხები, რომელიც ჯანსახკომს აქვს გადადებული. ავადმყოფი მუშა—ამბობს ამხ. ფურცელაძე, დამზღვევ სალაროდან ხშირად თავის დროზე ვერ ღებულობს ფულს. ჯამაგირების მიცემას დამზღვევი სალაროები მთელი თვეობით აგვიანებენ. შემდეგ ორატორი მიაქცევს ყურადღებას, რომ ტეხნიკურ უზრუნველყოფისათვის გაღებული თანხები გეგმიანად იხარჯებოდეს.

ამხ. **ბალუსტოვი** (ბათომი) ამბობს, რომ ადმინისტრაციას არ შეაქვს ხარჯთ-აღრიცხვაში თანხები უბედურ შემთხვევათა საწინააღმდეგო ტეხნიკის გასაუმჯობესებლად. ორატორი იწუნებს სპეცტანსაცმელების ხარისხს, მოითხოვს კოოპერაციის ქსელის გაფართოებას და სხვა.

ამხ. **სოსელია** (ჭიათურა). შრომის ინსპექტორთა ხშირი ცვლა ძალიან ცუდად მოქმედობს შრომის დაცვაზეო. შემდეგ იგი ყრილობის ყურადღებას მიაქცევს მუშათა კვების გაუმჯობესების საკითხზე, მოითხოვს ზოგიერთ მაღაროებში მუშაობის ორი ცვლის მაგივრად შემოღებულ იქნეს სამი ცვლა.

ამხ. ს. **ხვედელიძე** ჩერდება მთამადნის მუშათა შორის არსებულ დიდ უმუშევრობაზე. ამჟამად ამ დარგის უმუშევართა რიცხვი 4,000 უდრის. აქედან შრომის ბირჟაში აღრიცხულია მხოლოდ 1,000. ეს გარემოება ხელს უშლის შრომის კომისარიატს, რომ სათანადო თანხები გამოითხოვონ უმუშევრობის წინააღმდეგ საბრძოლველად. მისი აზრით, ვერ არის მოწესრიგებული აგრეთვე უმუშევართა სოციალური დაზღვევა. უბედურ შემთხვევათა რიცხვი, ორატორის აზრით, ჩვენში გაცილებით მეტია, ვიდრე რუსეთში. ის საჭიროდ სცნობს, რომ გაძლიერდეს ადმინისტრაციის პასუხისგებაში მიცემა უბედურ შემთხვევისათვის

კამათი დამთავრდა ამხ. **ჭელიძის** საბოლოო სიტყვით, რომელმაც მუშების მიერ გამოთქმული მოსაზრებები და მათ მიერ შრომის დაცვის პირობების დახასიათება სავსებით მისაღებად სცნო და აღუთქვა ყრილობას ღონისძიების მიღება აღნიშნულ ნაკლულოვანებათა აღმოსაფხვრელად.

დასასრულ ყრილობამ შრომის კომისარიატის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო და რეზოლიუციის გამოსამუშავებლად აირჩია კომისია ცხრა კაცისაგან.

ამხ. იაკუბოვის მისალმება

სხდომის დასასრულს ყრილობას ამიერკავკასიის პროფკავშირთა საბჭოს სახელით მისალმა ამხ. **იაკუბოვი,** რომელმაც მოუწოდა სამთამადნო მუშებს გაარკვიონ მუშაობა მრეწველობის ასაღორძინებლად და ჩვენი სოც. მეურნეობის განსამტკიცებლად.

ყრილობის უკანასკნელი სხდომა შესდგება დღეს. მიღებული იქნება რეზოლიუციები და არჩეული კავშირის ხელმძღვანელი ორგანოები.

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალურ საბჭოს მეორე პლენუმი

გუშინ საღამოს წითელი არმიის და ფლოტის კლუბში გაიხსნა საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების ცენტრალური საბჭოს მეორე პლენუმი.

პლენუმი გახსნა ამხ. **ფილიპე მახარაძემ.**

პლენუმმა დაამტკიცა რეგლამენტი და შემდეგი დღის წესრიგი: საერთაშორისო მდგომარეობა, საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების საბჭოს პრეზიდიუმის მოხსენება და სარევიზიო კომისიის ინფორმაციული მოხსენება; საორგანიზაციო და მიმდინარე საკითხები.

ამხ. ფ. მახარაძის მოხსენება

საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ფ. მახარაძემ.

— ამხანაგებო, თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების უმთავრესი ამოცანა ხელის შეწყობა ქვეყნის თავდაცვისა და ქიმიზაციისათვის,ჩემს მოხსენებაში, მე შევეხები იმ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის თავდაცვასთან. უკანასკნელ ხანებში ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ იმის შესახებ, რომ ჩვენ ქვეყანას თავდასხმის საფრთხე მოელის. ემზადება თუ არა საერთაშორისო იმპერიალიზმი ახალ ომისათვის? რასაკვირველია ემზადება.

ავიღოთ უკანასკნელი ფაქტები. გასულ წელს შესდგა ერთა ლიგის სესია განიარაღების საკითხის განსახილველად. განიარაღებაზე ერთა ლიგა დიდი ხანია ლაპარაკობს, მაგრამ ეს მხოლოდ ცარიელი სიტყვებია და ამ მხრივ არავითარი სერიოზული ნაბიჯი არ ყოფილა გადადგმული. განიარაღების საკითხი ერთა ლიგაში გაიყინა ერთ წერტილზე. ერთა ლიგა იძულებული იყო სესიაზე მონაწილეობის მისაღებად მოეწვია საბჭოთა კავშირი. ლიგა სრულიად არ მოელოდა ჩვენს მიერ განიარაღების პროექტის წარდგენას. როდესაც ჩვენ წარვადგინეთ განიარაღების პროექტი, ეს მათ არ მოეწონათ, რადგან ჩვენი პროექტის მიღება იქნებოდა ნამდვილი განხორციელება განიარაღების იდეისა, ჩვენი პროექტის დაწუნებით, ერთა ლიგამ გამოაშკარავა თავისი პოლიტიკური სახე და ის სიყალბე, რასაც წარმოადგენს ერთა ლიგის არსებობა. საბჭოთა პროექტის დაწუნება ლიგის მიერ სავსებით გასაგებია, რადგან ლიგაში შედიან ისეთი სახელმწიფოები, რომელთაც არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიათ იყვნენ განიარაღების მომხრე და ომის წინააღმდეგი.

ეს რომ ასეა, ამას ამტკიცებს ამერიკის პოლიტიკა ნიკარაგუაში და იაპონიის ინტერვენცია ჩინეთში. იაპონელებმა ცზინანში 5 ათასამდე ჩინელი ამოჟლიტეს. ნანკინის მთავრობამ პროტესტი განაცხადა ამის წინააღმდეგ და საჩივარი აღძრა ერთა ლიგაში, მაგრამ ლიგამ ყურადღება არ მიაქცია ნანკინის მთავრობის საჩივარს, ასევე გულგრილად ეპყრობა იაპონიის ინტერვენციონისტულ პოლიტიკას ჩინეთში შეერთებული შტატებიც. მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი პოლიტიკაა. თუ იაპონიამ განაგრძო ჩინეთის ტერიტორიის დაპყრობა, იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის უეჭველად კონფლიქტი დაიწყება, რადგან მარტო არ დაანებებენ ჩინეთში თარეშს. იაპონიის პოლიტიკამ ჩინეთში შეიძლება გამოიწვიოს ახალი საერთაშორისო გართულება.

რა ხდება ამ დროს ევროპაში? იქ სწარმოებს ძალების დაგროვება ანტისაბჭოთა ბლოკის შესაქმნელად. ინგლისი მოლაპარაკებას აწარმოებს გერმანიასთან, რომ ეს უკანასკნელი ჩააბას ანტი-საბჭოთა ბლოკში. ასეთივე კამპანია სწარმოებს საფრანგეთშიაც, სადაც ამ კამპანიას მეთაურობს დე-მონზი, რომელიც მოითხოვს დიპლომატიურ და ეკონომიურ ბლოკს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ასეთი სულიერი განწყობილება შემთხვევითი არ არის.

ევროპის ბურჟუაზიას ეშინია კომუნიზმის საფრთხის, ანტი-საბჭოთა კამპანია შეიძლება კიდევ უფრო გაძლიერდეს გერმანიის კომპარტიის გამარჯვების გამო არჩევნებში. კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე იდევნება, არჩევნებში მოაგროვა 3.260.000 ხმა. ეს გერმანიის კომპარტიის დიდი გამარჯვებაა,რომელსაც ბურჟუაზია აწერს მოსკოვს. ამიტომ ამის შემდეგ ბურჟუაზია შეეცდება კიდევ უფრო გააძლიეროს იერიშები კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ.

იმპერიალისტები გაფაციცებით ემზადებიან ომისათვის. ამას მოწმობს ის გაცხოველებული სამხედრო მუშაობა, რომელიც სწარმოებს ევროპის სახელმწიფოებში.

ვხედავთ რა ასეთ მდგომარეობას, ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შეგვიძლია გულხელ-დაკრეფილი ვუყუროთ ამას, მუშებს და გლეხებს არ შეუძლიათ გულგრილად უცქირონ იმას, რაც დღეს ევროპაში ხდება. ჩვენც უნდა გავაძლიეროთ სამხედრო მუშაობა, გავავრცელოთ სამხედრო ცოდნა ფართო მასებში. ამ მიზანს ემსახურება თავდაცვა-ავიაქიმი, რომელსაც თავის მუშაობაში აქვს დიდი მიღწევები. საჭიროა თავდაცვა-ავიაქიმმა კიდევ უფრო გააძლიეროს მუშაობა მუშათა ფართო მასების გასამხედროების დარგში. განსაკუთრებით გაძლიერებული უნდა იქნეს მუშაობა კომკავშირელთა შორის. ამ მხრივ დღევანდელმა პლენუმმა უნდა მიიღოს სათანადო დადგენილებები და გამოიმუშაოს ღონისძიებები, რომელთა გატარება ხელს შეუწყობს სამხედრო ცოდნის გავრცელების საქმის სათანადო დონეზე დაყენებას. (ტაში).

თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმის მუშაობა

(ამხ. ლ. აბაშიძის მოხსენება)

შემდეგ თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ლ. აბაშიძე.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ თავდაცვა-ავიაქიმი 1927 წლამდე არ წარმოადგენდა მაინცა და მაინც მძლავრ ორგანიზაციას თავისი ხარისხით და საქმიანობით. ეხლა კი ის ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული, განმტკიცებული და შინაარსის მხრივ მეტად საყურადღებო საბჭოთა - საზოგადოებრივი ორგანიზაციაა. საზოგადოების მუშაობის გაცხოველება იწყება თავდაცვის კვირეულიდან,რომელიც შარშან იქნა ჩატარებული. 1927 წლის 1-ლ იანვრისათვის საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის რიგებში ირიცხებოდა 38.000 წევრი. ამჟამად სხვადასხვა ღონისძიებათა ჩატარებით და სათანადო კამპანიების წყალობით საზოგადოების რიგები საგრძნობლად გაიზარდა. მიმდინარე წლის 1-ლ აპრილისათვის საზოგადოებაში ირიცხებოდა 24 სარაიონო საბჭო და სოფლის ორგანიზაციები 70.421 წევრით, რომლებიც გაერთიანებულ არიან 1010 უჯრედში. თუ წინათ მეტი ყურადღება ექცეოდა ქალაქებში მუშაობას, ეხლა ყურადღების ცენტრი გადატანილ იქნა გლეხობის და მოსწავლე ახალგაზრდობის ჩაბმაზე ორგანიზაციაში. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ წევრთა ზრდა სწარმოებს მეტ ნაწილად სამაზრო ორგანიზაციებში. გლეხობის ჩამორჩენილი ფენებიც კი ებმებიან ისეთ მნიშვნელოვან კულტურულ-სამეურნეო ორგანიზაციის რიგებში, როგორიც არის თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება.

ამჟამად საზოგადოებას საქართველოში აქვს მოწყობილი: 505 სასროლო წრე, 67 პირველი დახმარების წრე, 3 მედიკო-სანიტარული რაზმი, 33 მენახვეთა წრე, 2 საპლანერო წრე, 17 ქიმიური რაზმი, 450 სამხედრო კუთხე და 9 საცდელ-საჩვენებელი სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთი.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოების მიერ ჩატარებული იქნა: 112 სროლის შეჯიბრი, 4 მენახვეთა შეჯიბრი, 14 სხვადასხვა საბრძოლო ისცენირება და 10 ლაშქრობა. უჯრედებში ჩატარებულია 511 ლექცია, 1.808 მოხსენება, 1.500 საუბარი, 31 საღამო-წარმოდგენა, 55 სამხედრო ხასიათის კინო-სურათების დემონსტრაცია და 20 ექსკურსია.

საზოგადოებამ მნიშვნელოვანი მატერიალური დახმარება გაუწია თავდაცვის ფონდს. აღსანიშნავია აგრეთვე მთელი რიგი დასაფრენი მოედნების აგება მაზრებში, რომელთა მოწყობაზე თავდაცვა-ავიაქიმის მიერ, გარდა საზოგადოების წევრების ფიზიკური შრომისა, დახარჯულია 5.000 მანეთზე მეტი.

ავღანისტანის ელჩის ჩამოსვლა

გუშინ საღამოს მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა ავღანისტანის ელჩი საბჭოთა კავშირში **მირზა-მუხამედ-ხანი.** ელჩს თან ახლდა ავღანისტანის საელჩოს პირველი მდივანი სადგურზე სტუმრებს შეხვდა საგარეო საქმეთა სახ. კომისარიატის რწმუნებული ამიერკავკასიაში ამხ. **კარკლინი.**

ავღანისტანის და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ მირზა-მუხამედ-ხანმა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში აღნიშნა:

— საბჭ. კავშირსა და ჩვენს ქვეყანას შორის იმთავითვე დამყარდა მტკიცე მეგობრული ურთიერთობა და კეთილმეზობლური განწყობილება. ფადიშახის პირადათ ჩამოსვლამ საბჭოთა კავშირში შექმნა საფუძველი აღნიშნულ ურთიერთობა კიდევ უფრო გაუმჯობესებისათვის. რა თქმა უნდა, ევროპის ქვეყნების ჩამოვლის შემდეგ ფადიშახი უნდა სწვეოდა საბჭოთა კავშირსაც ვინაიდან, როგორც უკვე ავღნიშნე, საბჭოთა კავშირსა და ავღანისტანს შორის მეგობრულ ურთიერთობას უფრო მეტი წლების ისტორია აქვს, ვიდრე ზოგიერთ სხვა ქვეყნებთან.

ევროპაში ფადიშახის მოგზაურობასთან დაკავშირებულია მთელი რიგი მეგობრული ხელშეკრულებებისა ერთის მხრივ ავღანისტანსა და მეორეს მხრივ—იაპონიას, შვეიცარიას და ლატვიას შორის. ავღანისტანი გარდა ამისა, მიღებულია საერთაშორისო საფოსტო კავშირში.

მოსკოვში ფადიშახის ჩამოსვლისას დაწყებული იქნა მოლაპარაკება ავღანისტანსა და საბჭოთა კავშირს შორის სავაჭრო ხელშეკრულების დადებისათ. ავღანისტანის მხრივ მოლაპარაკებას აწარმოებს ვაჭრობის მინისტრი **აბდულ-ხიდა-ხანი.** გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ აღნიშნული მოლაპარაკება სასურველად დაბოლოვდება. ეხლაც, მიუხედავად ასეთი ხელშეკრულების უქონლობისა, სავაჭრო ურთიერთობა ორივე ქვეყანას შორის მაინც თანდათანობით იზრდება.

დასასრულ მირზა მახმედ ხანმა აღნიშნა, რომ ფადიშახთან დახლოებული პირების გადმოცემით, ფადიშახი ძლიერ კმაყოფილი დარჩა საბჭოთა კავშირში ყოფნით, სადაც მან შეხვდა გულწრფელი მეგობრული გრძნობით, რაც უეჭველად ხელს შეუწყობს ავღანისტან-საბჭოთა კავშირის შემდგომ დაახლოვებას და მათ შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცებას.

დღეს ავღანისტანის ელჩი მიემგზავრება ბათომში ფადიშახის შესახვედრად, რომელსაც იქ მოელიან 1-ლ ივნისს.

პარტიული ცხოვრება

სამშაბათს, 29 მაისს, საღამოს 6 საათზე, თბილისის ამიერკომის დარბაზში შესდგება

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მე-5-თე გაფართოებული პლენუმი

დღის წესრიგშია—მასიური მუშაობის შესახებ. საქართ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის წევრ-კანდიდატთა დასწრება აუცილებელია.

აგრეთვე მოწვეული არიან რაიკომების პრეზიდიუმის წევრ-კანდიდატები, მსხვილი უჯრედების მდივნები, კავშირების ცენტრ. გამგ. ფრაქციების წევრები და მსხვილ წარმოებათა საქარხნო-საფაბრიკო და ადგილობრივ კომიტეტების თავმჯდომარეები (კომუნისტები).

თათბირის გადადება

მოსკოვი, 28 მაისი. საკავშირო კომკავშირის (ბ) ცეკამ დაადგინა მიმდინარე წლის შემოდგომამდე გადასდოს თათბირი სახალხო განათლების შესახებ (ადს).

კომკავშირი და თავდაცვის კვირეული

მოსკოვი, 28 მაისი. საკავშირო ლენინურ კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა საკავშირო ლენინურ კომკავშირის ყველა ორგანიზაციებს წინადადება მისცა აქტიური მონაწილეობა მიიღონ საბჭოთა კავშირის თავდაცვის კვირეულში. კომკავშირლებმა უნდა გამოიჩინონ ინიციატივა თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობის გაფართოებაში სოფლად, წითელ არმიასთან და ფლოტთან და კომკავშირის კავშირის გასაძლიერებლად თავდაცვის კვირეულის განმავლობაში უნდა მოეწყოს ახალგაზრდობისა და პიონერთა მასიური ექსკურსიები ყაზარმებსა და გემებზე.

არსრაიკომის პლენუმზე

26 მაისს ცენტრალურ მუშათა კლუბში შესდგა მე-2 რაიკომის გაფართოებული პლენუმი, რომელზედაც რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ ამხ. ბელელაძემ გააკეთა მოხსენება უჯრედთა ბიუროების გადარჩევის შედეგების შესახებ.

— ზოგიერთ მიღწევებთან ერთად—ამბობს მომხსენებელი, გადარჩევების პროცესში გამოირკვა, რომ უჯრედის ბიურო ძალიან ხშირად დატვირთულია ისეთი საკითხებით, რომლებიც სრულებით არ შედის მისი მუშაობის ფარგლებში. მაგალითად, უჯრედის ბიურო იხილავს ნებაყოფლობით საზოგადოების საკითხებს, უმუშევართა საკითხებს და გვერდს უხვევს ისეთ გადაუდებელ ამოცანას, როგორიცაა წარმოების პრაქტიკული საკითხების განხილვა.

ზოგიერთმა უჯრედმა ვერ გაიგო სათანადოთ პარტიის დირექტივები ადმ. სამ. ხარჯების 20 პროც. შემცირების შესახებ, რის გამოც ამ საკითხის ირგვლივ გამოიტანა ზოგადი ხასიათის ღონისძიებანი; დადგენილების პრაქტიკულათ განხორციელება კი, უმრავლეს შემთხვევაში ვერ მოახერხა.

პარტდატვირთვის განაწილების საქმე ჯერ კიდევ ვერ არის მოწესრიგებული. საშუალოთ თვითეულ უჯრედში წევრების 20—30 პროცენტია დატვირთული.

უჯრედები ვერ უწევენ კონტროლს მიცემულ დავალებების შესრულებას. საწევრო გადასახადის შეტანა უკანასკნელ ხანებში კარგათაა დაყენებული.

დასასრულს, მომხსენებელი შეეხო სარევიზიო კომისიების მუშაობას. კომისიების სისუსტე—სთქვა მან—გამოიხატა იმაში, რომ მათ ვერ შესძლეს პარტორგანოების მიერ მიცემულ დირექტივების განხორციელება.

ახალი ბიუროების შემადგენლობა საგრძნობლად განახლებულია. გაიზარდა ბიუროების მუშური ნაწილი. ახალი ბიუროები ენერგიულად უნდა შეუდგენ კამპანიაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას. მათ მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ საწარმოო საკითხებს და მეტი მონაწილეობა მიიღონ წარმოების რაციონალიზაციის საქმეში.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა უმთავრესად ადმ. სამ. ხარჯების შემცირების შესახებ ილაპარაკეს, აღნიშნეს რომ წარმოებებში შეუძლებელია პარტიის დირექტივების გატარება სამეურნეო ხარჯების შემცირების შესახებ, ვიდრე არ გაუმჯობესდება ადმინისტრაციის, ადგილკომის და კომუჯრედის ურთიერთ დამოკიდებულება.

ლ. ფ.

თბილისის კომიტეტში

ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის გამოკვლევის შედეგები

ნორჩ პიონერთა თბილისის ორგანიზაციის მდგომარეობის გამოკვლევამ, რომელიც ამას წინად იქნა ჩატარებული საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის მიერ, გამოარკვია, რომ უკანასკნელ წელში თვალსაჩინოდ სჩანს პიონერთა ორგანიზაციის მუშაობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება, მიუხედავად იმ მძიმე პირობებისა, რომელშიაც მიმდინარეობდა ეს მუშაობა.

უკანასკნელ წელში ჩვენ ვხედავთ ნორჩ პიონერთა კოლექტივების მუშაობის გამოცოცხლებას, ამ მუშაობის შინაარსის გაუმჯობესებას, პიონერთა შორის მუშაობის გაძლიერებას სკოლებში, კომკავშირის ხელმძღვანელობის ერთგვარ გაუმჯობესებას და დაზრდილობას, ორგანიზაციის რიცხობრივ ზრდას.

ამასთან ერთად ნათლად იჩენს თავს მთელი რიგი მუშაობის შემაფერხებელი ნაკლოვანებანი: მუშაობის შინაარსი ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს სავსებით პიონერთა მასების მოთხოვნილებებს, ჯერ კიდევ საკმაო არ არის პარტიისა და კომკავშირის ხელმძღვანელობა. საბჭ. ფართო საზოგადოებრიობა (პროფკავშირები, კლუბები, ფიზკულტურები და სხ.) ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს პიონერთა მოძრაობას; მეტად სუსტია პიონერთა ორგანიზაციის ნივთიერი ბაზა და პიონერ-მუშაკთა შემადგენლობა. გამოკვლევის შედეგების მიხედვით, პიონერთა შორის მუშაობის გაფართოებისა და კიდევ უფრო გაუმჯობესების მიზნით თბილისის კომიტეტმა დასახა შემდეგი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც უმთავრესად მდგომარეობს შემდეგში:

1) გადასინჯულ იქნას პიონერთა ორგანიზაციების მუშაობა იმ მიზნით, რომ შეიქმნას მუშაობის ახალი ფორმები და მეთოდები, რომლებიც უზრუნველჰყოფს პიონერების საზოგადოებრივ-შრომითი აღზრდას და მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

2) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს პიონერთა მუშაკების შერჩევასა და მომზადების საკითხებს—მათი კულტურულ-პოლიტიკური განვითარების დონის აწევას.

3) ყურადღება მიექცეს აგრეთვე პიონერთა შორის მუშაობის გაუმჯობესებას სკოლაში, მშობელთა მასების პედაგოგიური და სოციალური ძალების ჩაბმას ამ მუშაობაში, პიონერთა ფიზიკურად აღზრდას და სხ.

4) ყურადღება მიექცეს პიონერთა ორგანიზაციის მატერიალური ბაზის გაძლიერებას.

მუშათა ცხოვრება

ადმინისტრაციის პასუხისგებაში მიცემა

წარმოება-დაწესებულებების ადმინისტრაციების მიერ კოლექტიურ ხელშეკრულებებისა და შრომის კანონმდებლობის დარღვევის ბოლო არ უჩანს. ზოგიერთი ადმინისტრაცია იმდენად არის გათამამებული, რომ იგი არავითარ ანგარიშს არ უწევს არც შრომის დაცვის ორგანოებს და არც პროფკავშირებს და სისტემატიურად, უშიშრად განაგრძობს კოლხელშეკრულებისა და შრომის კანონმდებლობის დარღვევას.

უნდა ითქვას სიმართლე, რომ ზოგიერთი პროფკავშირიც ვერ აქცევს სათანადო ყურადღებას ამ საკითხს. განსაკუთრებით პროფკავშირის ძირითადი ორგანოები; ფაბქარხადგილკომები. ხშირად ექცევიან ადმინისტრაციის გავლენის ქვეშ და კოლხელშეკრულების დარღვევას დუმილით უპასუხებენ. მათ არ იციან როგორ მოიქცნენ, ვის მიმართონ, ან რა ღონისძიება იხმარონ ხელშეკრულების დარღვევის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამ მხრივ მედსანშრომის პროფკავშირმა უკვე გადასდგა შესაფერი ნაბიჯი. მან კოლხელშეკრულების მე-10-ე მუხლის სისტემატიურად დარღვევისათვის, რაც გამოიხატება შრომის ბირჟის გარეშე თანამშრომელთა მიღებაში, პასუხისგებაში მისცა რკინის გზის საავადმყოფოს ადმინისტრაცია. პასუხისგებაშია მიცემული აგრეთვე თბილისის ჯანმრთელობის განყოფილებაც კოლექტიური ხელშეკრულებისა და შრომის კანონმდებლობის დარღვევის გამო, რაც გამოიხატება: ზედმეტ საათების მუშაობის წარმოებაში, თანამშრომლებზე გამოსასვლელ დღეების მიუცემლობაში, სამსახურში მიღება-დათხოვნის წესების დარღვევაში, თანამშრომლების სპეცტანსაცმლებით დაუკმაყოფილებაში და სხვა.

საჭიროა სხვა პროფკავშირებმაც მიმართონ მედსანშრომის მუშაკთა პროფკავშირის და სასტიკი ბრძოლა აწარმოონ შრომის კანონმდებლობის დარღვევასთან.

არც ერთი ადმინისტრაცია, რომელიც არ უწევს ანგარიშს პროფორგანოებს და სისტემატიურად არღვევს კოლექტიურ ხელშეკრულებას და შრომის კანონმდებლობას, არ უნდა დარჩეს პასუხისგებაში მიუცემელი. მხოლოდ ასეთი საშუალებით შევძლებთ მტკიცეთ გავატაროთ შრომის კანონმდებლობა.

პროლეტარი.

—:—

თვითკრიტიკა და მუშკორები

გაზ. „კომუნისტი"-ს მუშკორთა საერთო კრებაზე, რომელიც შესდგა 23 მაისს, თვითკრიტიკისა და მუშკორთა ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. აკ. ჭყონიამ.

— ლოზუნგი თვითკრიტიკის შესახებ—ამბობს ამხ. ჭყონია,—არ არის ახალი. მაგრამ დღეს ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. სოციალისტური მშენებლობის გასამტკიცებლად საჭიროა წარმოება-დაწესებულებების ყველა დეფექტების და ნაკლოვანებანის სააშკარაოზე გამოტანა. საჭიროა საღი და საქმიანი კრიტიკის წარმოება თუნდაც ეს კრიტიკა მიმართული იყოს პიროვნების წინააღმდეგ, განურჩევლად თანამდებობისა. ასეთ კრიტიკის მაწარმოებელი მთავარი ძალა კი არის პრესა და მუშაკორესპონდენტთა მრავალრიცხოვანი არმია, რომელმაც დაუზოგველად უნდა ამხილოს ჩვენი საქმიანობის უარყოფითი მხარეები.

ამ საკითხს ჩვენმა მუშკორებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ. მუშკორმა არ უნდა დაიხიოს უკან და თავისი კალმით სასტიკად უნდა ებრძოლოს ყოველგვარ ბოროტებას. ამავე დროს მუშკორმა არ უნდა დასტოვოს უყურადღებოდ წარმოების დადებითი მხარეებიც.

გარდა ამისა მუშკორებმა უნდა იფიქრონ აგრეთვე თავიანთ თავზედაც. მათ უნდა აწარმოონ თავიანთი თავის კრიტიკაც. უნდა მოსპონ მუშკორ-მედიდურობა, ყოყოჩობა, სხვასი გავლენის ქვეშ მოქცევა და სხვა.

მუშკორებმა ამხ. ჭყონიას მისცეს რამოდენიმე შეკითხვა, რომელზეც მომხსენებელმა დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა. მოხსენებამ დიდათ დააინტერესა მუშკორები, რაც აუცილებლად შესაფერ ნაყოფსაც გამოიღებს.

დასასრულს მუშკორებმა გადასწყვიტეს კვირას, 27 მაისს მოაწყონ ექსკურსია კოჯორში, საბავშვო სახლების დასათვალიერებლად.

ვანო.

ვის დაუჯეროთ

„ზარია ვოსტოკა"-ს 3 მაისის ნომერში მოთავსებული იყო წერილი სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ აკაკი ჯაფარიძის სტიპენდიის უკანონოთ მიცემის შესახებ. ავტორი აღნიშნავს, რომ ჯაფარიძეს ჰყავს შეძლებული მშობლები სვანეთში, რომელიც ყოველთვიურად უგზავნიან საკმაო თანხას და სხვა. ავტორის აზრით თითქოს მამიდაშვილობას, ან პროტექციას აქვს ადგილი, რომ ჯაფარიძეს სტიპენდიას აძლევენ, ნამდვილად კი საქმე შემდეგშია: ამხ. ჯაფარიძე უნივერსიტეტში გამოგზავნილია სვანეთის სამაზრო ორგანოების მიერ და სტიპენდიასაც დიდი ხანია ღებულობს.

წელს, დაახლოებით მარტის პირველ რიცხვებში სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა ალმასტიუროში შემოვიდა განცხადება, სადაც აღნიშნული იყო იგივე, რაც არის ნათქვამი გაზეთში მოთავსებულ წერილში. მეორე დღესვე ალმასტიურომ მოუხსნა სტიპენდია ჯაფარიძეს და თანახმად მისი თხოვნისა შეუდგა საჩივრის სინამდვილის გამორკვევას.

სვანეთის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. სილ. ნავერიანი და კომკავშირის სამაზრო კომიტეტის პ.-მ. მდივანი ამხ. ი. გვიდანი, რომლებიც ამ დროს თბილისში იყვნენ, კატეგორიულად უარყვეს შემოტანილ საჩივრის შინაარსი და სამაზრო აღმასკომის და კომკავშირის სამაზრო კომიტეტის სახელით დასტოვეს ცალ-ცალკე ოფიციალური განცხადებები ალმასტიუროს სახელზე, სადაც ნათქვამია, რომ აღნიშნულ ორგანოების მიერ ამხ. ჯაფარიძე გამოგზავნილია მაზრაზე დათმობილ სტიპენდიის ანგარიშში და იგი არის ღარიბი ოჯახის შვილი და სხვა.

შემოვიდა აგრეთვე 5 სვან სტუდენტის განცხადება, რის შემდეგ ალმასტიურო იძულებული იყო ანგარიში გაეწია შემოსულ მასალებისათვის და ამხ. აკ. ჯაფარიძე აღადგინა სტიპენდიანტის უფლებებში.

შესაძლებელია ალმასტიურო კიდევ შეცდომაშია შეყვანილი, მაგრამ ვის დაუჯეროს ალმასტიურომ არ იცის; სამაზრო ორგანოებს, უნივერსიტეტში მყოფ სვან სტუდენტებს, თუ იმ ამხანაგებს, რომელნიც ჩივიან ჯაფარიძის ოჯახის შეძლებულ მდგომარეობაზე და სტიპენდიის უკანონოთ მიცემაზე?

ჩვენის აზრით ურიგო არ იქნება, რომ უმაღლესმა ორგანოებმა მოჰკიდონ ხელი ამ საქმეს და გამოარკვიონ თუ ვის და როგორ ეძლევა სიღარიბის მოწმობები სასწავლებლად ჩამოსულ სტუდენტებს. ეს აუცილებლივ ხელს შეუწყობს სტიპენდიის სწორად განაწილებას.

ს. კიკაბიძე.

—:—

მუშკორთა წერილებიდან

ავადმყოფებს აბანოში ნუ შეუშვებთ. თბ. აბანოების საერთო განყოფილებებში ძალიან ხშირად შეხვდებით კანით ავადმყოფებს, რომლებიც სხვა მობანავეებთან ერთად ბანაობენ საერთო აუზებში. ეს იმით არის გამოწვეული, რომ არც ერთ აბანოში მობანავეს არ შინჯავენ, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა გადამდებ სენის გავრცელებას მობანავეებ შორის. ჯანმრთელობის განყოფილებამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ მოვლენას.

ი. გელოვანი.

წესრიგის დამცველიც ასეთი უნდა. 15 მაისს, სად. ახალსენაკიდან მატარებელს წამოჰყვა რკინის გზის ქმედი ამხ. მეძველია, რომელმაც არავითარი დახმარება არ აღმოუჩინა მატარებლის რევიზორს მატარებელში წესრიგის დაცვაში. გარდა ამისა მეძველიამ მაგარ ვაგონიდან რბილ ვაგონში გადმოიყვანა ვიღაც ქალი და სად. მცხეთამდე კარჩაკეტილ კუპეში ჰყავდა თავისთან. წესრიგის დამცველიც ასეთი უნდა.

ხორითელი.

ჩააბით მუშაობაში. მთ. სახელოსნოების სამჭედლო-სამქროს მუშები არ არიან ჩაბმული საწარმოო და სხვადასხვა კომისიების მუშაობაში. საჭიროა ადგილკომმა მეტი ყურადღება მიაქციოს სამჭედლო სამქროს მუშებს და ჩააბას ისინი საწარმოო თათბირის მუშაობაში.

ფ. იქაური.

მოგვაშორეთ ვაჭარი. აუზის ქ. № 7-ში სცხოვრობს ვინმე ს. ქიტიაშვილი, რომელმაც გასულ წელს მიკეტა თავისი სავაჭრო და ვაჭრობა დაიწყო საცხოვრებელ ბინაში. მოაქვს კახეთიდან ღვინო და ტყავს აძრობს მუშა მცხოვრებლებს.

ხიმელი.

მშრომელ ბავშვთა დემონსტრაცია

ბავშვთა საერთაშორისო მეექვსე კვირეულის უკანასკნელი დღე—27 მაისი თბილისის პიონერებმა და მოწაფეებმა აღნიშნეს დემონსტრაციით, რომელიც თავისი მრავალრიცხოვანობით აღემატება პიონერთა ყველა წინანდელ დემონსტრაციებს.

დილიდანვე ქალაქის ქუჩებში გაისმა დოლებისა და რამოდენიმე ათეული საყვირის ხმა. ერთი-მეორეს მოჰყვა პიონერთა რაზმები და სკოლები ალისფერი დროშებით, ფერადოვანი პლაკატებით და ლოზუნგებით.

დემონსტრაციის დაწყებამდევე გამოცოცხლდა თავმოსაყრელი პუნქტები. ახლად მოსული ბავშვები ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ, მხიარულად ცეკვავდნენ და მღეროდენ. როდესაც საყვირის ხმა გაისმა, ბავშვები სწრაფად დაეწყვნენ რიგებად და მწყობრ რაზმებად ტრიბუნისაკენ გაემართნენ.

კომკავშირის ცეკასთან გამართული პატარა ტრიბუნა გაწყობილია პარტიის, მთავრობის, კომკავშირის და პროფკავშირების წარმომადგენლებით, რომლებიც მოელიან აქ, რომ მიესალმონ ნორჩ ლენინელებს მათი დემონსტრაციის დღეს. შუადღის 12 საათზე აზმაურდა ორკესტრები და ათასობით პიონერებმა მწყობრი ნაბიჯით დაიწყეს მსვლელობა.

— გაუმარჯოს საკავშირო კომპარტიას!

— ფართო გზა მესამე თაობას!

— მზად იყავით საბჭოთა კავშირის დასაცავად! ხმა-მაღლა გაისმოდა ლოზუნგები და ამ ლოზუნგებს ბანს აძლევდნენ პიონერთა რაზმები.

ალისფერ დროშებსა და პლაკატებზე მოსჩანდა პიონერთა მოწოდებანი:—ბრძოლა კულტურისათვის, ახალი ყოფა-ცხოვრებისათვის, მსოფლიო რევოლუციისათვის. ბევრი პიონერი დემონსტრაციაზე გამოვიდა თოფებით, გაზის საწინააღმდეგო აპარატებით, რათა მოეხდინათ თავისი სამხედრო მომზადების დემონსტრაცია.

დროშებით გაიარეს ჩინელებად და ზანგებად შენიღბებულმა პიონერებმა, ჩაატარეს ბურჟუა და ჩემბერლენი, რომლებსაც თოკის გაწევ-გამოწევით ამოძრავებდნენ; ყველა მხიარულობდა და ყველგან გაისმოდა სიმღერები.

დემონსტრაციაზე გამოვიდა 15 ათასი პიონერი; მათ დაგვანახვეს თავისი შემჭიდროება, ზრდა და სურვილი, რომ ემსახურონ პროლეტარულ სამშობლოს და საბჭოთა ხელისუფლებას. ამ დემონსტრაციამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ წინა თაობის შემცვლელი ახალი თაობა იზრდება და მიდის სწორ ლენინური გზით.

ე. ზ.

თათბირი საბჭოთა მშენებლობის შესახებ

სახალხო წითელ დარბაზში დღეს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს ცაკი იწვევს სპეციალურ თათბირს საბჭოთა მშენებლობის შესახებ.

თათბირის მნიშვნელობის შესახებ ჩვენს თანამშრომელს ცაკის მდივანმა ამხ. **შალვა მათიკაშვილმა** განუცხადა შემდეგი:

თათბირის მოწვევის უმთავრესი მიზანია გაითვალისწინოს ძირითად საბჭოთა აპარატის მუშაობა, მისი დღევანდელი მდგომარეობა და ამავე დროს გამოიმუშაოს კონკრეტიული ღონისძიებები მუშაობის გასაცხოველებლად.

გარდა ამისა, თათბირი ჩამოაყალიბებს საბჭოების შემდგომ საქმიანობის და მათზე ხელმძღვანელობის გაწევის ფორმებს, იმგვარათ, რომ ეს ფორმები სავსებით შეესაბამებოდეს და აკმაყოფილებდეს საბჭოების წინაშე მდგომ ამოცანებს.

შემდეგ თათბირი გამოიმუშავებს საფუძვლებს თემსაბჭოების ახალ დებულების შესადგენად, ვინაიდან არსებული დებულება, რომელიც დამტკიცებულია 1925 წელს, მოძველებულია და ველარ აკმაყოფილებს საბჭოთა მუშაობის დღევანდელ მოთხოვნილებებს.

ყველა ამ საკითხებს თათბირი განიხილავს და შესაფერ დასკვნებს გამოიტანს იმ მასალების მიხედვით, რომლებიც მოგვცა წელს ჩატარებულმა საბჭოების საანგარიშო კამპანიამ, საინსტრუქტორო აპარატის გამოკვლევებმა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის მიერ ჩატარებულმა საბჭოთა დემოკრატიის გამოკვლევამ.

თათბირის მთელი მუშაობა ჩატარებული იქნება იმ ძირითად ამოცანებთან შეფარდებით, რომლებიც პარტიის მე-15 ყრილობამ წამოაყენა საბჭოების წინაშე, და რომლებიც გამოიხატება საბჭოთა აპარატის გადახალისებასა და სოფლის სოციალისტურ საფუძვლებზე გარდაქმნაში.

საბჭოების მუშაობის გაცხოველების დარგში—განაცხადა ამხ. მათიკაშვილმა—ჩვენ ამჟამადაც მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს, მაგრამ ჯერ კიდევ ცოტაა ისეთი საბჭოები, რომელთა საქმიანობა შეიძლება სავსებით დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს.

სოფლის საბჭოების ძირითად ამოცანას შეადგენს, რომ ადმინისტრატიულ-სამმართველო ორგანოებიდან ისინი გადაიქცენ სოფლის პოლიტიკურ, სამეურნეო, კულტურულ და საზოგადოებრივ დაწესებულებებათ. ამ ამოცანის განსახორციელებლად თათბირი გამოიმუშავებს შესაფერ ღონისძიებებს.

ა.-კ. სას. სამ. შრომის ინსპექტორების თათბირი

თათბირისი მეოთხე სხდომაზე დამთავრდა კამათი მოხსენებების ირგვლივ. მომხსენებელთა უკანასკნელი სიტყვების შემდეგ არჩეულ იქნა კომისია, რომელსაც დაევალა რეზოლიუციების შემუშავება.

შემდეგ თათბირმა მოისმინა ა.-კ. სოცდაზღვევის მთავარი კომიტეტის წარმომადგენელ ამხ. თუმანიშვილის მოხსენება სოფლად დაქირავებულ მუშათა სოც. დაზღვევის შესახებ.

1927 წლის 26 ოქტომბერს საკავშირო ცაკის და სახკომსაბჭოს მიერ გამოცემული იქნა კანონი გლეხის მეურნეობებში დაქირავებით მომუშავეთა დაზღვევის შესახებ. კანონით გათვალისწინებულია დაზღვევის ორი სახე: სავალდებულო დაზღვევა, რომელიც ვრცელდება ისეთ მეურნეობა-წარმოებაში რომელიც ამზადებს გასაყიდ პროდუქციას და ნებაყოფლობითი დაზღვევა, რომელიც ვრცელდება შრომითი ხასიათის გლეხის მეურნეობებზე. ტარიფების დაწესების ეკონომიურ სიძლიერეს და სამუშაო ძალთა განვითარების, რის მიხედვითაც პირველი სახის მეურნეობებზე წესდება 10—6 პროცენტიანი, ხოლო შრომითი ხასიათის მეურნეობაზე 3 პროცენტიანი დაზღვევა.

დაზღვევის ტარიფის შესაფასებლათ ცენტრალური სადირექტივო ორგანოების მიერ რესპუბლიკების სახ. კომისართა საბჭოებს დავალებული ქონდა მეურნეობათა ტიპების გამორკვევა.

საკავშირო სოცდაზღვევის საბჭომ გამოსცა დაზღვევის დაწყებულების წესები, დააწესა დაზღვევის ვადები და დასაზღვევ ელემენტის რაოდენობა საბჭოთა კავშირის თვითეულ რაიონისათვის. ამ ნორმების მიხედვით ამიერ-კავკასიაში დაზღვეულ უნდა იქნეს 15.000 სოფლად დაქირავებული მუშა (გარდა წინეთ დაზღვეულებისა). აქედან საქართველოში დაზღვეული უნდა იქნეს 7.000, აზერბეიჯანში—6.500 და სომხეთში—1.500 კაცი.

დაზღვევის საქმის წარმატებას სოფლათ საგრძნობლათ აფერხებს პრაქტიკის უქონლობა, დაზღვევის ორგანოების ქსელის სისუსტე, მოჯამაგირეთა დაქსაქსულობა, მათი დაბალი კულტურული დონე, სამკურნალო ქსელის უქონლობა და სხვა.

დაზღვევის საქმის წარმატებით ჩასატარებლათ გაფართოებული უნდა იქნეს დამზღვევ ორგანოების ქსელი სოფლათ (პუნქტები და რწმუნებულები), დაზღვევის საქმის პოპულარიზაციისათვის მოჯამაგირეთა შორის ჩატარებული უნდა იქნეს საგანმანათლებლო-საპროპაგანდო მუშაობა, უნდა გაფართოვდეს სამკურნალო დახმარების ქსელი, დაზღვევის საქმეში ფართო მონაწილეობა უნდა მიიღონ მიწა-წყლის მუშათა კავშირის ძირითადმა ორგანოებმა და სხ..

ეს მუშაობა თანახმად ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატის დადგენილებისა ადგილზე უნდა დაწყებულიყო ა.-წ. 1 აპრილს, მაგრამ აქამდე არ ჩატარებულა. ამიტომ მიღებული უნდა იქნეს გადამჭრელი ზომები, რომ კანონი განხორციელდეს მიმდინარე სახ. სამ. სეზონში.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. ორატორები უმთავრეს ყურადღებას აქცევდენ საექიმო დახმარების სისუსტეს და მოითხოვდენ სამკურნალო ქსელის გაფართოებას; მიუთითებდენ რწმუნებულთა ქსელის გაფართოების საჭიროებაზე, დაზღვევის საქმეში მიწა-ტყის მუშათა კავშირის მონაწილეობის აუცილებლობაზე. და სხ. ორატორებმა საჭიროდ მიაჩნიათ დაზღვევის ადგილობრივ ორგანოებსა და ცენტრის შორის ცოცხალი კავშირის განმტკიცება, დაზღვევის საქმის მუშაკთა თათბირების მოწყობა და სისტემატიური ინსტრუქციები.

თათბირის უკანასკნელ სხდომაზე, გუშინ დილით, განხილული და დამტკიცებული იქნა კომისიის მიერ შემუშავებული რეზოლიუციები, რის შემდეგაც თათბირი დაიხურა.

საბჭოების წევრ-ქალების გადამზადება

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ-აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით, ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკებში მოეწყობა საბჭოების წევრ-ქალთა გადასამზადებელი საკვირაო კურსები; კურსებს ხელმძღვანელობას გაუწევენ რესპუბლიკური ცენტრალური აღმასკომები.

კურსებზე ლექციებს წაიკითხავენ პასუხისმგებელი ამხანაგები, რომლებიც გაცნობილნი არიან საბჭოთა მშენებლობის დარგებს.

ამიერ-კავკასიის ცაკის მიერ შემუშავებულ გეგმებით ასეთი კურსები უნდა მოეწყოს იმ ვარაუდით, რომ მათი მუშაობა არ გაგრძელდეს ორ-სამ თვეზე მეტი და აუცილებლად დამთავრდეს საბჭოების მომავალ გადარჩევის კამპანიის დაწყებამდე.

ამიერ-კავკასიაში კურსების მოსაწყობად საკავშირო ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტის მიერ გადადებულია 18.000 მანეთი, რომელიც თანაბრად განაწილდება ამიერ-კავკასიის ცალკე რესპუბლიკების მიხედვით შემდეგი სახით: საქართველოსა და აზერბეიჯანისათვის გადადებულია თვითეულისათვის 7.000 მანეთი, სომხეთისათვის—4.000 მ.. საქართველოსა და აზერბეიჯანში კურსები გაიხსნება 35 მსმენელ ქალისათვის, სომხეთში—20 მსმენელისათვის.

მსმენელთა 80 პროცენტი უნდა იყოს გლეხი და მოჯამაგირე-ქალები, დანარჩენი—მუშა ქალები.

კურსებზე გაგზავნილთ ენახებათ ადგილები სამსახურში.

რა კეთდება რიონჰესში

(საუბარი ინჟ. მელიქ-ფაშაევთან)

თბილისში ჩამოვიდა რიონჰესის სამუშაოთა მწარმოებელი და მთავარი ინჟინერი—**მელიქ-ფაშაევი**, რომელმაც რიონის ჰიდრო ელსადგურის საამშენებლო სამუშაოთა მდგომარეობის შესახებ ჩვენს თანამშრომელს გადასცა შემდეგი ცნობები:

— სადგურის ყველა ძირითად ნაგებობათა მშენებლობა უკვე დაწყებულია. გასულ კვირაში ჩვენ შევუდექით, მაგალითად, მთავარ არხის გასაყვან სამუშაოებს. არხის სამუშაოები, წინასწარ გამომუშავებულ და უკვე დამტკიცებულ გეგმის თანახმად წელს დაწყებული უნდა ყოფილიყო მე-42 პიკეტიდან მე-86 პიკეტამდე. ამჟამად აღნიშნულ სამუშაოზე დაკავებულია 300-ზე მეტი მუშა.

მეორე დიდი სამუშაო, რომელსაც ამ დღეებში შევუდგებით, ესაა გვირაბის გასაყვანი სამუშაოები. გვირაბის გაყვანა პირველ დღეებში იწარმოებს სადღურის პლატოს მხრიდან, ხოლო დაახლოებით 2 კვირის შემდეგ სამუშაოები დაწყებული იქნება მთავარი საგუბარის მხრიდანაც. პირველ წელიწადს განზრახული გვაქვს მოვასწროთ გვირაბის მთავარი გალერეის გაყვანა, ხოლო შემდეგი წლის განმავლობაში დაწყებული იქნება გვირაბის შიგნითა ნაწილის მოწყობაც.

რამოდენიმე დღეა, რაც შევუდექით აგრეთვე მთავარი საგუბარის აგებას. საგუბარის აშენება დაწყებულია მდინარის მარჯვენა ნაპირიდან; შემდეგ საგუბარის მეორე ნაწილის აგება დაიწყება მარცხენა ნაპირიდან. ეს სამუშაო ტექნიკურის თვალსაზრისით ერთ უძნელეს სამუშაოდ უნდა ჩაითვალოს. სიძნელეს აქ წარმოადგენს მდინარისაგან ადგილის განთავისუფლება, რომ საფუძველი ჩაეყაროს ბეტონის საგუბარს. წყლის გადასაშვები კედლის აგებას შევუდგებით მომავალი კვირიდან; ამჟამად კი სწარმოებს სატყეო და ქვის მასალის მიზიდვა ადგილობრივ.

საგუბარის სამუშაოებზე პირველ ხანებში იმუშავებს 50 კაცი.

მთავარი არხისა და გვირაბის სამუშაოების რაიონში ეწყობა კოოპერატიული დუქანი და მუშათა სასადილო. შენობების აგება, როგორც სასადილოსათვის, ისე კოოპერატივისათვის უკვე თავდება. მუშათა საცხოვრებელი შენობის აგება ყველა უბნებში დასრულდა.

დასრულდა აგრეთვე მექანიკური სახელოსნოების შენობის აგება, სადაც ეხლა სწარმოებს მოწყობილობათა დადგმა. ახლო ხანში დასრულდება აგრეთვე დროებითი სადგურის მოწყობა. სადგური ამუშავებული იქნება 1 თვის შემდეგ.

ფართლეულის მიწოდება ბამბის მეურნეთათვის

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოიკვლია ბამბის მეურნეთათვის ფართლეულის მიწოდების საქმე სომხეთში და საქართველოში.

გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ადგილი ჰქონდა ბამბის მეურნეთათვის ფართლეულის მიწოდების შესახებ არსებულ დირექტივის დარღვევის მთელ რიგ შემთხვევებს. ასე, მაგალითად, ფართლეულობა ხშირად ეძლეოდა არა ბამბის მეურნეთაც, ზოგიერთმა სოფლის სამომხმარებლო საზოგადოებებმა უარი სთქვეს ფართლეულის მიღებაზე, კრედიტის პირობებისა და ფართლეულის ბამბის მეურნეთა შორის ნელი რეალიზაციის გამო. აღნიშნული იქნა აგრეთვე, რომ გეგმის შედგენის დროს ფართლეულის არასწორად განაწილების გამო ცალკე რაიონების ბამბის მეურნენი მოკლებული იყვნენ საშუალებას მიეღოთ ფართალი.

მიიღო რა მხედველობაში გამოკვლევის მიერ აღმოჩენილი დეფექტები, ა. კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ აუცილებლად სცნო წინადადება მისცეს „ზაკსოიუზს", რათა ამ უკანასკნელმა მიიღოს მკაცრი ზომები, რომ მომავალში მებამბეობის რაიონების სოფლის სამომხმარებლო საზოგადოებების მიერ დაშვებული არ იქნეს იმ დირექტივის დარღვევა, რომელიც ეხება მებამბეთათვის ფართლეულის მიწოდებას.

ამასთანავე „ზაკსოიუზს", ა. კ. მებამბეობის კომიტეტს და ა. კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატს წინადადება მიეცათ თავისი რესპუბლიკანური ორგანოების საშუალებით გადასინჯონ მებამბეობის რაიონების და ფართლეულის განმანაწილებელ სოფლის სამომხმარებლო საზოგადოებების სია იმ მხრივ, რომ გაუმჯობესებული იქნეს ბამბის მეურნეთათვის სამსახურის გაწევა, და აგრეთვე გადაამუშავონ ფართლეულის მომარაგების და გაცემის გეგმა.

ამასთან ერთად, ბამბის მეურნეთა ფართლეულით მომარაგების საკითხის საბოლოოდ მოწესრიგების მიზნით, კოლეგიამ საჭიროდ სცნო აღძრულ იქნეს საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატის წინაშე შუამდგომლობა, რათა ამიერ-კავკასიის მებამბეობის რაიონები მათთვის ფართლეულის მიწოდების მხრივ გათანასწორებული იქნეს პურის დამამზადებელ რაიონებთან და იმ რაიონებთან, რომლებიც პირველ რიგში უნდა იქნენ მომარაგებული; ამასთანავე სისწორით დაცული უნდა იქნეს არსებული ნორმა ფართლეულის განაწილებისა ქალაქსა და სოფელს შორის, რომელიც უფრო შეეფერება ამიერ-კავკასიის პირობებს.

ა.-კ. სას. სამ. ბანკში

კრედიტები აზერბეიჯანს

ა. კ. სას. სამ. ბანკმა, აზერბეიჯანის სას. სამეურნეო ბანკს, წლიურ საკრედიტო გეგმის ანგარიშში გაუხსნა კრედიტი: სოფლის ელექტროფიკაციისათვის—50.000 მან., სასოფლო სამეურნეო აღმშენებლობაზე—25.000 მ. სახელოსნოების რემონტისათვის—45.000 მ. ცხენების მოშენებისათვის—10.000 მ. მეცხვარეობისათვის—50.000 მ., რქოსანი საქონლის მოშენებისა და სარძევე საქმის განვითარებისათვის—40.000 მ. თამბაქოს მეურნეობისათვის—25.000 მ. მეაბრეშუმეობისათვის—55.000 მ. და კონსერვების დამზადების საქმისათვის—50.000 მ., სულ—350.000 მ.

ბამბის ნათესები

მიმდინარე სამეურნეო წლისათვის, ბამბის ნათესების სივრცე აზერბეიჯანში ა. კ. სას. სამეურნეო ბანკმა განსაზღვრა 11.000 დესეტინით. თვითეულ დესეტინაზე გაცემული იქნება 50 მანეთის კრედიტი. სულ საჭირო თანხა 550.000 მ. რაოდენობით გადაეცა აზერბეიჯანის სას. სამ. ბანკს.

მუშა საქონლის შესაძენათ

ა. კ. სამეურნეო ბანკმა ნახჩევანის სას. სამეურნეო ბანკს, მუშა-საქონლის შესაძენათ გრძელვადიანი კრედიტის სახით მისცა 8.000 მანეთი.

თამბაქოს საშრობი საწყობები

აფხაზეთის სასოფლო სამ. ბანკს, თამბაქოს საშრობ (ფერმენტაციონური) საწყობების რემონტისა და ახალი საწყობების ასაგებათ მისცა გრძელვადიანი კრედიტი 30.000 მ. რაოდენობით.

ტყვარჩელის ქვანახშირი

საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებულმა ტყვარჩელის კომისიამ დაახლოვებით გამოარკვია ტყვარჩელის ნახშირის თვითღირებულება იმ პირობით, თუ ერთ მაღაროდან ამოღებული იქნება 50 მილიონი ფუთი ნახშირი: ფრანკო სადგური ტყვარჩელი 12 კაპ., ფოთი—16 კაპ., ქერჩი—19 კაპ. ასეთი თვითღირებულების დროს ტყვარჩელის ნახშირი მის მთავარ მომხმარებელს—ქერჩის ლითონის ქარხნებს დაუჯდება 8 კაპეიკით ნაკლები, ვიდრე დონის ნახშირი. გამოანგარიშებიდან სჩანს, რომ აღნიშნულ თვითღირებულებისა და არსებულ საზღვაო ფრახტის დროს ტყვარჩელის ნახშირი წარმატებით გაუწევს კონკურენციას საზღვარგარეთის ნახშირს ხმელთაშუა ზღვის ყველა ნავთსადგურებში.

გეგმის თანახმად მაღაროს გათხრა და მოწყობა, საწყობების და მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი ბინების აგება, ჰიდროსადგურის აგება მდინარე გალიძგაზე, ოჩემჩირე-ტყვარჩელის რკინის გზის ხაზის გაყვანა და სხვ. სამუშაოები, რომელთა საშუალებით შესაძლებელი გახდება 1931—32 წ. 30 მილ. ფ. ნახშირის ამოღება, ხოლო 1932—33 წლისათვის ამ ციფრის გადიდება 50 მილიონამდე,—სულ დაჯდება 16 მილიონი მანეთი. წლების მიხედვით ეს თანხა ამგვარად ნაწილდება: 1928—29 წ.—5.850.000 მან. 1929—30 წ.—5.700.000 მან:, 1930—31 წ.—3.000.000 მან. და 1931—32 წ.—1.450.000 მან.

ნაოსნობის ხელის შემწყობ კომიტეტის დაარსება

ამიერ-კავკასიის ნავთსადგურთა სამმართველოსთან გამოყოფილია ცალკე კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს დაამუშაოს წესდება და დებულება „ამიერ-კავკასიაში ნაოსნობისათვის ხელის შემწყობი კომიტეტის" დასაარსებლათ. კომიტეტი მოწყობილი იქნება საგზაო კომისარიატის რწმუნებულთან.

კომიტეტის მიზნებს შეადგენს: შესწავლა ყველა მდინარეებისა და ტბებისა, სადაც შესაძლებელია ნაოსნობის მოწყობა. თანხებისა და საშუალებების გამონახვა გაუმჯობესებული გემების შესაძენად და გემთსაშენებელი სახელოსნოების მოსაწყობათ. გამოკვლევების ჩატარება იმ მდინარეთა კალაპოტების გასაღრმავებლად, სადაც საჭირო იქნება ცნობილი ნაოსნობის მოწყობა. გეგმების დამუშავება ნაოსნობის გასაუმჯობესებლად იმ მდინარეებზე, სადაც უკვე სწარმოებს გემთა მიმოსვლა.

კომიტეტის წევრებათ შევლენ—სხვადასხვა სატრანსპორტო. დაწესებულებათა წარმომადგენლები, მსხვილი სამრეწველო წარმოებები და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

კომიტეტის ორგანიზაცია და მისი მუშაობის დაწყება მოხდება შუა ზაფხულიდან.

თბილისის საბჭოს პლენუმი

გუშინ, საღამოს 7 საათზე თბილისის მუშათა თეატრის შენობაში შესდგა თბილისის საბჭოს მორიგი პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა საბინაო კოოპერატიულ კავშირის გამგეობის თავმჯდომარის ამხ. **გარიშვილის** მოხსენება.

საბინაო კოოპერაციის დღევანდელ მდგომარეობის შესახებ

საბინაო-საამშენებლო და საბინაო-საიჯარო კოოპერაცია ფართოვდება და თავის მუშაობას შლის უმთავრესად თბილისში, რადგან საქართველოს არც ერთ ქალაქში არ არის ისე მწვავე საბინაო კრიზისი, როგორც აქ. საბინაო კოოპერაცია მუშაობს საკუთარი, ადგილობრივი და ცენტრიდან მიღებული თანხებით, რაც მას ეძლევა ცენტრალურ კომუნალურ ბანკიდან გრძელვადიან სესხის სახით.

საბინაო-საიჯარო კოოპერაციისათვის სესხის მისაცემად დაარსებულია სპეციალური გრძელვადიანი ფონდი.

საბინაო-საამშენებლო კოოპერაციის ძირითადი ქსელი მეტად გაიზარდა: მიმდინარე წლის დამდეგისათვის მთელ საქართველოში ითვლებოდა 48 საბინაო-საამშენებლო ამხანაგობა 14.319 წევრით, მათ შორის თბილისში—34 ამხ-ბაა, 1000-მდე წევრით. 1926 წლის აპრილიდან 1927 წლის დეკემბრამდე საბინაო საამშენებლო კოოპერაციამ თბილისში ააგო 136 ბინა, სადაც ჩასახლდა 136 ოჯახი. მათ შორის 122 მუშაა და 14—მოსამსახურე. საბინაო კავშირმა დიდი მუშაობა ჩაატარა მშენებლობისა და შეკეთების დარგში, როგორც საბინაო-საამშენებლო, ისე საბინაო-საიჯარო კოოპერაციის ხაზით.

კავშირმა გამოიმუშავა სახლების ტიპიური გეგმა, მიღებულია ზომები მუშათა სახლების ტიპის სტანდარტიზაციისათვის.

საბინაო კავშირს ხელს უშლის კვალიფიციურ მუშა-ხელის სიმცირე, თუმცა ბოლო დროს გადადგმულ იქნა სერიოზული ნაბიჯები კვალიფიციურ მუშა-ხელის მოსამზადებლად.

მომხსენებელი შეეხო აგრეთვე საბინაო-საიჯარო კოოპერაციის მდგომარეობის საკითხებს და აღნიშნა, რომ საიჯარო ამხანაგობათა გაერთიანებამ დიდი სარგებლობა მოუტანა ხსენებულ დარგის კოოპერაციას.

ამხ. გარიშვილის მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი. ორატორებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა მუშათა საბინაო კოოპერაციისათვის მეტი ყურადღების მიქცევა, რისთვისაც უნდა იქნას გადიდებული კრედიტები და მუშათა ფართო ფენებს საშუალება მიეცეთ ჩაებან საბინაო მშენებლობის საქმეში.

თბილისის საბჭოს დადგენილება

კამათის დასრულების შემდეგ საბჭომ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, სადაც მითითება მთელ რიგ ღონისძიებებზე, რაც უნდა გატარდეს ცხოვრებაში მუშათა საბინაო კოოპერატიულ მშენებლობის შემდგომ წარმატებისათვის.

რეზოლიუციაში ნათქვამია შემდეგი:

თბილისის საბჭოს პლენუმი აღიარებს, რომ საბინაო კოოპერატიულ კავშირს აქვს მთელი რიგი მიღწევები, რომელთა მთავარი მომენტებია: საბინაო-საამშენებლო ამხანაგობათა შემადგენლობის და რაოდენობის ზრდა, საკუთარ და ნასესხებ თანხების გადიდება, როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალური წყაროებიდან, კრედიტების უდიდეს ნაწილის მუშურ შემადგენლობის ამხანაგობებისთვის მიცემა და საერთო საბინაო მშენებლობის გაფართოება.

პლენუმი აღნიშნავს აგრეთვე მსხვილ საბინაო-საიჯარო ამხანაგობათა დაარსების მიზანშეწონილებას, რაც საშუალებას იძლევა ამხანაგობებს გაეწიოს სრული ხელმძღვანელობა და უფრო რაციონალურად იქნას მოხმარებული როგორც საკუთარი, ისე ნასესხები თანხები.

თბილისის საბჭოს პლენუმმა საბინაო მშენებლობის გასაფართოებლად საჭიროდ სცნო შემდეგი ღონისძიებების გატარება:

ადგილობრივ საამშენებლო ფონდიდან საბინაო კოოპერატიულ კავშირს უნდა მიეცეს სესხად 30.000 მანეთი უპროცენტოთ, რაც უნდა მოხმარდეს საბინაო კავშირის საბრუნავ თანხების გაძლიერებას.

რადგან არსებული საბინაო ამხ-ბების შემადგენლობაში მუშათა პროცენტი არ არის დამაკმაყოფილებელი, ამიტომ საბინაო კავშირს მიეცეს წინადადება, ყოველ მხრივ შეუწყოს ხელი მუშათა შემადგენლობის გადიდებას საბინაო ამხ-ბებში.

პლენუმმა საჭიროდ სცნო მშენებლობის გაიაფება, რაც უნდა მოხდეს სამუშაოს რაციონალიზაციის და მექანიზაციის გზით. საამშენებლო სამუშაოების გაცემის დროს, თუ კი პირობები თანაბარი იქნება, უპირატესობა უნდა მიეცეს სახელმწიფო და კოოპერატიულ მშენებელ ორგანიზაციებს.

საბინაო კავშირს მიეცა წინადადება გამოასწოროს შენობათა პროექტების ტექნიკური დეფექტები და შეუდგეს ხუროთმოძღვრების თვალსაზრისით უფრო მისაღებ შენობების აგებას.

პლენუმმა აუცილებლად საჭიროდ სცნო კრედიტების მიცემის გაძლიერება საამშენებლო ამხ-ბებისათვის, რაც ხელს შეუწყობს მშენებლობის დაჩქარებას და მის გაიაფებას. საბინაო კავშირი აქედანვე უნდა შეუდგეს სავაჭრო ოპერაციების შემცირებას იმ ანგარიშით, რომ მომავალ საბიუჯეტო წლიდან მისი აპარატი აკმაყოფილებდეს მხოლოდ მუშათა საბინაო მშენებლობის მოთხოვნილებებს. საბინაო კავშირსავე დაევალა მისთვის საჭირო აგური ყოველთვის დაუკვეთოს თბილისის აღმასკომის აგურის ქარხნების სამმართველოს და ხის ნაკეთობანი კი ადგილობრივ მრეწველობის განყოფილების ხის დამამუშავებელ სახელოსნოს.

საზოგადოება „ჩემოს" ლიკვიდაცია

27 მაისს საზოგადოება „საქართველოს მარგანეცის" შენობაში შესდგა ყოფილ სააქციო საზოგადოება „ჩემოს" აქციონერთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო ყველა აქციონერების 85 პროცენტი.

კრებაზე მოსმენილ იქნა სალიკვიდაციო კომისიის მოხსენება ჩატარებული მუშაობის შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ საზოგადოების ლიკვიდაცია დაიწყო 1926 წლ. მაისიდან და გაგრძელდა 2 წელიწადი. ამ ხნის განმავლობაში სალიკვიდაციო კომისიამ მოაგვარა მთელი რიგი სადაო საკითხები, როგორც საზღვარგარეთის ზოგიერთ ფირმებთან, ისე ცალკე პირებთანაც. გარდა ამისა 1926 წლის მაისიდან 1928 წლის მაისამდე სალიკვიდაციო კომისიამ აწარმოება სხვადასხვა შეწირულებების გაცემა. სულ ორი წლის განმავლობაში შეწირულებების სახით გაცემული იქნა 57,000 გირვანქა სტერლინგი.

მოხსენების მოსმენისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ საერთო კრებამ მიიღო დადგენილება, რომლითაც საზოგადოება „ჩემო" ცხადდება საბოლოოდ ლიკვიდაციაქმნილად, ხოლო სალიკვიდაციო კომისია დათხოვნილად. ამის გამო კრების დადგენილებით ს.მ.უ.ს. სამთო მრეწველობის ტრესტს მიენდო მოაგვაროს სადაო საკითხები ყველა იმ პირებთან და დაწესებულებებთან, რომლებთანაც პრეტენზიები ჰქონდა ყოფილ საზოგადოებას. გარდა ამისა სამთო მრეწველობის ტრესტმა უნდა მოაგვაროს ლონდონში არსებულ „ხრუსაკის" ფირმასთან 16,032 გირ. სტერლინგის მიღება, „ფლესინგისა და კომპ." სავაჭრო სახლისაგან (ჰამბურგი) 529 გ. სტერ. მიღება, საზოგადოება „არკოსიდან" (ლონდონში) 4.500 გირ. სტერლინგის მიღება და მოაგვაროს აგრეთვე საქმე მოქ. ა. ქავთარაძესთან და ა. ჯაყელთან 1.025 გ. სტერლინგის მიღების შესახებ.

დასასრულ კრებამ დაადგინა ჭიათურის სამთო საბჭოს უსასყიდლოთ დაუთმოს მუშათა სახლი ჭიათურაში, ხოლო ქუთაისში ხანძრით დაზარალებულთა სასარგებლოთ ამთავითვე გადაიდოს 1.000 მანეთი არსებული თანხებიდან და 1.000 მანეთი მოვალე პირებისა და დაწესებულებებისაგან კუთვნილი თანხებიდან.

ქუთაისი აღდგენილ უნდა იქნეს

დახმარება ქუთაისს

„კომუნისტი"-ს კანტორაში შემოვიდა

ნანული ჭიჭინაძის გამოწვევით შემომაქვს 2 მანეთი და ვიწვევ: სამიკო გეგეჭკორს; ლილი მარჯანიშვილს; ციხანა მესხს; რეზიკო ჩუბინიძეს; სულიკო ქუთათელაძეს; ეთერი ჭუმბურიძეს; ქეთო გოცირიძეს; ოთარი კვაცარიძეს; ტურიკო ქვარიას და ლამარა თუთაბერიძეს.

ნინიკო მესხი.

—:—

ამხ. თალიკო საბაშვილის გამოწვევით შემომაქვს ორი მანეთი და ვიწვევ: ეთერი სხიარულიძეს; რუსიკო კანდელაკს; ლილი მალაზონიას; ლამარა აბაზიძეს; ფილი ლლონტს; კილდა ჯაველიძეს; ოთარი ითხმეზურს და რუსი კოკოტეს ასულ ქარცივაძეს.

კორნელი სიხარულიძე.

—:—

ოთარ ელიაძის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: ჟენია წულაძეს; იურა ურუშაძეს; მიშა ნერგაძეს;; შოთა სალუქვაძეს; ნუნუ კიკიანს; მარგო სულაქველიძეს და მიშა ქარქაშაძეს.

რევაზი ურუშაძე.

—:—

ტოლია ნადარეიშვილის გამოწვევით შემომაქვს 1 მანეთი და ვიწვევ: გოგა არაჩემიას; ნოდარი გაბუნიას; გივი კავჯარაძეს; ილუშა ლომიას; ირაკლი ჭაჭიას; ჟურა თოდრიძეს; თინათინ გაბილაიას; გივი ლომაიას; კუჭუჭა ცავას.

ლამარა წერეთელი

—:—

თელავის პირველი 9 წლედის მასწავლებელთა შემოაქვთ ორმოცი მანეთი (40 მ.).

დავალებით გრიგოლ კიკაჩეიშვილი

—:—

ამხ. ბუბუნა ელიავას გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: ტარიელ და გურამ ქუთათელაძეებს; სოსო ჭებურიას; რეზო რამიშვილს; ნათელა ფხაკაძეს და მერიკო ზვიადაძეს.

კუკური გიორგაძე.

—:—

ამხანაგ სევერიანე სიმხოვს გამოწვევით შემომაქვს 5 მანეთი და ვიწვევ: სალომე საყვარელიძისას; თამარა თევსაძისას; ალექსანდრე ყაველაშვილს; ანდრო კობიძეს; პოლიექტო აბესაძეს;; ინჟ. სიკო ფირცხელაურს; მიშა ხირსელს და უსუფ აბაშიძეს.

ჰაიდარ აბაშიძე.

—:—

შემომაქვს: ხუთი მანეთი და ვიწვევ: მოსე კვიტაშვილს; მხეილ კვინიხიძეს; გრიგოლ გაწერელიას; ლეონტი ელიავას; კოლია მინაშვილს; სანდრო და მიშა თევზაძეებს; დავით სტურუას; ჭუტიკო ჩხეიძეს და შალვა მეგრელიშვილს.

საშა თევზაძე.

—:—

შემომაქვს ხაბუმის თემში შეგროვილი 21 მ. და 55 კაპ. და ვიწვევთ ზუგდიდის მაზრის ყველა თემებს.

ხაბუმის თემის ქუთაისის დაზარალებულთა დამხმარე კომისია.

—:—

შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: კუკური და ლილუნი ხონელიძეებს; ამირან და თემურაზ ცამციევებს; კუკური კალანდაძეს; ლილი დარჩიას და ლილი გიორგობიანს.

ციალა ხონელიძის ასული.

—:—

ქუთაისის მაზრის სოფელ ორპირის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის მთლიან კოლექტივს შემოაქვს გამართულ საღამოს შემოსავალი ოცი მანეთი და ამავე საქმისთვის ვიწვევთ შემდეგ სკოლის მთლიან კოლექტივებს: რონის; ცხუნკურის; სვირის; ტყაჩირის; ქვედა სიმონეთის; ტობანიერის და უხუთის; ქვაცხუთის; ჩხარის.

—:—

შემომაქვს ათი მანეთი და ვიწვევ: ლია ბეგაძეს; გუსეინ შაბანოვს; შურა ცხვაძეს; გიორგი ჯამბარიძეს; პოლიკო ჭყონიას; სერგო ცინცაძეს; არჩილ კეკელიძეს; იპატი ჩიგოგიძეს; კირილე ბესელიას; სტეფანე გაბადაშვილს.

სონია ცინცაძე—ჟღენისა.

—:—

შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: ეთერიკო დევდარიანს; ოთარიკო პაპავას; რეზიკო ახათიანს; ლალი თუმანიშვილს; თამრიკო ჩოჩიას; მარლენ კობიძეს; დიჟენ ქუთათელაძეს; ტარიელ ქუთათელაძეს; ამირან მორჩილაძეს და ელეონორა კილურაძეს.

გივი კილურაძე.

—:—

სოფელ ხატის სოფლის მცხოვრებლებს ხანძრით დაზარალებულ ქ. ქუთაისის მცხ. დამხმარე ფონდში შემოაქვს თავიანთი წვლილი: გიგლა ჟუჟუნაშვილი—1 მ.—50 კ., მიტრა ჟუჟუნაშვილს—1 მან. და 50 კაპ. თითო მანეთი. გიორგი ჟუჟუნაშვილს; ვასილი საკოვს; დათა თადარაშვილს; მიხეილ პეტრიაშვილს; გიორგი თადარაშვილს; გიორგი საკოვს; ვანო ინაძეს; ნიკადა პეტრიაშვილს; ცუგა საკოვს. შაქარ თანდარაიშვილს—90 კაპ. სამ-სამი აბაზი: ლაზარე პეტრიაშვილს; არტემ საკოვს; ნიკოლა ბადალაშვილს; არსენ საკოვს—55 კაპ. ათ-ათი შაური: ვასო პეტრიაშვილს; ალექსი ინაძეს; ვანკა თამაზაშვილს; მიხეილ ჯავახიძეს; ალექსი ზაზაშვილს; ვანე ზაზაშვილს; მოსე იპსალოვს; სოფია ინაძეს; იოსებ პეტრიაშვილს; ნატალია პეტრიაშვილს; მელა მოსიაშვილს; გიორგი ინაძეს; გოგო თამაზაშვილს; არშაკ თამაზაშვილს; მიხიტარ ნერსესიანცს; ორ-ორი აბაზი: მიშა სარდალაშვილს; არჩილ პეტრიაშვილს; ფილიპე ინაძეს; ალექსი ია შვილს; ქერომ ახმად-ოღლის; დათა თამაზაშვილს. ექვს-ექვსი შაური: გრიშა მოსიაშვილს; ანტონ ოქმელაშვილს; სოლომონ ინაძეს—25 კაპ. თითო აბაზი: ვასო მოსიაშვილს; ივანე მაღრაძეს; მიტრა მაისურაძეს; არსენა მჭედლიძეს; პეტრე ადამაშვილს; გიგოლა საკოვს; ტიგრანა არუთინოვს. სამ-სამი შაური: იოსებ ადამაშვილს; შაქრო არუთინოვს; სარქის ალიხანოვს; თითო აბაზი: ნინა შარბაზაშვილს; კოლა ინაძეს; დათა ინაძეს; კოლა მაისურაძეს; პეტრე თანდარაშვილს—10 კაპ.; იაკობ საკოვს—50 კაპ. სულ 31—5 კაპ.

დავალებით ლავრენტი ჯანჯღავა.

—:—

გიგზავნით 11 მანეთს და 31 კაპ. ლანჩხუთის ფოსტა-ტელეგრაფის თანამშრომლებმა ერთი დღის ქირას და ვიწვევთ შემდეგ ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებათა თანამშრომლებს: აცანის; აკეთის; შუხუთის; ნიგოითის; ჯუმათის და ალმასკომებს შემადგენლობას ლანჩხუთის; აცანის აკეთის, ჯუმათის (ნინოშვილის), ნიგოითის და ლანჩხუთის ეპოს თანამშრომლებს.

მინდობილობით ფ.—ტ. გამგე დ. ბალავაძე.

—:—

გიგზავნით ქუთაისის დაზარალებულთა სასარგებლოდ ხაბუმის ცხრაწლედის 11 მასწავლებლების მიერ გაღებულ 11 მანეთს და ვიწვევთ ზუგდიდის მაზრის ყველა 7-წლედებს 9-წლედებს; აგრო და პედ. ტექნიკუმებს და სოფლის ახალგაზრ. სკოლათა მასწავლებლებს.

ხაბუმის 9 წლედის გამგე ა. ქირია.

—:—

ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს ცხრა მანეთი.

მიშა შეკლაშვილი.

—:—

შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: ეთერო აბაზაძეს; გივი პაპელიშვილს; ქეთინო ხამდულაშვილს; ირა კერვალიძეს; ერმა გუნიას; ნათელა გაბუნიას; ცუცა გურგენიძეს; ლილი ლეკვეიშვილს; ნათელა და მზია პატიაშვილებს.

ნინელი ცაგარელი.

—:—

გიგზავნით ხაბუმის 9-წლედის მოწაფეების შეგროვილი ფულს 7 მანეთს და 18 კაპ. და ვიწვევთ ზუგდიდის მაზრის ყველა 7-წლედებს; 9-წლედებს, აგრო და პედტექნიკუმებს და სოფლის ახ. სკოლებს.

ხაბუმის 9-წლედის მოწაფეთა ქუთაისის დაზარალებულთა დამხმარე კომისია.

—:—

ამხ. სევ. მინდაძის გამოწვევით შემომაქვს ათი (10) მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ტარასი აზზიანიძეს; გრიშა კვიცარიძეს; ნოე სვანიძეს; ტელემაკ ახათიანს; ი. ხომერიკს; ალექსანდრე შავანგირაძეს; ვასიკო ნიკოლაიშვილს და მილო დოლიძეს.

ქსენოფონტე კვანტრა.

—:—

შემომაქვს საგლეხო სესხის ობლიგაციის მეოთხედი, ღირებული 2 მან. და 50 კაპ. და ჩვენის მხრივ ვიწვევთ: ქეთინო გუგუშვილს; ერასტოს; ლენა და ვახტანგ დეისაძეებს; ნუნუ ტუსკიას; ნათელა წერეთელს; ლილი ლომიძეს; ბეთიკო აბესაძეს, ცაცი კიკაშეიშვილი—გურულს; გივი ვაშაძეს; ვახტანგ ქურციკიძეს; გოგი ლომთათიძეს.

ნათელა, ბიჭიკო და ლილიკო გურულები.

—:—

შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: რეზიკო ნებიერიძეს; ლილა ხეროდინოვს; თამროკო და ფარნაოზ ლომიძეებს; ლილი გელაშვილს; ნელი ლოტოევს; მაყვალა ვარსიმოვს; თენგიზ განძიელს; რენო თურქიას; პავლუშა ვახტანგ და დათიკო ჯობენაძეებს და გაიოზ ჩახნაშვილს.

თენგიზ კვირიკაშვილი.

გამოხმაურება

მთავრობის კომისიაში

ხანძრისაგან დაზარალებულ მოსახლეობის დასახმარებლათ სხვადასხვა ორგანიზაციებისაგან შაბათს მთავრობის კომისიაში შემოვიდა 546 მანეთი.

სულ შემოსულია 58.732 მან.

მთავრობის კომისიის ცნობით, ქუთაისის დაზარალებულ მოსახლეობის დასახმარებლად შაბათამდე კომისიაში შემოვიდა სულ 58.732 მანეთი.

1000 მანეთი

ამიერ-კავკასიის რკინის გზელთა პროფკავშირის პრეზიდიუმმა იქონია მსჯელობა ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ და დაადგინა ერთდროული დახმარების სახით გადასდოს 1000 მანეთი.

გარდა ამისა, პრეზიდიუმმა დაავალა სოორგანიზაციო განყოფილებას შეუდგეს დაზარალებულთა სასარგებლოდ შემოწირულებათა კამპანიის ჩატარებას ამ. კავკასიის რკინის გზებზე.

ერთი დღის ხელფასი

მე-6-ე ქართული ლეგიონის სკოლის კურსანტებმა დაზარალებულთა სასარგებლოდ გადასდეს ერთი დღის ულუფა, ხოლო პოლიტმომადგენლობამ კი გადასდო ერთი დღის ხელფასი.

უმუშევრობასთან მებრძოლი კოლექტივების წვლილი

უმუშევრობასთან მებრძოლ კოლექტივების თანამშრომელთა საზოგადო კრებამ ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად გადასდო ერთი დღის ხელფასი.

ჭიათურის განათლების მუშაკთა დახმარება

განათლების მუშაკთა კავშირის რაიადგილკომის გაერთიანებულმა კრებამ დაადგინა ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ გაღებულ იქნეს ხელფასის 1 პროცენტი ვინც ღებულობს ჯამაგირს 50 მანეთამდე, 2 პროცენტი ვინც ღებულობს—100 მანეთამდე, ხოლო ერთი დღის ხელფასი ვინც ღებულობს—100 მანეთზე მეტს.

ქუთაისის სტამბის მუშების გამოხმაურება

ქუთაისის კომუნალურ მეურნეობის სტამბის მუშა მოსამსახურეთა საერთო კრებამ ხანძრისაგან განადგურებული უბნის აღსადგენად და დაზარალებულთა დასახმარებლად გადასდო ერთი დღის ხელფასი.

5000 მანეთი

ქ. ქუთაისის თამბაქოს ქარხანა—„პროლეტარის" მუშა-მოსამსახურეებმა ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ გადასდეს ნახევარი დღის ხელფასი, რაც შეადგენს 500 მანეთს.

დახმარება ქუთაისს

საქ. წითელ ჯვრის ც. კომიტეტს, ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულ მოსახლეობისათვის დახმარების აღმოსაჩენად, მოკავშირე რესპუბლიკების წითელ ჯვრებისაგან მიღებული აქვს 7000 მანეთი.

ქ. ქუთაისში წითელი ჯვრის საკვებები და საექიმო პუნქტები განაგრძობენ მუშაობას; ყოველ დღიურათ დახმარება ეძლევათ 1500 კაცს.

ბრძოლა უმუშევრობასთან

(საუბარი საქართველოს შრომის სახ კომისარ ამხ. ს. თოდრიასთან)

უმუშევრობასთან ბრძოლის საქმის მდგომარეობის შესახებ, საქართველოს შრომის სახ. კომისარმა ამხ. ს. თოდრიამ ჩვენს თანამშრომელთან საუბარში, განაცხადა:

უმუშევრობამ საქართველოში ფესვები გაიდგა მენშევიკური ხელისუფლების არსებობის დროს.

ქართველი ჩინოვნიკობა, სამხედრო პირები, ვექილები, ექიმები და სხ. მრავლათ იყვნენ გაფანტული მთელი რუსეთის იმპერიაში. რევოლუციის შემდეგ მთელი ეს ხალხი გამოეშურა საქართველოსაკენ, რომელიც იმ დროს ბურჟუაზიულ „ოაზისს" წარმოადგენდა ყოფილ რუსეთის იმპერიის ფარგლებში.

ეს ხალხი აქ დარჩა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც. ამათ მიემატა ჩვენი სოფლებიდან გამოსული ახალგაზრდობა. რომელმაც დაამთავრა საშუალო სასწავლებლები; ამ ახალგაზრდობას არავითარი სპეციალობა არ მიუღია და სოფელში დაბრუნება არა სურს. ჩვენი სტუდენტების დიდი უმრავლესობაც ჩაწერილია შრომის ბირჟაში და ირიცხება უმუშევრად. ასეთი ელემენტებისაგან შესდგება ჩვენი უმუშევართა კონტიგენტი.

სამრეწველო ხასიათის უმუშევრობა ჩვენში მეტად მცირე ხასიათს ატარებს. უმუშევართა უდიდეს ნაწილს შეადგენენ მეშჩანური მოსახლეობის და ინტელიგენციის ცოლები, რომლებიც წინეთ მუშაობას და სამსახურს არ ეწეოდენ, მაგრამ ეხლა ცდილობენ კავშირის წევრად გახდომას და სამუშაოს შოვნას.

ბოლო ხანებში უმუშევართა რიცხვი რამოდენიმეთ გაადიდა შტატების შემცირებამ.

შრომის სახ. კომისარიატის საქმიანობა უმუშევრობის ლიკვიდაციის დარგში გამოიხატება უმუშევართა კოლექტივების მოწყობაში. ამჟამად საქართველოში მოწყობილია 37 ასეთი კოლექტივი, რომლებშიაც ჩაბმულია 2.000-მდე უმუშევარი. უმუშევართა კოლექტივებში დაცულია მომუშავეთა ცვალებადობის პრინციპი. უნდა აღინიშნოს, რომ სამეურნეო ორგანოები, რომელთაც ევალება ჩამოყალიბებულ კოლექტივის თავის თავზე მიღება, სათანადო აქტიურობას ვერ იჩენენ, რის გამო შრომის სახ. კომისარიატს არ ეძლევა საშუალებას შექმნას ახალი კოლექტივები და სამუშაო გაუჩინოს უმუშევართა ახალ წყებას. შრომის სახ. კომისარიატი პროფესიონალურ კავშირებთან ერთად აწარმოებს უმუშევართა გადამზადებას, იღებს ზომებს, რათა უმუშევრებს შეასწავლოს ისეთი ხელობა, რომელზედაც უფრო მეტი მუშა-ხელის მოთხოვნილება არის. ეს საქმე წარმატებით მიმდინარეობს და ამჟამად სწარმოებს რამოდენიმე ასეულ უმუშევრის გადამზადება.

უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით შრომის სახ. კომისარიატი აწარმოებს ბრძოლას ზედმეტ მუშაობასთან.

სამეურნეო ორგანოები ამ საქმეშიაც არ გვიწევენ დახმარებას და ცდილობენ ზედმეტი მუშაობის წარმოებას.

მიუხედავათ ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ზედმეტი მუშაობა ამჟამად შემცირებულია მინიმუმამდე.

უმუშევართათვის ეწყობა აგრეთვე საზოგადო სამუშაოები. ამჟამად ვაპირებთ ზოოლოგიური ბაღის სამუშაოების აღებას, ვაფართოებთ თბილისში მომქმედ სანიტარულ ტრანსპორტს, მოლაპარაკებას ვაწარმოებთ ვაკეში განზრახული სტადიონის სამუშაოების აღებათ და სხვა, ყველა ამ სამუშაოებში ჩაბმული იქნება რამოდენიმე ასეული უმუშევარი.

კომისარიატს მოწყობილი აქვს უმუშევართა სასადილო, რომელშიაც უფასო სადილს ღებულობს 600-მდე უმუშევარი. შრომის ბირჟიდან სხვადასხვა გვარ დახმარებას ღებულობს აღრიცხული უმუშევართა მთელი რაოდენობის ერთი მესამედი.

უმუშევრები დიდ გაჭირვებას განიცდიან ღამის გასათევ სახლის უქონლობის გამო. შრომის კომისარიატს მიღებული აქვს ზომები ასეთი სახლის მოსაწყობათ.

უმუშევართა ნაწილს, რომელიც აპირებს გამგზავრებას თავის სამშობლოში ან სამუშაოთ (სხვა კუთხეში) ეძლევა შეღავათიანი სამგზავრო ბილეთი და ფულადი დახმარება. ამ წესით წელს საქართველოდან გადაგზავნილია რამოდენიმე ასეული კაცი.

უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გადადებულია 322.000 მანეთი. გასულ წელთან შედარებით ეს თანხა გადიდებულია 100 პროცენტით. შრომის ბირჟის გარეშე სამუშაოზე მოწყობის შემთხვევები გასულ წელთან შედარებით საგრძნობლათ შემცირდა, მაგრამ ასეთ შემთხვევებს მაინც აქვს ადგილი. თვით უმუშევრები ერიდებიან სამუშაოზე ბირჟის გარეშე მოწყობას, ვინაიდან იციან, რომ ასეთ შემთხვევაში მოსალოდნელია მათი მოხსნა სამუშაოდან.

შრომის ბირჟის განტვირთვის მიზნით სწარმოებს უმუშევართა გაცხრილვა ისეთი ელემენტებისაგან, რომლებიც არ ეკუთვნიან მშრომელთა რიცხვს. აღრიცხვიდან იხსნებიან ის პირებიც, რომლებიც უარს განაცხადებენ ამა თუ იმ სამუშაოზე წასვლაზე.

ვინაიდან უკანასკნელ ხანებში შრომის ბირჟაში შემჩნეული იყო სამუშაოზე პროტექციით მიღების შემთხვევები, შრომის კომისარიატს განზრახული აქვს მიიღოს ზომები შრომის ბირჟის აპარატის გასაჯანსაღებლათ.

მირზა ფატ-ალი ახუნდოვის საღამო

გუშინ, 28 მაისს, რუსთაველის თეატრში გაიმართა საღამო ცნობილი თურქი მწერლის, საზოგადო მოღვაწის და მოაზროვნის მირზა ფატ-ალი ახუნდოვის გარდაცვალებიდან 50 წლის შესრულების გამო.

საღამო გახსნა საქართველოს განათლების სახ. კომისარმა ამხ. დ. კანდელაკმა, რომელმაც თავის სიტყვაში აღნიშნა მირზა ფატ-ალი ახუნდოვის განსაკუთრებული დიდი დამსახურება, აზერბეიჯანის მშრომელი ხალხისა, ლიტერატურისა და მეცნიერების წინაშე.

მირზა ფატ-ალი ახუნდოვის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. მ. დ. ჰუსეინოვმა.

საღამოს პირველი ნაწილი დამთავრდა ამხ. ჰუსეინოვის მოხსენებით და სხვადასხ. საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა სიტყვებით.

მეორე ნაწ. ში თურქული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნა განსვენებულის პიესები: „ალქიმიკოსი", და „გაჯი კარა".

საღამოს მესამე ნაწილი შეიცავდა საკონცერტო განყოფილებას, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: ფატმა გიანჯინსკაიამ, ხ. ნვაზოვმა, ბიკამ; ფარზალიევმა; ლ. კარახანმა; ა. აბასოვმა; თარხნიშვილმა; მ. მარდანოვმა; ა. სალახლიმ; მ. ლოთქიფანიძემ; ნანეიშვილმა; ვართანიანმა, ხალილოვმა და სხვებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონიკა

სოც. უზრუნველყოფის დარგში ხუთ წლიანი გეგმის შესადგენათ

25 მაისს, საქართველოს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში განყოფილების გამგის ამხ. კ. ხომერიკის თავმჯდომარეობით და საგეგმო კომისიის წარმომადგენლის ამხ. ლ. ცომაიას მონაწილეობით შესდგა განყოფილების ყველა პასუხისმგებელი თანამშრომლების თათბირი, რომელმაც განიხილა სოც. უზრუნველყოფის დარგში ხუთ წლიანი საპერსპექტივო გეგმის შესადგენათ დაგროვილი მასალები. თათბირმა ხუთ წლიანი გეგმის შესადგენათ გამოყო სპეციალური კომისია, რომელიც დაგროვილი მასალების გადასამუშავებლად და დაჩქარებით გეგმის შესადგენათ იმუშავებს თვითონ განყოფილების გამგის ხელმძღვანელობით.

საბავშვო კერათა გახსნა

ჯანსახკომის დედათა და ბავშვთა დაცვის განყოფილება შეუდგა სამზადისს ჩაქვის ჩაის ქარხნებში და პლანტაციებზე მომუშავე მუშა-ქალთა ბავშვებისათვის საზაფხულო საბავშვო კერის გასახსნელათ. საბავშვო კერა მოწყობილი იქნება 30 აკვნით და იმუშავებს 4 თვის განმავლობაში. საბავშვო კერასთან მოწყობილი იქნება აგრეთვე ბავშვების სათამაშო მოედანი 60 ბავშვისათვის.

როგორც საბავშვო კერა, ისე მოედანი მოწყობილი იქნება მხოლოდ სეზონური მომუშავე მუშა-ქალთა ბავშვებისათვის. საბავშვო კერისა და მოედნის მოსაწყობათ გადადებულია 8.650 მანეთი. კერა გაიხსნება 15 ივნისს.

საბავშვო კერა ეწყობა აგრეთვე ქალ. გორში საკონსერვო ქარხანასთან. აღნიშნული კერის მოსაწყობათ გადადებულია 3.000 მანეთი.

ტელასის განცხადება

თბილისის ელექტრო მოწყობილობათა სამმართველო (ტელასი) აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ უკანასკნელ ხანებში ზოგიერთ განაპირა ქუჩებში გახშირდა შემთხვევები, როდესაც ბოროტგამზრახველები ამსხვრევენ ქუჩების ელექტრო-სანათურებს. ასეთი შემთხვევები უმთავრესად ხშირია დიდუბის რაიონში, მოსკოვის ქუჩის ზევით, ერთობის უბანში და სხვაგან. მილიცია გაფრთხილებულია, რომ სანათურების მსხვრეველები დაუყოვნებლივ დააპატიმრონ.

წყლის გამყიდველები ქუჩაში

შრომის ბირჟის, შრომის და სავაჭრო კოლექტივმა რუსეთიდან გამოიწერა 50 ცალი ქუჩაში წყალის გასაყიდი ჰურჭელი. სამუშაოზე გაიგზავნება 50 უმუშევარი. მუშაობა მთელი ზაფხულის პერიოდში იწარმოებს.

თბილისის აღმასკომში

◆ **წყალსადენი სახლებში.** თბილისის აღმასკომმა დაადგინა გამოსცეს სავალდებულო დადგენილება სახლებში წყალსადენის გაყვანის შესახებ.

◆ **თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებას** გადაეცა ყოფ. რესტორან „ედემის" ბინა ტირის მოსაწყობათ.

◆ **ვეტ-სანიტარული კომისიები.** თბილისის აღმასკომმა დაადგინა მაზრის თემ-აღმასკომებთან დაარსდეს ვეტ-სანიტარული კომისიები, რომლებიც მეთვალყურეობას და ხელმძღვანელობას გაუწევენ საქონლის სნეულებებთან ბრძოლის საქმეს თავიანთ თემებში.

◆ **1-ლ სავადმყოფოს უროლოგიურ განყოფილებისათვის** ახალი აპარატების შესაძენად გადაიდო 2000 მანეთი.

◆ **ქალაქში არსებული ფარდულები** საექსპლოატაციოდ გადაეცა ინვალიდთა არტელს „გლორჯა"-ს.

◆ **კანალიზაცია.** კომუნალური მეურნეობა შეუდგა ფიქრის გორის რაიონში კანალიზაციის გაყვანას.

სახ. უნივერსიტეტში

◆ **აგრონომიულ ფაკულტეტზე** სახელმწიფო გამოცდების საზაფხულის სესია დანიშნულია ა. წ. 9 ივნისისათვის.

◆ **სტუდენტთა რეგისტრაცია.** სახ. უნ. სტუდენტთა რეგისტრაციის უკანასკნელ ვადად დანიშნულია 10 ივნისი. ვინც ამ ვადამდე არ გატარდება რეგისტრაციაში გამორიცხული იქნება უნივერსიტეტიდან.

მილიციაში

◆ **ხელფასის მომატება.** საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობის პლენუმმა დაადგინა—აღძრას შუამდგომლობა სახკომსაბჭოს წინაშე, რათა ახალი საბიუჯეტო წლიდან ქალაქში მომუშავე უმცროს მილიციელისათვის მინიმალურ განაკვეთად დაწესებული იქნეს 40 მანეთი თვეში, ხოლო მაზრებში მომუშავე უმცროს მილიციელისათვის—37 მან. და 50 კაპ.

სხვადასხვა

◆ **განათ.** განყოფილებასთან არსებულ საზოგადოებათ მეცნიერების კაბინეტში დღეს, საღამოს 7 ს. დანიშნულია საზოგადოებათმეცნიერების მასწავლებელთა კრება.

◆ **წ. კ. უცოდინარობასთან მებრძოლ საზოგადოების** კონფერენცია შესდგება დღეს, საღამოს 7 ს. (ყოფ. კალოუბნის ქუჩა № 13).

◆ **ხალიჩების შეძენა.** ა. კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატი ამჟამად აწარმოებს ხალიჩა-ნოხების შესყიდვას როგორც კოოპერატიულ ორგანიზაციებისაგან, ისე კერძო პირებისაგან.

◆ **ახალი სასადილო.** მუშკოოპმა გადასწყვიტა მედსანშრომის მუშაკთა საზაფხულო კლუბში მოაწყოს კოოპერატიული სასადილო.

ხელოვნება

ქართული დრამის მომავალი სეზონი ბათომში და ქუთაისში

1928—29 წლის სეზონში ბათომის სახელმწიფო თეატრში იმუშავებს ქართული დრამა და რუსული ოპერეტა, ან ოპერა; უკანასკნელის საკითხი ჯერ არ არის საბოლოოდ გამორკვეული. ქართული დრამის შემადგენლობა და მისი მომავალი გეგმიანი მუშაობა უკვე გამორკვეულია და სათანადო პირობაც ხელმოწერილია.

წელს ბათომი შეერთებულია ქუთაისთან; ორივე ქალაქს ეყოლება ერთი მთლიანი დასი. დასის ბაზა იქნება ქალ. ქუთაისი; ბათომში გაიმართება თვეში სამი წარმოდგენა, პიესების გაუმეორებლად; ამრიგად ექვსი თვის განმავლობაში ბათომში დაიდგმება 18 პრემიერა.

შეერთებულ დასისი ხელმძღვანელად და სამხატვრო ნაწილის გამგეთ მოწვეულია რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი, რომელიც უკვე შეუდგა დასის შედგენას. პირველ ივნისიდან დასი დაიწყებს მუშაობას.

დასის შემადგენლობა დიდია. ჯერ-ჯერობით მოწვეული არიან: **თამარა ჭავჭავაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ნ. მაჭავარიანი, ელენე დონაური, ხ. ჭიჭინაძე, ცეცილია წუწუნავა, ალ. იმედაშვილი, მ. გელოვანი, უშანგი ჩხეიძე, შ. ღამბაშიძე, ალ. ჟორჟოლიანი, შ. გომელაური და მ. ხონელი.** მოწვეული იქნება კიდევ რიგი მსახიობი, რითაც შევსებული იქნება დასი; მსახიობები მეორე როლებზე და თანამშრომლები იქნება ორმოც კაცამდე.

რაც შეეხება რეპერტუარს, განზრახულია დაიდგას რევოლუციონური, ორიგინალური და კლასიკური პიესები. დასს ეყოლება სახელოვნო საბჭო, რომლის შემადგენლობაში შევლენ ორივე ქალაქის წარმომადგენლები. ყოველი ახალ დადგმისათვის შექმნილი იქნება ახალი დეკორაციები.

სარეჟისორო კოლეგიაში შედიან ახალგაზრდა რეჟისორები **დოდო ანთაძე, სულიაშვილი** და სხვ. მოწვეული იქნება მხატვარი და სიმფონიური ორკესტრი, ოთხმეტი კაცისაგან შემდგარი, საკუთარი დირიჟორით. დასის მუშაობაში შეტანილია გასტროლები ქ. თბილისში, სადაც დასი მთელი აპრილის განმავლობაში ითამაშებს ოპერის თეატრში. შემდეგ სეზონში ბაზა იქნება ქალ. ბათომი.

ბათომში უკვე გატარებულია მუშათა ზოლი, რაც შემოღებულია ყველა წარმოდგენებზე, რომელიც გამართულ იქნება სახელმწიფო თეატრში. მუშა-მოსამსახურეები პროფკავშირულად მიიღებენ ბილეთებს 50 პროცენტით დაკლებით.

სეზონი დაიწყება ოქტომბერში.

—:—

◆ **შ. ქიქოძის სურათების გამოფენა.** ქართ. მხატვართა საზოგადოების დარბაზში კვირას, 27 მაისს გაიხსნა მხატვარ შ. ქიქოძის სურათების გამოფენა.

◆ **სიმფონიური კონცერტი.** 1 ივნისს რკინის გზის მუშათა კლუბში გაიმართება სიმფონიური კონცერტი.

შემთხვევები

დაჯახება

გუშინწინ, ტრამვაის პარკის ავტომობილი, რომელსაც მართავდა შოფერი ვართან ოთაროვი მუშტაიდის და კლარა ცეტკინის ქუჩ. კუთხეში დაეჯახა ერასტი მაქსიმესძე წულაძეს (მცხ. კალინინის ქუჩა № 64) და მსუბუქად დაჭრა. წულაძეს აღმოუჩინეს სასწრაფო სამედიცინო დახმარება და გაგზავნეს კამოს საავადმყოფოში. შოფერი ოთაროვი პასუხისგებაშია მიცემული.

ქურდობა

უკანასკნელ ორ დღეში ქალაქში ადგილი ჰქონდა წვრილი ქურდობის 8 შემთხვევას. დაპატიმრებულია 3 ქურდი.

მტკვარში დახრჩობა

კვირას, 27 მაისს, საღამოს 8 საათზე, მტკვარში ბანაობის დროს დაიხრჩო ეფრემ არუთინის ძე აგამიროვი, 21 წლისა (მცხ. სევანის შესახ. № 3). დამხრჩვალის გვამი ნაპოვნი არ არის.

ჯიბგირი ტრამვაიში

გუშინ, დღისით, ვიღაც ჯიბგირმა მოქ. მარიამ გასარიას ტრამვაის ვაგონში შაუმიანის ქუჩაზე რედიკულიდან ამოაცალა 60 მანეთი და მიიმალა. მიღებულია ზომები ჯიბგირის დასაპატიმრებლად.

ქურდების დაპატიმრება

მილიციამ ქურდობისათვის დააპატიმრა: მამედ გუსეინ-ოღლი, მელიქ ვართანისძე პაპოვი, ბესო აბრამისძე ფიჩხაძე, და ერამ მისაკისძე მანუკიანი.

ვისია ნივთები?

სისხლის სამართლის მილიციამ აღმოაჩინა ნაქურდალი პალტოები, რედიკულები და სხვა ნივთები. პატრონი უნდა გამოცხადდეს ს. ს. მილიციაში, ოთახი № 7, გ. აზარიანთან.

სასამართლო

როგორ „აზღვევდა" ხალხს თარხნიშვილი

სახელმწიფო დაზღვევის თბილისის სამაზრო სააგენტოს კანტორაში დროებით „ნამოხტა" ყოფ. აზნაური ალექსანდრე ესტატეს ძე თარხნიშვილი.

დროებით იყო მიღებული აგენტის თანამდებობაზე. სულ სამიოდე თვე იმუშავა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში გულზე ხელდაკრეფილი როდი იჯდა. ფართო აგიტაციას ეწეოდა მოქალაქეებს შორის სახელმწიფო დაზღვევის „სასარგებლოდ".

მას დავალებული ჰქონდა მოლაპარაკება იმ პირებთან, რომელთაც სურდათ ქონების ან საქონლის დაზღვევა. თუ მოქალაქე დაზღვევის პირობებს ხელსაყრელად ჩასთვლიდა, თარხნიშვილი მოვალე იყო შეევსო ანკეტა და კანტორაში წარედგინა. დასაზღვევი გადასახადის ნაწილს მოქალაქე იხდიდა ანკეტის შევსების შემდეგ.

თარხნიშვილი ენაწყლიანი კაცია. შეუძლია მოუდგეს მოქალაქეს ისე, რომ დაუზღვეველი არაფერი დასტოვოს მის ბარაზე.

— ვსთქვათ, ცეცხლი წაეკიდა შენს სახლს და დაიწვა... ხომ დაიღუპე, ხომ მოისპე!? ვინ გამოგიწვდის ხელს? ან ვსთქვათ, შენს მარჩენალ ძროხას შავი ჭირი გაუჩნდა, ან კლდეში გადაიჩეხა... ვერც ხორცი გამოიყენე, ვერც ტყავი. როგორ აიტან ასეთ ზარალს. აი ამიტომ არის საჭირო საქონლის, ქონების დაზღვევა. როცა დააზღვევ ქონებას, სულ რომ გადაიბუგოს შენი სახლ-კარი, გაათოლე არხეინად ყალიონი და გაბარ-გამოიარე. თავი ქუდში გაქვს... მიხვალ სახელმწიფო დაზღვევის სალაროში და ორმაგად აგინაზღაურებენ ყველაფერს..

ამას ისე თავდამოდებით, ისეთი პათოსით ლაპარაკობდა თარხნიშვილი, რომ მოქალაქე მოჯადოებული რჩებოდა და უყოყმანოდ გადასწყვეტდა ქონების დაზღვევას.

თარხნიშვილი ამოიღებდა დასაზღვევ ბლანკებს, შეავსებინებდა მოქალაქეს, გამოართმევდა ფულს და ხელდამშვენებული წავიდოდა მეორე კლიენტთან.

მოქალაქეს უკვე დაზღვეულად მოჰქონდა თავი: რა იცოდა, რომ თარხნიშვილი ატყუებდა.

ერთ მშვენიერ დღეს სახელმწიფო დაზღვევის კანტორაში გამოცხადდა დაზღვეული მოქალაქე და წარადგინა თარხნიშვილის მიერ შედგენილი ბლანკი.

— თქვენ არ ხართ ჩვენთან გატარებული, როგორც დაზღვეული. ასეთი გვარის კაცი პირველად მესმის, უპასუხებენ მოქალაქეს.

— რას ამბობთ ხალხნო! ფული გადამახდევინეთ, ყურები გამომიჭედეთ დაზღვევის მნიშვნელობაზე ლაპარაკით და ეხლა, როცა გაჭირვებაში ჩავარდი, ყურადღებას არ მაქცევთ?

— თქვენ ფული გადაიხადეთ?

— გადავიხადე, მა! აი ქვითარიც...

ნახეს ქვითარი. ყველაფერი რიგზეა. ბუხჰალტერის ხელს აწერს. ნამდვილ მის ხელნაწერს ჰგავს. მხოლოდ გამგის ხელისმოწერა იყო ძალიან საეჭვო. უჩვენეს გამგეს. აშკარად ყალბი ხელისმოწერაა.

დაიწყო საქმის გამოძიება. მიჰყვენ კვალდაკვალ და მიადგნენ თარხნიშვილს. ამ ერთ მაგალითს მოჰყვა მეორე და მრავალი.

თარხნიშვილი თურმე დაზღვეულებისაგან აკრეფილი ფულით თავის თავს „იზღვევდა", ვინიცობაა უადგილოდ დამტოვონ, როგორც დროებითი მომუშავეო!

ამა წლის იანვრიდან აპრილამდე თარხნიშვილს „გადუყლაპავს" 1146 მანეთი.

თარხნიშვილი დაპატიმრებულია.

—:—

ტრამვაის მსხვერპლი

თავისუფლების მოედნიდან ტრამვაი № 12 დაეშვა პუშკინის ქუჩაზე.

ვატმანი **რაჟდენ ციციხვია** რეკავს გამაფრთხილებელ ზარს. მარჯვენა მხრიდან ქვაფენილზე გადმოვიდა ძალზე მოხუცებული ქალი, რომელიც ძლივ-ძლივობით იცვლის ფეხს. თვალიც არ უჭრის. ყურთასმენაც დაკარგული აქვს.

ქალმა შემოდგა ფეხი ტრამვაის ლიანდაგზე. ვატმანი რეკავს, მაგრამ სისწრაფეს როდი ანელებს. თითქოს ეჯიბრება არაქათ გამოლეულ დედაკაცსო.

20 ნაბიჯი ღა დარჩა ტრამვაისა და ქალს შორის. ვატმანი ისევ რეკავს და მხოლოდ რეკავს, მუხრუჭს კი არ უჭერს.

— ალბად, არ ესმის, გააჩერე კაცო,—გადასძახა ვატმანს მგზავრმა, მოისმა მილიციელის ყვირილიც: რას შვრები! გაჩერდი!

ტრამვაი უკვე დაეჯახა დედაბერს და ერთ საჟენზე გადაისროლა. ვატმანი ამ დროსაც ზარს რეკავდა და მხოლოდ მილიციელის გამჭოლმა სტვენამ ძლივს შეაჩერა.

გრძნობა დაკარგული მოხუცი ქალი სასწრაფოდ წაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც ტვინში სისხლის ჩაქცევის გამო მალე გარდაიცვალა.

ვატმან **ციციხვიას** გაასამართლებს თბილისის სამაზრო სასამართლო.

ჭრ.

ფიზკულტურის დღესასწაულისათვის

საქ. ცაკის გარდამავალი ჯილდო

საქართ. ფიზკულტურის დღესასწაულში გამარჯვებულ საუკეთესო გუნდს მიეცემა საქ. ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის გარდამავალი ჯილდო—დროშა.

საქ. ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით დროშა სრულ საკუთრებათ მიეცემა ფიზკულტურის იმ საბჭოს, რომლის ჯგუფი სამჯერ ზედიზედ ან ხუთჯერ სხვადასხვა დროს აიღებს ჯგუფურ პირველობას საქართველოს ფიზკულტურის დღესასწაულში.

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ დღესასწაულებში გამარჯვებული ორგანიზაციის დაშლა მოხდა, გარდამავალი დროშა გადაეცემა ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს.

გარდამავალი ჯილდო პროვინციის გუნდისათვის

თბილისის ფიზკულტურის საბჭომ გააწესა თბილისის საბჭოს სახელობის გარდამავალი ჯილდო პროვინციის საუკეთესო გუნდისათვის, რომელიც გამარჯვებული გამოვა სრ. საქართველოს ფიზკულტურის პირველ დღესასწაულზე.

ვინ იღებს მონაწილეობას დღესასწაულში

სრ. საქართველოს ფიზკულტურის დღესასწაულში მონაწილეობის სურვილი ჯერ-ჯერობით გამოთქვეს: ტრანსპორტზე მომუშავეთა, საბჭოთა სავაჭრო მუშაკთა, გემთ-კვების მუშაკთა, მბეჭდავთა, მედსანშრომის მუშაკთა, ტყავზე მომუშავეთა, ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა, მშენებელთა, ხეზე მომუშავეთა და ხელოვნების მუშაკთა კავშირებმა.

მეტალისტთა კავშირს თავისი გუნდის სია ჯერ არ წარუდგენია ფიზკულტურის ბიუროში.

სტადიონი ვაკეში

ახალ სტადიონზე ვაკეში დამთავრდა მიწის სამუშაოები. სტადიონზე ყოველდღიურად მუშაობს 300 მუშა. სტადიონი დაიტევს 8.500 კაცს.

გუშინ, საქ. ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს კომისიამ დაათვალიერა სტადიონი. გამოირკვა, რომ სტადიონის გამოყენება ფიზკულტურის დღესასწაულისათვის ამჟამად არ შეიძლება ადგილობრივად მუშაობათა მიმდინარეობის გამო.

საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა

ხუთშაბათს, 31 მაისს, საქ. სახალხო კომისართა საბჭოში ამხ. ლ. ქართველიშვილის კაბინეტში შესდგება საქართ. ფიზკულტურის პირველი დღესასწაულის ჩამტარებელი საორგანიზაციო კომიტეტის და საქ. ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს პლენუმის სხდომა, დღის წესრიგშია დღესასწაულთან დაკავშირებული საკითხები.

ინსტრუქტორების თათბირი

საქ. ფიზკულტურის უმაღლესს საბჭოს შენობაში, დღეს, 29 მაისს, დილის 9 საათზე დანიშნულია ფიზკულტურის დღესასწაულის შეჯიბრებათა ინსტრუქტორების თათბირი.

საექიმო კონტროლი

სრულიად საქართ. ფიზკულტურის 1-ლ დღესასწაულში მონაწილე ფიზკულტუროსნებმა საექიმო კონტროლი უნდა გაიარონ 30 მაისს, საღამოს 5 საათიდან 9 საათამდე ფიზ. კულტურის 1-ლ სახელოსნო დარბაზში (ფეირვერკის ქუჩა № 4). იქვე საექიმო კონტროლის შემდეგ ფიზკულტუროსნები მიიღებენ შეჯიბრებაზე შესასვლელ ბილეთებს. ის ფიზკულტუროსნები, რომლებიც საექიმო კონტროლზე არ გამოცხადდება შეჯიბრებაზე არ იქნება დაშვებული.

ტირების ხელმძღვანელთა ანკეტები

საქართ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებასთან არსებული ფიზკულტურის ბიურო აცხადებს, რომ საზაფხულო კლუბების ტირებში ხელმძღვანელებათ დასანიშნავი ამხანაგების კანდიდატურა შეთანხმებული უნდა იყოს ბიუროსთან. ამიტომ, ყველა ხელმძღვანელთა ანკეტები მუშათა კლუბებმა უნდა გადაგზავნონ ფიზკულტურის ბიუროში არა უგვიანეს 1-ლი ივნისისა.

ახალი წყალსადენი

თავდება გამოკვლევითი მუშაობა ნატახტარის წყაროებიდან ახალი წყალსადენის გამოსაყვანად, წყაროების წყლის ყოველმხრივმა ანალიზმა მეტად კარგი შედეგები გამოიღო. ნატახტარის მთელი რაიონის გეოლოგიურმა გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ წყაროები სავსებით საიმედოა. წყაროების დებეტი შეადგენს ათ მილიონ ვედროს დღეღამეში. თავდება აგრეთვე ხარჯთ-აღრიცხვის, პროექტის და სამუშაოს ნახაზების შედგენა. ახალი წყალსადენის ღირებულება უდრის 8 მილ. მანეთს. მუშაობა წყალსადენის გასაყვანად დაიწყება აგვისტოში და დამთავრდება 2—3 წელიწადში. ახალი წყალსადენი ქალაქს ყოველდღიურად მიაწოდებს 6 მილიონ ვედრო წყალს. ასეთი რაოდენობა სავსებით უზრუნველყოფს თბილისს. ამჟამად თბილისში არსებული წყალსადენი მეტად ცუდ მდგომარეობაშია და თუ ქალაქი ჯერ კიდევ ღებულობს წყალს, ეს აიხსნება წყალსადენის პერსონალის თავგამოდებული, გმირული ღონისძიებებით.

ეხლა თბილისი ღებულობს მხოლოდ 1 ნახ. მილიონ ვედრო წყალს, რაც სრულებით არ არის საკმარისი.

ამავე დროს მტკვრის წყალი მიითხოვს ზედმიწევნით გაწმენდას.

საქართველოს რემედასში

ბელა კუნის დასაცავად

საქ. რემედასის ცენტრალურმა კომიტეტმა, ამხ. ბელა კუნის პროცესთან დაკავშირებით ყველა რაიკომებს, თემკომებს და ბიუროებს დაუგზავნა მოწოდება.

მოწოდებაში ნათქვამია, რომ მოახლოვებულია ბელა კუნის გაცემის საფრთხე, ამიტომ საქართველოს მშრომელებმა ხმა უნდა აღიმაღლონ ამ თავდადებული რევოლუციონერის დასაცავათ.

თბილისის მთელ რიგ წარმოება-დაწესებულებებში (ა. კ. და საქ. მუშსელხინი, შინსახკომი, ტელეგრაფი და სხვ.) ჩატარდა კრებები, რომლებიც თავის რეზოლიუციებში ესალმებიან რა ამხ. ბელა კუნს, მოითხოვენ მის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას.

რემედასი წითელ არმიაში

რემედასის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიმუშავა გეგმა წითელ არმიაში მომუშავე უჯრედებისათვის. საზაფხულო სეზონის დადგომის გამო ბანაკად მიმავალი ჯარის ნაწილება, რემედასის უჯრედების საშუალებით, მუშაობაში ჩააბმენ მახლობლად სოფლის გლეხობას. ხოლო ქალაქში დარჩენილ უჯრედებს ევალება მოამზადონ აქტივისტ-წითელ არმიელთა კადრი, რომელიც შვებულების დროს იმუშავებს სოფლად და ფაბრიკა-ქარხნებში.

ექსკურსიების გეგმა

წელს საექსკურსიო საქმეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. გამომუშავებულია სპეციალური გეგმა, რომლის მიხედვით ექსკურსიები მოეწყობა არა მარტო გართობის მიზნით, არამედ მათ ექნება ამა თუ იმ კუთხის ეკონომიურად, ეთნოგრაფიულად, და ისტორიულად შესწავლის ხასიათი. პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილება მიმდინარე ზაფხულში აწყობს ექსკურსიებს:

ისტორიულ მნიშვნელობის ძეგლების გასაცნობათ

მცხეთაში და შიო-მღვიმის მონასტერში, ათენის სიონში, უფლის-ციხეში და სხვა ისეთ ადგილებში, რომლებიც განთქმული არიან თავის უძველესი ციხე-კოშკებით, ძეგლებით და ძველი ქართული ხუროთმოძღვრების იშვიათი ნიმუშებით.

ჰიდრო-მშენებლობასთან გასაცნობათ

საქართველოში ჰიდრო-მშენებლობასთან გასაცნობათ ექსკურსიები მოეწყობა ზემო-ავჭალის, აბაშის და აჭარის-წყალის ჰიდროელსადგურების დასათვალიერებლად.

მეზობელ რესპუბლიკებში

წელს აგრეთვე ექსკურსიები მოეწყობა მეზობელ რესპუბლიკებში წარმოებულ აღმშენებლობასა და მიღწევებთან გასაცნობათ. ექსკურსიები მოეწყობა ბაქოში, განჯაში, ერევანში, ალავერდში, მოსკოვსა და ლენინგრადში.

ექსკურსიები საკურორტო ადგილებში

თბილისში არიან პროფკავშირის ისეთი წევრები, რომლებსაც სავსებით არ უნახავთ საქართველოს მდიდარი საკურორტო ადგილები. ამიტომ ექსკურსიები მოეწყობა ბათომში, წყნეთში, ბორჯომში, ბაკურიანში, ახტალაში, შოვში და სხ.

ბუნებრივ სიმდიდრეთა შესწავლა

საქართველოში ბუნებრივი სიმდიდრეების შესასწავლად ექსკურსიები მოეწყობა ჭიათურაში, ტყიბულში და ტყვარჩელში. ამავე მიზნით ექსკურსიები მოეწყობა საქართველოს გარეთაც, მაგ. დონის სამრეწველო რაიონებში და სხ.

ყოფა-ცხოვრების შესასწავლად

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მცხოვრებთა ყოფა-ცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებებთან გასაცნობად ექსკურსიები მოეწყობა ფშავ-ხევსურეთში, სამხრეთ-ოსეთში და სხ.

ამრიგად საექსკურსიო გეგმის მიხედვით წელს ექსკურსიები მოეწყობა ყველა დარგების გასაცნობად და შესასწავლად. ექსკურსიებს უხელმძღვანელებს ამა თუ იმ დარგის სპეციალისტები.

ავიაქიმში

„თავდაცვის კვირეული"

საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმის დადგენილებით, მიმდინარე წელს „თავდაცვის კვირეული" მთელ საბჭოთა კავშირში ჩატარებულ იქნება 15-დან 22 ივნისამდე.

გამოყოფილია სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა კვირეულის ჩატარების გეგმის შემუშავება.

ავიაქიმის საზაფხულო მუშაობა

თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო შექმნას ერთიანი ბიურო, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს ავიაქიმის მუშაობას მანევრებზე და ლაშქრობის დროს.

პრეზიდიუმმა დაადგინა ეთხოვოს წითელი ჯარის სარდლობას, რათა ავიაქიმის სამხედრო რაზმების საჭიროებისათვის დათმობილ იქნეს სასროლო მასალის საჭირო რაოდენობა.

ფორმა ავიაქიმრაზმებისათვის

თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმმა შეიმუშავა ერთიანი ფორმა ავიაქიმის სამხედრო რაზმელებისათვის.

ფორმის პროექტი დასამტკიცებლად გადაეცა შრომისა და თავდაცვის საბჭოს.

დოღი

კვირას 27 მაისს—დოღის მეშვიდე დღეს კარგი დარი დაესწრო.

გაიმართა შვიდი შეჯიბრი.

პირველ რიგში ერთმანეთს შეეჯიბრნენ საქართველოს ცხენთა ლეგიონების ბედაურები (არა ნაკლებ ოთხი წლისა), რომელთაც მართავდნენ მოხალისე მხედრები. მონაწილეობდა ექვსი ცხენი. გასარბენი მანძილი იყო 2.200 მეტრი. პირველ მოსახვევამდე ყველა ცხენები თითქმის თანაბრად მიდიოდნენ, მეორე მოსახვევთან დანარჩენებს წინ გაუსწრო მე-66 ლეგიონის ცხენმა **„ანჩარმა"**, რომელსაც უკან მიჰყვა **„ბათომი"**, (მე-74 ლეგიონი) მიუხედავად „ბათომის" თავგამოდებისა „ანჩარმა" მაინც მიუსწრო ფინიშთან. გამარჯვებული მხედარი **კურდღუმოვი**.

მეორე შეჯიბრში ძალიან ადვილად პირველობა ხელთ იგდო აფხაზეთის ულაყმა **„მილანმა"**, რომელსაც შეეჯიბრნენ საქართველოს საჯინიბოს ცხენები **„დაისი"**, **„დარბაისელი"** და ოსეთის **„უატი"**, გასარბენი მანძილი 1.600 მეტრი, გამარჯვებული მხედარი **ავალიშვილი**.

მესამე დოღში; რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდა ოთხი ბედაური, დანარჩენებს პირველ მოსახვევამდე წინ გაუსწრო აზერბეიჯანის მიწ. სახკომის ულაყმა **„ატომმა"**, რომელსაც მალე დაეწია **„ხანტი"** და **„გუხარი"**. მალე ორივე ცხენს წინ გაუსწრო „ატომმა" და პირველი მივიდა ფინიშთან, გასარბენი მანძილი 3.000 მეტრი.

მეოთხე შეჯიბრში რვა ცხენს შორის პირველობა ხვდა: **„ბარკას"**, (მე-64 ცხენ. ლეგიონის ცხენი); რომელსაც შეეჯიბრნენ **„ალფა"** (მე-72 ლეგიონი) და **„პორხანი"** (მ. დადიანის) გამარჯვებული მხედარი **მინკა**.

შემდეგი შეჯიბრი საქართველოს ცხენთა საჯინიბოების ხუთი ცხენის მონაწილეობით დამთავრდა ულაყ **„მალხაზის"** (საქ. მიწსახ.) გამარჯვებით რომელსაც მართავდა ჟოკეი მამედოვი. უკანასკნელ მოსახვევამდი მას ღირსეულ წინააღმდეგობას უწევდენ სამხრეთ-ოსეთის ცხენი **„ხიდეკი"**, რომელიც ფინიშთან მეორეთ მივიდა, და **„მარგალიტი"** (საქ. მიწსახკომის ცხენთა საჯინიბო.

მეექვსე დოღის ყურადღების ცენტრს წარმოადგენდა საქართველოს საჯინიბოს საუკეთესო ცხენის **„ბერგენის"** და მისი მოდავის —აზერბეიჯანის ულაყის **„საგიტერის"** შეჯიბრება.

„ბერგენისათვის" ეს იყო სარევანშო გამოსვლა. ამ დოღში გამარჯვებით მას უნდა დაებრუნებინა პირველობა,—რომელიც ორი კვირის წინათ მას წაართვა **„საგიტერმა"**. „საგიტერს" გარდა ამ შეჯიბრში მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს მიწსახკომის საჯინიბოს ულაყი **„ავტერ-ეს"** და აზერბეიჯანის **„გრა-კორა"**. გასარბენი იყო 2.000 მეტრი. თავიდანვე ყველა ბედაურები უკან მოიტოვა „ავტერ-ესმა", რომელსაც გამოედევნენ „საგიტერი", „საგიტერს" მიჰყვა „გრა-კორა" და ამ უკანასკნელს დაახლოვებით ერთი კორპუსით „ბერგენი". მიუხედავად „ბერგენზე" მჯდომ მხედარის დაუზოგავი თავგამოდების, ეს თანამიმდევრობა ბოლომდე არ დარღვეულა. წინააღმდეგ ყოველგვარ მოლოდინისა „ბერგენი" მივიდა უკანასკნელად. მას წინ მოუსწრო არა თუ „საგიტერმა", რომელიც პირველად მივიდა ფინიშთან, არამედ „ავტერ-ესმა და თვით „გრა-კორამაც". ამგვარად პირველობა უდავოდ ხვდა „საგიტერს", გამარჯვებული ჟოკეი მამედოვი.

უკანასკნელ შეჯიბრში პირველობა აიღო „დარეჯანმა", რომელსაც შეეჯიბრა „ინფანტა" და „სერპი" (აფხაზეთის ცხენი). გამარჯვებული მხედარი საჯინიბოს ბავშვი ვადუაშვილი.

ჭადრაკი

საკავშირთაშორისო ჯგუფური შეჯიბრი

(მეორე ტური)

კვირას, 27 მაისს, საბჭოთა სავაჭრო მუშაკთა კავშირის კლუბში შესდგა საკავშირთაშორისო ჯგუფური შეჯიბრის მეორე ტური, რომლის შედეგები ასეთია:

საბჭოთა სავაჭრო მუშაკთა კავშირის მოჭადრაკეთა ჯგუფმა მოუგო რკინისგზელთა კავშირის მოჭადრაკეთა ჯგუფს (+6—1), მელითონეთა კავშირმა — მბეჭდავთა კავშირს (+5—2), ხელოვნების მუშაკთა კავშირმა—ხეზე მომუშავეთა კავშირს (+6—0 და ერთი დაუმთავრებელი), ხელოვნების მუშაკთა კავშირმა—ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირს (+6—1) მშენებელთა კავშირის მოჭადრაკეთა ჯგუფი არ თამაშობდა.

ვ. მაკაგონოვის სეანსი

კვირას, 27 მაისს, საბჭოთა სავაჭრო მუშაკთა კავშირის საზაფხულო კლუბში, ბაქოდან ეხლახან ჩამოსულმა მაესტრო ვ. მაკაგონოვმა ჩაატარა ჭადრაკის ერთდროული სეანსი 24 დაფაზე. მაკაგონოვმა მოიგო 23 პარტია და წააგო ერთი.

ფეხბურთი

„გემთ-კვების მუშაკები"—„საბჭოთა მუშაკები"

კვირას, 27 მაისს, დინამოს სტადიონზე გაიმართა მიმდინარე გაზაფხულის სეზონის უკანასკნელი კალენდარული შეჯიბრი. თამაშობდნენ გემთ-კვების და საბჭოთა-სავაჭრო მუშაკები.

შეჯიბრმა გამოაშკარავა გემთ-კვების მუშაკების აშკარა უპირატესობა. მატჩი დამთავრდა 6:0 გემთ-კვების მუშაკების სასარგებლოდ.

ამრიგად, პირველობის გათამაშების საბოლოო შედეგები ასეთია: 1928 წ. გაზაფხულის სეზონის პირველობა აიღო „დინამო-პირველმა". მეორე ადგილზე გამოვიდნენ გემთ-კვების მუშაკები, მესამე და მეოთხე ადგილი გაიყვეს სატყეო მრეწველობის ტრესტის და საბჭოთა-სავაჭრო მუშაკების გუნდებმა, ხოლო მეხუთე და უკანასკნელ ადგილზე გამოვიდა „დინამო—ბ". აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელმა შარშან პირველობა აიღო შემოდგომის სეზონში. წელს გუნდი ვერ იყო შარშანდელივით მტკიცე, თუმცა გუნდის შემადგენლობაში თითქმის არავითარი ცვლილებები არ მომხდარა.

„სატყეო ტრესტი" — „არსრაიონი"

ვინაიდან „არსრაიონის" დისკვალიფიკაციის გამო ეს ორი გუნდი არ შეხვედრია ერთმანეთს კალენდარულ შეჯიბრში, ძალთა განწყობილების გამოსარკვევად კვირას გაიმართა ამ გუნდების ამხანაგური შეჯიბრი.

უნდა ითქვას, რომ გუნდები თითქმის თანასწორ ძალას წარმოადგენენ. თამაში ორივე ტაიმში თანაბრად მიმდინარეობდა და მატჩის შედეგიც თანაბარი აღმოჩნდა—1:1.

სატყეო ტრესტის გუნდში თამაშობდა ახალი ცენტრ-ფორვარდი **პონომარიოვი**. შეიძლება ითქვას, რომ იგი სასარგებლო ძალა იქნება გუნდისათვის. მას აქვს ყველა თვისებები იმისათვის, რომ კარგი ცენტრ-ფორვარდი იყვეს.

რადიო-გადაცემა

სამშაბათი, 29 მაისი

დღეს, 29 მაისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

[illegible] ქართულ ენაზე.

ხელოვნების როლი კულტურულ რევოლიუციაში—მოხსენება ქართულ ენაზე.

ახალგაზრდობა რელიგიასთან ბრძოლაში—მოხსენება ქართულ ენაზე.

ბრძოლა ნაწლავების პარაზიტებთან—მოხსენება რუსულ ენაზე.

მოხსენება კურბამ-ბაირამის შესახებ—თურქულ ენაზე.

ტეხნიკური კონსულტაცია.

გაზეთი „პროლეტარი"—სომხურ ენაზე.

რაზე იხარჯება ჩვენი დრო—მოხსენება რუსულ ენაზე.

გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები—რუსულ და ქართულ ენებზე.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე.

კონცერტი ან ტრანსლიაცია.

მოხსენებებს შუა შესრულებულ იქნება მუსიკალური ნომრები.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 29 მაისს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გაასაგზავნათ იწვევს შემდეგი პროფესიის უმუშევართ:

კვალიფიციურ მუშაკთა პირველ სექციიდან: ლინა ვაშაკიძე, ევგენი გერმისაშვილი, ანნა გორსკაია, ნიკოლოზ ცხერიძე, ნიკოლოზ გარემოვი. ამასთანავე საჭიროა პურის მცხობელები და მზელავები განუსაზღვრელი რაოდენობით, მსურველებმა უნდა მიმართონ პირველ სექციაში ამხ. შერიფს.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: თამარ თოფურიძე, ლეონიდ დოლიძე, ბიქტორ მგელაძე, ტატო მირიანაშვილი, მელინე დალაქიშვილი, ლარიონ ელიზბარიშვილი-ბერიძე, ალექსი გორგაძე, გრიგოლ შავგულიძე, ლიუბა მელნიკოვა, ევგენია სუსარევა და სოფიო მუნდაკოვა.

მედიცინის მუშაკთა სექციიდან: ლიდა თარხნიშვილი, სირან მეგრაბიანი და ვართანუშ ერიციანი.

1000 მ. ავტო-კურსებს

შრომის ბირჟამ ავტო-კურსებს გადასცა 1000 მ. მუშა-ხელის (შოფერების) მოსამზადების დასაჩქარებლად.

პარტიული კალენდარი

დღეს, 29 მაისს, დილის 12 საათზე პროფკავშირთა საბჭოს შენობაში (ოთახი № 20) მოწვეულია საქ. პროლეტარულ სტუდენტთა ცენტრალურ ბიუროს კომფრაქციის სხდომა. გარდა ბიუროს ფრაქციის წევრებისა, უნდა გამოცხადდნენ ყველა უმაღლეს სასწავლებლების და მუშფაკების აღმასბიუროების თავმჯდომარეები, აგრონომიული და პოლიტეხნიკური ფაკულტეტების კომუჯრედთა მდივნები და პროფკავშირების თავმჯდომარეებთან ერთად.

ა.-კ. რკინის გზის დაცვის 1-ლი რაიონი ამით აცხადებს, რომ ა.-წ. 28 მაისს, შუადღის 12 საათზე, გულის სიგანიერისაგან თავის სამუშაოზე უეცრად გარდაიცვალა ამავე რაიონის თანამშრომელი მემანქანე

მარო (მარუსია) სოფრომის ასული ჭეიშვილი

გამოსვენება 29 მაისს, რაიონის კლუბიდან. დაკრძალვა ქ. ქუთაისში საფირჩხის სასაფლაოზე.
2500

ღრმად დამწუხრებული ცოლი პოლია, შვილი ოთარი, მამა ვასილი, ძმა მიხეილი, რძალი ლიდა, სიმამრი და სიდედრი ნიკიფორე და მარიამი შვილებით: ალექსანდრა, გრიგოლი, ლიდა, სონია და ქეთო სტურუები აუწყებენ ნათესავებსა და მეგობრებს დაუვიწყარი

ილიუშა ვასილის-ძე ჭავჭანიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ა/წ. 29 მაისს, ნაშუადღევის 4—საათზე, კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება ბინიდან, ალექსანდროვის ქ. № 45.
2502

ღრმად დამწუხრებულნი: დარია დავითის ასული ჯავახიშვილისა, ნინა კაიხოსროს ასული, შალვა ივანეს-ძე და გუნარა ჯაფარიძენი აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ პირველ მეუღლის, მეორე მამის, მესამე სიმამრის და მეოთხე ბაბუის—ძვირფას და დაუვიწყარ

კაიხოსრო გიორგის-ძე ჯავახიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება ალექსანდრეს საავადმყოფოდან 29 მაისს, ნაშუადღევის 5 საათზე. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე.
2501

გულდათუთ ულნი: მეუღლე სევერიან, შვილი ლეილა, დედამთილი ელისაბედ, მამამთილი არსენ, მაზლები: ალიოშა, ვალიკო, გრიშა, რძალი სონია, მულები: მარიამი, გალინა და სიძე ტიტიკო, ბიძები: არჩილ, გიორგი, ნესტორი, ბიცოლები: ელენე, ალათი და მარიამი შოვნაძეები, აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს, რომ 26 მაისს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი

ანეტა არსენის ასული შოვნაძისა

დაკრძალვა მოხდება სამშაბათს, 29 მაისს, სოფელ ზემო მაღლაკში, ქუთაისის მაზრა.
2504

ამ დღეებში გაიხსნება საზაფხულო კინო-თეატრები
ეთერი — დარბაზი
მხატვრული დრამა ეკრანზე უცხოეთის ნაწარმოები
მშვიდობით ახალგაზრდობავ
ცნობილ სურათის „ნამდვილი მამაკაცი"-ს გმირის კარმენ ბონის მონაწილეობით.
კენიგსმარკ
პიერ ბენუას
ცნობილ რომანის მიხედვით
თვალყური ადევნეთ დადგმის დღეს ბ. 1164

სახკინმრეწვის კინოები

აპოლო სოლეი	კომედია იმერეთის ცხოვრებიდან **სამანიშვილის დედინაცვალი** დ. კლდიაშვილის მოთხრობის მიხედვით რეჟისორი—კ. მარჯანიშვილი, ოპერატორი—ვ. ენგელსი
არფასტო	უცხოეთის მხატვრული სურათი **პრერიების კანონი**
მინიონი	მეი მურეი სურათში **სენატორის კარიერა**
პალასი (საზაფხულო)	მეორე კვირა წარმატებით მიდის **სამი მუშკეტერი** დუგლას ფერბენქსის მონაწილეობით
ოდეონი	უკანასკნელად თბილისში **ორი ქმრის ცოლი**
დარბაზი	სეზონის საუკეთესო სურათი **ზღვის კანონი**
პროლეტარი ავლაბარი	პირლ უაიტ სურათში **ვუ-ფანგის საიდუმლოება** 3 და 4 სერია

ანონსი: მალე ორი ახალი სურათი „მშვიდობით ახალგაზრდობავ" და „კენიგსმარკ"

კინო პალასი
მეორე კვირაა
დიდის წარმატებით
მიდის სურათი
სა3მი მუშკეტერი
დუგლას ფერბენქსის
მონაწილეობით
ანონსი:
მალე ორიგინალური
ტრიუკებიანი
კინო-რომანი 3 სერიათ
ზღვის გმირი
ბ. 1164

ქ. ფოთსა და მის რაიონში
კონტრაგენტად დანიშნულია
ამბროსი ლორია
რომელიც მიიღებს ხელისმოწერას
გაზ. „კომუნისტზე"
2—1 „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა

იყიდება სახლი
ქალ. ოზურგეთში, აღმასკომის ქუჩაზე, სადგურის ახლო, ხუთი თვალი წაბლის, დადგმული მაღალ ცემენტის სვეტებზე, კრამიტით დახურული, პირობების გაგება შეიძლება გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარ კანტორაში, თბილისი, რუსთაველის პრ. № 34.
0—1 „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა.

თბილისის ქალაქის ლომბარდი
(კეცხოველის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ შაბათს 2 ივნისს და კვირას, 3 ივნისს, დილის 10 საათზე
დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ვადაგასულ გირაოებისა, გასაყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში. ბ. 1093

ქალ. ლომბარდის სააუქციონო კამერა
აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 31 მაისს, სასახლის ქ. № 3, დილის 10 საათზე, დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ფინსახკომისადმი დავალიანებათა ასანაზღაურებლათ. გაიყიდება: ხალიჩები, ბუფეტები, კომოდები, სკამები, სარკეები, სალებავები 120 ფუთამდე და სხვა მრავალი საოჯახო ნივთები. ბ. 1165

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
ავადმყოფების მიღება ფსიქოთერაპიის დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დილის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით. საბჭოთა №48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ქორესის ქ. კუთხე.

თბილისის მე-4 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი
ა. გიორგაძე
ამით აცხადებს, რომ ის 1 ივნისს, 1928 წ. დღის 2 საათზე, სახლში, № 37 გოგოლის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის მოქ. სიმონ დავიდოვის მოძრავ ქონებას: ერთ საბირჟო ეტლს რეზინის შინებზე შეფასებულს 80 მანეთად, მოქ. კარაპეტ კარაპეტიანცის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-4 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 25 მაისის 1927 წ. თარიღით, № 5779 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 2512

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პრის. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ.

რადგანაც შესდგა სატყეო წარმოების კოოპერატიული შრომის ნადი „ხე-ტყე"-ს გამგეობის ახალი არჩევნები
და არჩეულ იქნა სრულიათ ახალი შემადგენლობა, ამისათვის ახალი გამგეობა ამით აცხადებს, რომ ძველი გამგეობის მიერ გაცემულ ყოველგვარ მოწმობებს, მინდობილობებს ან ვალდებულებებს—ხელწერილებით იქნება თუ თამასუქით, რომლებიც გაცემულია ამა წლის 20 მაისამდის, ახალი გამგეობა გაბათილებულათ სთვლის, თუ ასეთები არ იქნება წარმოდგენილი ახალ გამგეობაში ამა წლის 8 ივნისამდე—დასადასტურებლათ ან საბოლოოთ გასაბათილებლათ. 8 ივნისის შემდეგ წარმოდგენილი რაიმე საბუთი არ იქნება განხილული ახალი გამგეობის მიერ და მაშასადამე აღნიშნული რიცხვის შემდეგ არ მიიღება არავითარი პრეტენზიები. ეს განცხადება არ ვრცელდება დაწესებულებებზე, რომლებთანაც „ხე-ტყე"-ს აქვს დადებული ხელშეკრულება.
„ხე-ტყე"-ს გამგეობა
კანტორა: კლარა-ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ. № 27/29.
3—1 2514

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
დიმ. სიხარულიძე
ამით აცხადებს, რომ ის 31 მაისს, 1928 წ. დღის 2 საათზე, სახლში № 73 რიყის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის მოქ. ბერტიშვილის მოძრავ ქონებას: მაგიდებს, სპილენძის ქვაბებს, ღვინის სხვადასხვა ზომის ბოჭკებს და სხვ. შეფასებულს 140 მანეთად, სახკვების კავშირის და მოქ. კერესელიძის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 27 აპრილის 1928 წ. თარიღით, № 1451 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ბ. 1163

ქ. თბილისის მე-5 რაიონ. სასამარ. აღმასრულებელი
გამაზოვი
ამით აცხადებს, რომ ის 11 ივნისს, 1928 წ. დღის 12 ს., სახლში, № 17, დიდუბის მე-6 შესახვევში საჯარო ვაჭრობით გაყიდის პეტრე ლევანის-ძე ჯიბლაძის მოძრავ ქონებას: ერთი ნაზმარი ეტლი, ოთხ თვლიანი, რეზინის შინებით, თავისი მოწყობილობით შეფასებულს 350 მანეთად, კარაპეტ კარაპეტიანის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-5 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 28 ივლისს, 1927 წ. თარიღით, № 2543 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 2511

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი ლეხანოვის შესახვევი № 8.

თვალის საავადმყოფო
მუდმივ საწოლებით და ამბულატორით. ღებულობენ ექიმები:
ა. ნ. შატილოვი
საოპერაციო დღეებში
ა. გ. მალაევი
დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფობის მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90. 25—1

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე, დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—6

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება: მამაკაცების დილით—7—8. საღამოთი—5—8 ქალების: დილით—8—9 საღ.—4—5 მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—11

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ●●● ●●● ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. სპაიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

დაიკარგა პასპორტი მოცემული თბილისის ქალაქის მილიციიდან მიტროფანე ერმალოს-ძე ლადიძის სახელზე, ჩ. გ. 2499

დაიკარგა: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 22018 თამარა იმნაიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2505

დაიკარგა: განათლების მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნაკი ფ. მელაძეს სახელზე, ჩ. გ. 2508

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. 25—2

თანახმად განათლების სახალხო კომისარიატის განკარგულებისა,
ამა წლის 20 ივნისს შესდგება
უკანასკნელი და საბოლოო
საგამოცდო სესია იმ პირთა გამოსაცდელად, ვისაც სურს მიიღოს: 1) კბილის ექიმის წოდება, 2) კბილის ტეხნიკოსის წოდება.
მსურველმა წერილობითი განცხადება სათანადო საბუთებით უნდა გამოგზავნონ არა უგვიანეს 15 ივნისისა, საგამოცდო სესიის თავმჯდომარის სახელზე, შემდეგი მისამართით: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 126 სტომატოლოგიური კლინიკა. იქვე შეიძლება დაწვრილებითი ცნობების მიღება. 13—1

დაიკარგა: ნუსხა ქუთაისის სამაზრო სამხედრო მაგიდის მიერ მოცემული ივანე ვატოს-ძე ბაჩილავას სახელზე, ჩ. გ. ბ. 1161

დაიკარგა: კავშირის წიგნაკი ტ. თოფურიას სახელზე, ჩ. გ. 2507

დაიკარგა: სამხედრო საალრიცხვო წიგნაკი შალვა (შალიკო) ლეონტისძე კიკვაძის სახელზე, ჩ. გ. 2509

დაიკარგა: კავშირის წიგნაკი № 9074 ლიუბა კაკაბაძის სახელზე, ჩ. გ. 2506

დაიკარგა: სამხედრო საალრიცხვო ბარათი ნიკოლოზ დავითის-ძე ბაკურაძის სახელზე, ჩ. გ. 250

მთავლიტი № 904. პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 64